

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

# სამართლის მეთოდები

N8, 2024

## LEGAL METHODS

Sulkhan-Saba Orbeliani University  
Prince David Institute for Law

UDC(უაკ)340  
ს-216

**მთავარი რედაქტორები**

**გიორგი ხუბუა**

შთაინბაისის უნივერსიტეტი

**დimitry გეგენავა**

სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტი

**სარედაქციო საბჭო**

**იაკუბ სტელინა**

გდანსკის უნივერსიტეტი

**მარიამ ჯიქია**

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი

**მიხაელ დომაგალა**

იოანე-პავლე მეორის ლუბლინის  
კათოლიკური უნივერსიტეტი

**მარიამ ხოფერია**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**სოფიო დემეტრაშვილი**

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი

**მალხაზ ნაკაშიძე**

ბათუმის შოთა  
რუსთაველის უნივერსიტეტი

**დავიდ რუანო დელგადო**

სარაგოსას უნივერსიტეტი

**კორნეატურა**

**ციცინო ხითარიშვილი**

**EDITORS-IN-CHIEF**

**Giorgi Khubua**

Steinbeis University

**Dimitry Gegenava**

Sulkhan-Saba  
Orbeliani University

**EDITORIAL BOARD**

**Jacub Stelina**

University of Gdansk

**Mariam Jikia**

Georgian Technical  
University

**Michał Domagała**

The John Paul II Catholic  
University of Lublin

**Mariam Khoperia**

Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University

**Sophio Demetrashvili**

Georgian Technical  
University

**Malkhaz Nakashidze**

Batumi Shota Rustaveli  
University

**David Ruano Delgado**

University of Zaragoza

**COPY EDITOR**

**Tsitsino Khitarishvili**

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024  
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2024

ISSN 2449-2795

# სარჩევნი

XII დავის კანონები: I და II დავები.....	1
<b>მარიამ ხოფერია</b>	
THE LAWS OF THE TWELVE TABLES: I AND II TABLES .....	8
<b>Mariam Khoperia</b>	
ჰარტის ნეოპოზიტივიზმის დემოკრინისეული კრიტიკა .....	9
<b>იაკობ ჭეიშვილი</b>	
CRITIQUE OF HARTIAN NEOPOSITIVISM BY DWORKIN.....	30
<b>Iakob Cheishvili</b>	
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მე-2 წინადადების კერძოპროცესუალური ..... 31	
<b>თამარ ხუბულური</b>	
FOR THE HERMENEUTICS OF ARTICLE 8, PART 15, SENTENCE 2 OF THE CODE OF PROFESSIONAL ETHICS OF LAWYERS.....	47
<b>Tamar Khubuluri</b>	
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის ათვისება: ერთ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი აქტის ანალიზი .....	49
<b>თამარ ტუსაშვილი</b>	
COUNTING DOWN THE DEADLINE FOR APPEALING AN INDIVIDUAL ADMINISTRATIVE-LEGAL ACT ON DISMISSAL: ANALYSIS OF TWO ACTS OF THE SUPREME COURT OF GEORGIA TOGETHER WITH ONE CASE .....	66
<b>Tamar Tusashvili</b>	

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის  
ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის სისხლის-  
სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი .....67  
**ხატია შეყილაძე**

IMPOSING CRIMINAL LIABILITY ON THE ACCUSED/CONVICTED  
PERSONS FOR FAILURE TO EXECUTE THE JUDGEMENTS.....99  
**Khatia Shekiladze**

ციფრულ-კომპიუტერული მეთოდები კრიმინალისტიკაში .....100  
**გიორგი ძინძიბაძე**

DIGITAL-COMPUTER METHODS IN CRIMINALISTICS .....123  
**Giorgi Dzindzibadze**

პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი  
დასაქმებულის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას .....125  
**სიმონი ტაკაშვილი**

STANDARD OF THE PROCESSING OF THE PERSONAL DATA  
DURING A VIDEOMONITORING OF EMPLOYEES' WORKSPACE .....151  
**Simoni Takashvili**



## XII დავის კანონები: I და II დავები

### მარიამ ხოჯარია

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

<https://orcid.org/0000-0002-4798-5949>

#### I. ზოგადად, XII დავის კანონების შესახებ

*Leges Duodecim Tabularum* – XII დავის კანონები ძველი რომაული სამართლის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია,<sup>1</sup> შექმნილი დეცემვირთა, ანუ ათკაციანი კომისიის მიერ და ქრ. შობამდე 451-450 წლებით თარიღდება.<sup>2</sup> XII დავის კანონები საუკუნეების განმავლობაში რომაული საჯარო და კერძო სამართლის ძირითად წყაროდ მიიჩნეოდა.<sup>3</sup> სახელწოდება დაკავშირებულია იმასთან, რომ კანონები ხის (ზოგი ვერსიით, სპილენძის) თორმეტ დაფაზე იყო დანერვილი.<sup>4</sup> გადმოცემის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც რომაელ მოქალაქეთა რიგებს უერთდებოდა, XII დავის კანონები

<sup>1</sup> იხ., Steinberg M., *The Twelve Tables and Their Origins: An Eighteenth-Century Debate*, *Journal of the History of Ideas*, Vol. 43, No. 3, 1982, 379-396; ქავთარია გ., *რომის ისტორია, თბილისი*, 2016.

<sup>2</sup> Guarido A., *Pagine di Diritto Romano*, IV, Napoli, 1994, 78; *Хрестоматия По Истории Древнего Мира*, Москва, 1953, 21.

<sup>3</sup> Kuryłowicz M., Wiliński A., *Rzymskie Prawo Prywatne, Zarys Wykładu*, Warszawa, 2016, 36.

<sup>4</sup> Tellegen-Couperus O., *A Short History of Roman Law*, Routledge, 1993, 20.

უნდა სცოდნოდა,<sup>5</sup> რადგან უამისოდ შეუძლებელი იყო სამოქალაქო ფუნქციების განხორციელება, მით უფრო სამართლებრივი დავა ან უფლებებით სარგებლობა.

XII დაფის კანონები რომაელების სიბრძნის წყარო იყო. იგი ისწავლებოდა სკოლებში, მათი ცოდნა ყველა განათლებულ რომაელს მოეთხოვებოდა.<sup>6</sup> ციცერონი ამბობდა: „ამ კანონებში ჩვენი უძველესი წარსულის მრავალფეროვნებაა მოცემული ... ნებისმიერმა ადამიანმა, ვისაც რომაული სამართლის წყაროების და საფუძვლების გაცნობა უნდა, XII დაფის კანონები უნდა შეისწავლოს“<sup>7</sup>.

## II. XII დაფის კანონების შექმნა

XII დაფის კანონები ნათელ წარმოდგენას ქმნის ძველი ეპოქის რომაული სამართლებრივი ცნობიერების დონის შესახებ. ანტიკურ რომში პატრიციებსა და პლებებს შორის სოციალური და სამართლებრივი უთანასწორობა ძალზე მწვავე იყო. რექსებისა და რესპუბლიკის პერიოდის საწყის ეტაპზე რომაელებს შორის ურთიერთობა ჩვეულებითი სამართლით ხდებოდა.<sup>8</sup> წესისამებრ, ჩვეულებითი სამართალი პატრიციული წარმომავლეობის მაგისტრატების გავლენით წყდებოდა, ბუნდოვანი საკითხებიც პატრიციების სასარგებლოდ განიმარტებოდა. შესაბამისად, აუცილებელი იყო მოქმედი სამართლებრივი ნორმების ცხადყოფა. ქრ. შობამდე 462 წელს პლემბის ტრიბუნმა ტერენტიუს არსამ წამოაყენა „კოდექსის“

<sup>5</sup> Winkel L., *Roman Law and Its Intellectual Context*, in: *The Cambridge Companion to Roman Law*, Edited by D. Johnston, Cambridge University Press, 2015, 15.

<sup>6</sup> ქავთარია გ., *რომის ისტორია*, თბილისი, 2016, 102.

<sup>7</sup> Cicerone, *De Oratore*, I.44; *Хрестоматия по Истории Государство и Права зарубежных Стран*, Том 1, Древний Мир и Средние Века, Москва, 2007, 203.

<sup>8</sup> Kuryłowicz M., *Prawo Rzymskie, Historia, Tradycja, Współczesność*, Lublin, 2013, 58; *Хрестоматия По Истории Древнего Мира*, Москва, 1953, 21; ქავთარია გ., *რომის ისტორია*, თბილისი, 2016, 101-102.

შემმუშავებელი კომისიის ინიციატივა, რასაც პატრიციები 8 წლის მანძილზე ეწინააღმდეგებოდნენ.<sup>9</sup>

საყოველთაოდ ცნობილი ვერსიის თანახმად, XII დაფის კანონები ორი კომისიის მიერ შეიქმნა; პირველი კომისია მხოლოდ პატრიციებისაგან იყო დაკომპლექტებული. დეცემვირთა, ანუ ათკაციანი კომისია (*Decemviri Legibus Scribundis*) გაემგზავრა ელადში იტალიის სამხრეთით მდებარე ბერძნული კოლონიების სამართლის გასაცნობად.<sup>10</sup> ამ კომისიამ შეისწავლა ძველი ათენის კანონმდებლობა, უფრო კონკრეტულად კი სოლონის რეფორმები და შეადგინა ნორმები, რომლებიც ათ დაფაზე განათავსა.<sup>11</sup>

მაღევე გაირკვა, აღნიშნული ნორმები ვერ აკმაყოფილებდა რომის ყველა მოქალაქის ინტერესებს, განსაკუთრებით პლებების საჭიროებებს. ამან მწვავე პოლიტიკური კონფლიქტი გამოიწვია, რის შედეგად გაგრძელდა მსჯელობა და მუშაობა ნორმებზე, ერთი წლის შემდეგ, ქრ. შობამდე 450 წელს, მეორე კომისიამ კანონებში შესწორებები შეიტანა.<sup>12</sup>

შესაძლოა, არ იყო სრულად კოდიფიცირებული სისტემა, მაგრამ XII დაფის კანონები ყველა მოქალაქის ინტერესების სამართლებრივი ქრილში დაცვისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად მიიჩნევა.

მიუხედავად პატრიარქალური თემური გადმონაშთებისა, სამართლო განხილვებზე, პლებებმა პატრიციებთან მიმართებით ფორმალური თანასწორობა მიიღეს; ასევე მცირე დოზით პოლიტიკური უფლებებიც მოიპოვეს.<sup>13</sup> ნებისმიერი მოქალაქისათვის, მიუხედავად სქესისა თუ სოციალური წარმომავლობისა, შესაძ-

<sup>9</sup> Tellegen-Couperus O., *A Short History of Roman Law*, Routledge, 1993, 8.

<sup>10</sup> იქვე.

<sup>11</sup> ქავთარია გ., რომის ისტორია, თბილისი, 2016, 101.

<sup>12</sup> Tellegen-Couperus O., *A Short History of Roman Law*, Routledge, 1993, 20; ქავთარია ქ., რომის ისტორია, თბილისი, 2016, 103.

<sup>13</sup> Kuryłowicz M., Wiliński A., *Rzymskie Prawo Prywatne, Zarys Wykładu*, Warszawa, 2016, 37.

ლებელი გახდა უფლების კანონისმიერი დაცვის მექანიზმების გამოყენება.<sup>14</sup> XII დაფის კანონები გამოირჩეოდა სამართლებრივი პროცედურების მკაცრი ფორმალიზმით, კანონის ზუსტი და სიტყვა-სიტყვითი დაცვით, და გარკვეული რიტუალიზაციით; ასევე ნორმების კაზუსტიკითა და პასუხისმგებლობის სიმკაცრით (მკვლელობის, ჯადოქრობისა თუ ქურდობისათვის).<sup>15</sup> დიდი ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფოებრიობის საკითხს. ასე მაგალითად, მარციანუსის განმარტებით, XII დაფის კანონები რომის სახელმწიფოს ნემისმიერი სახით ღალატი მისი და მისი ოჯახის გაკიცხვასა და მოღალატის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა<sup>16</sup>.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ XII დაფის კანონები პირვანდელი სახით არ შემორჩენილა, ისინი გალების თავდასხმის შედეგად განადგურდა.<sup>17</sup> ფრაგმენტების სახით გაბნეული იყო სხვადასხვა ავტორის, იურისტის, მწერლის, პოლიტიკური მოღვაწისა თუ მეცნიერის ნაშრომში.<sup>18</sup> ამოკრეფილი და აღდგენილი იქნა ფრაგმენტულად.

### **III. მონესრიგების სფერო**

ძალიან საინტერესოა XII დაფის კანონების შინაარსი. შემონახული ფრაგმენტებიც კი მეტყველებენ იმ პერიოდის, ანუ ქრისტესშობამდელი ეპოქის, რომაელების მაღალ სამართლებრივ კულტურაზე. მასში სამართლის პრაქტიკულად ყველა სფეროს ძირითადი ინსტიტუტებია განხილული: პროცესუალური საკითხები, ნივთების კლასიფიკაცია, საკუთრების უფლების ინსტიტუტი, ხელშეკრულების ინსტიტუტი – მისი დადებისა და შე-

---

<sup>14</sup> ქავთარია გ., რომის ისტორია, თბილისი, 2016, 101-102.

<sup>15</sup> იქვე, 102.

<sup>16</sup> იხ., Marcianus, D. 48, 4, 3.

<sup>17</sup> Tellegen-Couperus O., A Short History of Roman Law, Routledge, 1993, 20.

<sup>18</sup> ქავთარია გ., რომის ისტორია, თბილისი, 2016, 101.



წყვეტის პირობები, ქორწინების ინსტიტუტი – ნიშნობა, მზითევი, განქორწინება; მემკვიდრეობის სამართლიდან – სამკვიდროს მიღების წესი და პირობები და ა.შ.

#### IV. I დაფა

ანტიკურ რომში დიდი ყურადღება ექცეოდა პროცესუალურ საკითხებს და პირველი დაფაც სწორედ სასამართლოში გამოცხადების პროცედურებს განსაზღვრავს. როგორც წესი, ბრალდებული მომრიგებელი მოსამართლის (მაგისტრატის) წინაშე უნდა გამოცხადებულიყო; მის გამოცხადებას [მისვლას] ამონებდნენ მონმეები და თუ არ გამოცხადებოდა, მაშინ მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, ბრალდებულის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა გამოეყენებინა, ანუ თავად დაეჭირა და მოსამართლესთან მიეყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებელი პირდაპირ უშვებდა მოსარჩელის მიერ ძალის გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა კანონი აკეთებდა დათქმას საპატიო გარემოებებზე მითითებით: თუ ბრალდებული ხანდაზმულობის, ავადმყოფობის ან სხვა მსგავსი მიზეზით ვერ გამოცხადდება სასამართლო პროცესზე, მაშინ მუშა-პირუტყვი ან ურემი უნდა გადასცეს. გადაჭრით შეუძლებელია ითქვას, მონმეები უნდა ყოფილიყვნენ ბრალდებულის არყოფნისას, დაკავებისას თუ ორივე შემთხვევაში. კანონით ასევე განისაზღვრებოდა სამართლებრივი დავის გადანყვეტის ვადები: თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ ორივე მხარე შუადღემდე უნდა გამოცხადდეს ფორუმზე ან კომიციაზე და ორივემ იქ უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიციის მართებულობა. მაგისტრატს შუადღის შემდეგ უნდა გამოეტანა გადანყვეტილება და სასამართლო წარმოება მზის ჩასვლით სრულდებოდა.

I დღვა

თარგმანი

1. თუ სასამართლოში დაუძახეს, წავიდეს. თუ არ წავა, [მოსარჩელემ] მოწმე მოიხმოს. ამგვარად მისაღებია.
2. თუ მოპასუხე გაიქცევა ან შეეცდება გაიქცეს, ხელით დავაკავებ.
3. თუ ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის გამო მოიმიზეზებს ნაუსვლელობას, მოპასუხეს მოსარჩელე მიიყვანს. თუ არ ისურვებს, [მოსარჩელე] არაა ვალდებული წაიყვანოს.
4. მფლობელი უზრუნველყოფს მფლობელს; პროლეტარი უზრუნველყოფს მოქალაქეს, რომელსაც [ეს] სურს.
5. [ვალდებულებისგან გათავისუფლებული და ვალდებულების არქმონე უფლებრივად თანასწორია]
6. იქ, სადაც ისინი [მხარეები] შეთანხმდებიან, [მოსამართლე] იღებს გადაწყვეტილებას.
7. [თუ მხარეები] შუადღემდე ვერც შეკრებაზე და ვერც ბაზარში ვერ შეთანხმდებიან, გადაწყვეტილების [მიღებას] ორივე ესწრება.
8. შუადღის შემდეგ მოსამართლე [გადაწყვეტილებას იღებს] დამსწრე [მხარის] სასარგებლოდ.
9. თუ ორივე მხარე ესწრება, მაშინ განხილვა უნდა დასრულდეს მზის ჩასვლამდე.
10. პროლეტარები, გადასახადის ამკრეფნი, მკურნალები... წადით ... მიჰყევით და ოცდახუთი ასსი და აზღვევინეთ...

V. II დღვა

დღემდე მოღწეული ფორმით მეორე დღვა ერთ-ერთი ყველაზე მცირე მოცულობისაა: შედგება სამი მუხლისაგან, რომლებიც ადგენენ სასამართლო გირავნობის ოდენობას სამართლებრივი დავის ობიექტიდან გამომდინარე. მითითებულია სასამართლო პროცესის გადადებასთან დაკავშირებული შესაძლო მიზეზები და გარემოე-

ბები. განსაზღვრულია მოწმის გამოძახების წესი და საამისოდ დადგენილი ვადა.

## II ღაფა

### თარგმანი

1. სარჩელის თანხა ნივთზე არის ორმოცდაათი ასსი ან ათასი ასსი; როგორც ეს XII დაფის კანონებითაა განსაზღვრული. თუ დავა ეხება თავისუფალ პირს, რაოდენ დაფასებულიც არ უნდა იყოს იგი, იმავე კანონით გათვალისწინებულია ორმოცდაათი ასსი.

2. მძიმე ავადმყოფობის ან უცხოელთან დავის შემთხვევაში... თუკი რომელიმე სასამართლოს განსახილველია... განხილვის დღე გადაიდება.

3. ვისი მოწმეობაც ვერ მოხერხდა, ყოველ მესამე დღეს მის [მოვალის] კართან იძახონ.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ქავთარია გ., რომის ისტორია, თბილისი, 2016
- Steinberg M., The Twelve Tables and Their Origins: An Eighteenth-Century Debate, Journal of the History of Ideas, Vol. 43, No. 3, 1982
- Tellegen-Couperus O., A Short History of Roman Law, Routledge, 1993
- Winkel L., Roman Law and Its Intellectual Context, in: The Cambridge Companion to Roman Law, Edited by D. Johnston, Cambridge University Press, 2015
- Kuryłowicz M., Prawo Rzymskie, Historia, Tradycja, Współczesność, Lublin, 2013
- Kuryłowicz M., Wiliński A., Rzymskie Prawo Prywatne, Zarys Wykładu, Warszawa, 2016
- Guarido A., Pagine di Diritto Romano, IV, Napoli, 1994
- Хрестоматия по Истории Государство и Права зарубежных Стран, Том 1, Древний Мир и Средние Века, Москва, 2007
- Хрестоматия по Истории Древнего Мира, Москва, 1953

# THE LAWS OF THE TWELVE TABLES: I AND II TABLES

---

**MARIAM KHOPERIA**

Associate Professor at Sulkhan-Saba Orbeliani University,  
Assistant Professor at Ivane Javakishvili Tbilisi State  
University

<https://orcid.org/0000-0002-4798-5949>

## **Abstract**

The article overviews one of most ancient and important laws of ancient Rome – The Laws of the Twelve Tables (Lex Duodecim Tabularum). The paper is focused mostly on the first and second tables, they are translated from Latin to Georgian. This is the first translation of the original text. Translated was compared with the French, English and Italian versions of the laws.

**Keywords:** Roman Law, Twelve Tables, Customary Law.



# ჰარტის ნეოპოზიტივიზმის დუორკინისეული კრიტიკა

## იაკობ ჭიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

<https://orcid.org/0009-0002-4893-0170>

### I. შესავალი

კანონმდებლობა მოიცავს მხოლოდ წესებს, თუ მოიცავს ასევე მორალს? ჰარტი და დუორკინი სწორედ ამ საკითხზე კამათობენ. ჰარტი მიიჩნევდა, რომ კანონი სხვა არაფერია, თუ არა წესების ერთობლიობა,<sup>1</sup> ხოლო დუორკინის აზრით, კანონი შეიცავს არა მხოლოდ წესებს, არამედ პრინციპებს, სადაც განერილია მორალური ელემენტები.<sup>2</sup>

ჰარტისა და დუორკინის დებატები ეხება მართლმსაჯულების სამოსამართლო მეთოდებს. ისინი განიხილავენ სასამართლო დისკრეციის ფარგლებს, კანონის რაობის საკითხებს და „რთულ შემთხვევებზე“ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდებს. სტატია მიმოიხილავს ჰარტისეული ნეოპოზიტივიზმის ძირითადი პოსტულატების დუორკინისეულ კრიტიკას, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია „რთულ შემთხვევებთან“ დაკავშირებით სასამართლო დისკრეციის განხორციელებისას მოსამართლის

<sup>1</sup> იხ., art H.L.A., Concept of Law, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 79-91.

<sup>2</sup> იხ., Dworkin R., Law's Empire, Harvard University Press, 1986, 9-12.

უფლებამოსილების ფარგლებსა და როლთან დაკავშირებით. სტატი-  
აში განხილულია დუორკინის ჰიპოტეტური მოსამართლე, რომელ-  
საც აქვს „ჰერკულესის“ ძალა. მისი შეხედულებით, „მოსამართლე  
ჰერკულესი“ არის იდეალური მოსამართლე, რომელიც გამოირჩევა  
პროფესიონალიზმითა და გონივრულობით. მას კანონმდებლობაში  
ყოველთვის შეუძლია იპოვოს ერთი სწორი პასუხი და მოდავე მხა-  
რეთა უფლებათა ანონვით და შეფასებით მიიღოს სამართლიანი გა-  
დაწყვეტილება.<sup>3</sup> დუორკინი მოსამართლე ჰერკულესით პასუხობს  
და აკრიტიკებს ჰარტის მოსამართლის დისკრეციის თეზას.

## II. პირველადი და მეორეული წესები, საკანონმდებლო სიცარიელე

ჰარტის თეორიის კრიტიკოსებიდან გამოირჩევა მისი მოსწავლე რო-  
ნალდ დუორკინი, რომლის შეფასებით, ჰარტის სამართლის თეორია  
არასრულყოფილია იმ თვალსაზრისით, რომ სამართლის პოზიტი-  
ვისტური თეორია არ შედგება მხოლოდ სამართლის „პირველადი“  
და „მეორეული“ ნორმებისგან, რადგან სამართლის სისტემაში დიდი  
და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართლის პრინციპებსაც.<sup>4</sup>  
დუორკინი ჰარტის თეორიიდან გამოყოფს სამ ძირითად საკითხს:  
1. პირველადი ნორმები, იგივე სამართლის „ძირითადი ნორმები“  
ქცევის წესების ერთობლიობაა, ფუძემდებლური პრინციპები და  
სტანდარტები, რითაც შებოჭილნი არიან სოციუმის წევრები, ანი-  
ჭებს უფლებებს და აკისრებს ვალდებულებებს;<sup>5</sup> 2) „მეორეული  
წესები“, იგივე წესები წესების შესახებ, რომლებიც სათანადოდაა

<sup>3</sup> Dworkin R., Dworkin's Rights Thesis, Michigan Law Review, Vol. 74, No. 6, 1976, 1167–1199.

<sup>4</sup> Shapiro S. J., The Hart-Dworkin Debate: A Short Guide for the Perplexed, University of Michigan Law School Working Paper No. 77, 2007, 48-50.

<sup>5</sup> Dworkin R., Taking Rights Seriously, Harvard University Press, 1977, 17; უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუნა-  
დიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 40.

მიღებული (მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების წესი, კანონების მიღების, შეცვლის და პროცედურული სახის წესები);<sup>6</sup> 3. აღიარების წესისა და მათგან მიღებული ძირითადი წესების მიუხედავად, არსებობს „ღია-ტექსტურისა“ და „პენუმბრული შემთხვევების“ ფენომენი.<sup>7</sup>

დუორკინი აკრიტიკებს მართლმსაჯულების ჰარტისეულ თეორიასაც, რადგან „რთული შემთხვევების“, ან რასაც ჰარტი უწოდებს „პენუმბრული შემთხვევების“, გადაწყვეტისას სასამართლო არ უნდა ხელმძღვანელობდეს ფართო დისკრეციით, რადგან სამართალშეფარდებისას მოსამართლე არ შეიძლება ეწეოდეს კანონშემოქმედებით საქმიანობას. სხვა სიტყვებით, როდესაც მოსამართლე ახორციელებს სასამართლო დისკრეციას, ის მოქმედებს პოზიტიური კანონმდებლობის ბოჭვის მიღმა, რაც დაუშვებელია და არღვევს ძალაუფლების გამიჯვნის პრინციპს.<sup>8</sup> მაგალითად, ჰარტის აზრით, „რთული შემთხვევების“ განხილვისას მოსამართლეს კანონმდებლობა ვერ კარნახობს შედეგს და არის საკანონმდებლო სიცარიელეში, ამიტომაც იგი სასამართლო დისკრეციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას და ავსებს კანონმდებლის მიერ დაშვებულ სიცარიელეს, ანუ ქმნის ახალ სამართლებრივ აქტს, რომლითაც ავსებს დაშვებულ ხარვეზს.<sup>9</sup> აღნიშნულ საკითხში, დუორკინის განმარტებით, ჰარტი ცდება ორი მიზეზის გამო: 1. კანონმდებლობაში არ არსებობს ე.წ. „ხვრელი“, რადგან სამართლის პრინციპები ფარავს ყოველგვარ სიცარიელესა თუ ხარვეზს; 2. სასამართლოს არ გააჩნია კანონშემოქმედებითი უფლებამოსილება და კი არ ავ-

<sup>6</sup> Hart H.L.A. *The Concept of Law*, 2<sup>nd</sup> Ed., Oxford University Press, 1986, 80-82; ბიქსი ბ., იურისპრუდენცია: თეორია და კონტექსტი, მე-8 გამოცემა, ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, გ. თავაძის რედაქტირებით, თბილისი, 2023, 72-73.

<sup>7</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Bloomsbury Academic, 2013, 23, 34.

<sup>8</sup> იქვე, 35.

<sup>9</sup> იქვე.

სებს სიცარიელეს, არამედ განმარტავს ზემდგომ სამართლის ნორმას (სამართლის პრინციპებსა და სტანდარტებს)<sup>10</sup>.

### III. ალიარების წესი

დუორკინმა თავისი კრიტიკის კონცენტრირება მოახდინა „ალიარების წესზე“, რომელიც არსებითაა ჰარტის პოზიტივისტური სამართლის სისტემისთვის. ჰარტის განმარტებით, „ალიარების წესით“ განისაზღვრა კანონის უზენაესობის საკითხი, კერძოდ ამ წესების მოთხოვნით კანონი უნდა იქნეს მიღებული სათანადო წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართლის ნორმა არ იქნება ლეგიტიმური; სწორედ „ალიარების წესის“ დაცვით მიღებული სამართლის ნორმა აკისრებს კანონის ადრესატებს მოვალეობას, დაემორჩილონ კანონს.<sup>11</sup>

ჰარტის მიხედვით,

*„კანონი არის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს, ის თავის თავში მოიცავს „შინაგან თვალსაზრისს“ და ამით ადასტურებს, რომ კანონი, როგორც პირველადი წესი, საფუძველია, კანონზე დაყრდნობით იქნეს მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება“<sup>12</sup>.*

დუორკინი პასუხობს, რომ ზოგჯერ მხოლოდ სამართლის ნორმაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება არაა საკმარისი, რადგან არსებობს შემთხვევები („რთული შემთხვევები“), რომელთა დაკავშირებითაც კანონმდებლობა ზოგჯერ ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან კანონი ვერ კარნახობს მოსამართლეს შედეგს, ნორმის არარსებობის ან ბუნ-

<sup>10</sup> Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, 45-52.

<sup>11</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 42, 49-50.

<sup>12</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 111-113.



დოვანების გამო.<sup>13</sup> ამრიგად, „ალიარების წესები“ ვერ უზრუნველყოფს „რთული შემთხვევისას“ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცესს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ჰარტის შეხედულებით, „პოზიტივისტ მოსამართლეს“ გადაწყვეტილების მიღებისას შეუძლია დაეყრდნოს სამართლის პრინციპებს, თუმცა „რთულ შემთხვევებს“ ჰარტი აფასებს, როგორც შემთხვევებს, როდესაც მოსამართლეებმა უნდა ისარგებლონ ძლიერი სამოსამართლო დისკრეციით, რაც დუორკინისთვის შეცდომაა, რადგან დისკრეციაში ჰარტი მოიაზრებს მოსამართლის კანონშემოქმედებით საქმიანობას, კერძოდ, „ლია ტექსტურა“ და „პენუმბრული შემთხვევა“, ანუ სამართლის ნორმის ბუნდოვანება, უზუსტობა და „საკანონმდებლო სიცარიელე“ არის სივრცე, სადაც მოსამართლეები არ იზღუდებიან წესებით და ისინი იყენებენ თავიანთ მიხედულობას, რა დროსაც მოსამართლე ავსებს კანონმდებლობაში დაშვებულ სიცარიელეს. ეს დუორკინისთვის სრულიად მიუღებელი და „უკონტროლო“, ვინაიდან „რთული შემთხვევის“ სასამართლო გადაწყვეტილებას არ იღებს საკანონმდებლო სიცარიელეში, სადაც არ არსებობს შემთხვევის გადამწყვეტი მარეგულირებელი სტანდარტი.<sup>14</sup> დუორკინი განიხილავს სერჟანტის მაგალითს, რომელსაც უბრძანეს ხუთი გამოცდილი მეომარი შეარჩიოს პატრულირებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა ეს არ არის შეუზღუდავი, რადგან მას აქვს კონკრეტული მოცემულობა (სტანდარტი), რომლის ფარგლებშიც აკეთებს არჩევანს. ამრიგად, დუორკინი მიიჩნევს, რომ შეზღუდვები წესდება სამართლის სტანდარტებისა და სამართლის პრინციპების მეშვეობით, რაც, თავის მხრივ, გამოსხატავს მორალურ და პოლიტიკურ კონტექსტს.<sup>15</sup>

<sup>13</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 65.

<sup>14</sup> იქვე, 68-71.

<sup>15</sup> იქვე, 34-35; Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, 9-12.

#### IV. სამართლის პრინციპები, რომორც სამოსამართლო დისკრეციის მექანიზმი

დუორკინის განმარტებით, ჰარტისეული პოზიტივისტური მოდელი, რომელიც იზიარებს უკონტროლო სამოსამართლო დისკრეციას, სერიოზულად ძირს უთხრის კანონის მოდელის ძალასა და ეფექტიანობას. კანონმდებლობა არის კონვენციური დანაწესი, რომელიც სამართლებრივ პრობლემას ეფექტიანად აგვარებს, თუმცა თუ ის ინდივიდუალური მოსამართლის უკონტროლო სამოსამართლო დისკრეციის მხრიდან შეცვლის ან მოდიფიკაციის ობიექტი გახდება, მაშინ სამართლის ნორმა ველარ იფუნქციონირებს სამართლის პოზიტივისტურ მოდელში, ამიტომაც სავალდებულოა აღიარებულ იქნეს სამართლის პრინციპები და სტანდარტები, რომელთა მეშვეობით გაკონტროლდება თავად კანონი.<sup>16</sup>

ჰარტისადმი კრიტიკის გასამყარებლად დუორკინი წარმოადგენს ორ რთულ შემთხვევას: „რიგსი პალმერის წინააღმდეგ“<sup>17</sup> და „ჰენინგსენი ბლუმფილდ მოტორსის წინააღმდეგ“<sup>18</sup>. პირველ საქმეში მამკვიდრებლის ნება გამოვლენილი იყო ანდერძით და მისი შეცვლის უფლება არავის ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მემკვიდრემ მამკვიდრებლის მკვლევლობისთვის მოიხადა სასჯელი, განიზრახა დაუფლებოდა სამკვიდროს, რომელიც მას ანდერძით დაუტოვა გარდაცვლილმა მამკვიდრებელმა. ამასთანავე, არ არსებობდა რეგულაცია, რომელიც მამკვიდრებელს არ მისცემდა ნებას, დაუფლებოდა კუთვნილ სამკვიდროს, რაც ნიშნავდა იმას, რომ სამართლებრივი ნორმები, მხარს უჭერდნენ მკვლელის უფლებებს, დაუფლებოდა სამკვიდროს. თუმცა, ამის მიუხედავად, მას უარი ეთქვა მემკვიდრეობის მიღებაზე, რასაც სასამართლომ საფუძვლად დაუდო სამართლის ფუნდამენტური მაქსიმა – „არავის უნდა

<sup>16</sup> იხ., Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, 42-46.

<sup>17</sup> *Riggs v. Palmer*, 115 N.Y. 506 (1889).

<sup>18</sup> *Henningsen v. Bloomfield Motors, Inc.*, 32 N.J. 358, 161 A.2d 69 (N.J. 1960).

მიეცეს უფლება, იხიროს დანაშაულებრივი ქმედებით მითვისებული ქონებით<sup>19</sup>. სწორედ სამართლის ეს პრინციპი გახდა გადანყვეტილების სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც რიგს აეკრძალა სამკვიდროს მიღება. სასამართლომ განმარტა, რომ ის გასცდა ნორმის ფარგლებს, რადგან ეს არ იყო ტიპური შემთხვევა და რადგან არ არსებობდა ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული რეგულაცია ან პრეცედენტი, ის იძულებული იყო, ახალი გადანყვეტილებით დაედგინა ახალი მონესრიგება. სამართლის პრინციპი, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, იყო არაფორმალური წესი, რომელიც გამომდინარეობს საერთო სამართლის პრინციპებიდან, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავენ გარკვეული ზნეობრივი შინაარსის დანაწესებს.<sup>20</sup>

ზემოაღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ სასამართლო დასაბუთებულობა საჭიროებდა მოცემული ნორმების შინაარსის ფართო მიზნობრივ ინტერპრეტაციას. სხვა სიტყვებით, სასამართლო ინტერპრეტაცია საჭიროებდა გასცდენოდა ნორმის ტექსტის მიერ დადგენილ საზღვრებს და განემარტა სამართლის პრინციპები ისე, რომ არ დარღვეულიყო სამართლიანობა. დუორკინისეული „სამართალი, როგორც მთლიანი“ სისტემა აძლევს მოსამართლეს საშუალებას, დარჩეს კანონმდებლობის ფარგლებში და პრინციპების განმარტების მეშვეობით დაასაბუთოს სამართლიანი გადანყვეტილება.

„რიგსი პალმერის წინააღმდეგ“, როგორც დუორკინი განმარტავს, არის „რთული შემთხვევის“ კლასიკური მაგალითი, სადაც გადანყვეტილების მიღება რთულდება შემდეგი მიზეზებიდან გამომდინარე: (1) შემთხვევა არის სიახლე, ანუ სასამართლო საქმეში წარმოდგენილია კანონმდებლობისთვის აქამდე გაუთვალისწინებელი ფაქტობრივი გარემოებები და არ არსებობს ზუსტი სამართლებრივი

<sup>19</sup> Perry T.D, Contested Concepts and Hard Cases, Ethics, Vol. 88, No. 1, 1977, 20-25; MacCormick N., Legal Reasoning and Legal Theory, Clarendon Press, 1978, VIII.

<sup>20</sup> იხ., Dworkin R., Law's Empire, Harvard University Press, 1986, 9-12.

მონესრიგება;<sup>21</sup> (2) საქმის გადაწყვეტისთვის შესაბამისი მოქმედი მომნესრიგებელი ნორმა მოსამართლეს კარნახობდა სამართლიანობის პრინციპების საწინააღმდეგო შედეგს.<sup>22</sup> რადგან ჰართისეული ნეოპოზიტივიზმი არ აღიარებს სამართლის პრინციპებისა და სტანდარტების არსებობას საკანონმდებლო სივრცეში და მიაჩნია, რომ კანონმდებლობა მოიცავს მხოლოდ პირველად და მეორეულ წესებს, აღნიშული მოსამართლეს არ მისცემდა საშუალებას, ემსჯელა კანონის ტექსტის დანაწესის საწინააღმდეგოდ, ეს კი სამართალშემფარდებელს აიძულებდა მიეღო არასამართლიანი გადაწყვეტილება.

ბლუმფილდის საქმეში ჰენინგსენმა შეიძინა ავტომობილი და საჭის მექანიზმის გაუმართაობის გამო მიიღო დაზიანებები. მოსარჩელემ სადავო გახადა ხელშეკრულებაში მითითებული პუნქტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ კომპანია პასუხს არ აგებდა ნაკლოვან პროდუქციაზე და ამიტომ მას არ ეკისრებოდა დაზიანებული ნაწილის შეცვლის ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ჰენინგსენი ირწმუნებოდა, რომ უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული დაზიანებები გამონვეული იყო შეძენილი მანქანის მართვის გაუმართავი მექანიზმით. მან მწარმოებლისგან მოითხოვა კომპენსაცია იმ მოტივით, რომ მიუხედავად ხელშეკრულებაში ჩანერილი დანაწესისა, კომპანიას პასუხი უნდა ეგო მიყენებული ზიანის გამო. ჰენინგსენის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა გარემოება, რომ სასამართლო უძღური იყო, შესულიყო კერძო პირებს შორის დადებული ხელშეკრულების იურისდიქციაში და გაებათილებინა ყველა წესის დაცვით დადებული ხელშეკრულების დებულება, რომლის მიხედვითაც, კომპანია არ იყო პასუხისმგებელი, აენაზღაურებინა ავტომობილის ნაკლოვანი ნაწილები.<sup>23</sup> ამის მიუხედავად, სასამართლომ

<sup>21</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 81.

<sup>22</sup> Perry T.D., *Contested Concepts and Hard Cases*, *Ethics*, Vol. 88, No. 1, 1977, 30-32; MacCormick N., *Legal Reasoning and Legal Theory*, New York: Clarendon Press, 1978, VIII.

<sup>23</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 24.

ბლუმბერგს ჰენინგსენის სასარგებლოდ დააკისრა ზიანის ანაზღაურება და განმარტა, რომ ავტომობილი ყოველდღიური მოხმარების საგანია და „მწარმოებელს განსაკუთრებული ვალდებულება ეკისრება თავისი პროდუქტის მექანიზმთან, რეკლამირებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებით“<sup>24</sup>. მან ასევე აღნიშნა, რომ, „როგორც წესი, სასამართლო, არ ერევა „გარიგების პირობებში“, თუმცა ეყრდნობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „სასამართლოები არ დაუშვებენ, ისინი გამოიყენონ უთანასწორობისა და უსამართლობის ინსტრუმენტად“.<sup>25</sup>

განხილული მაგალითებით დუორკინი უპირისპირდება ჰარტისეულ პოზიტივიზმს და განმარტავს, რომ როდესაც თეორია ვერ იტევს მსგავსი საქმეების გადანყვეტას, მიზანშეწონილია, მის მიღმა არსებული რეგულაციების გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ პოზიტივიზმი უარყოფს სამართალში მორალური ფენომენის არსებობას, ამკარაა, რომ: 1. ჰარტისეული პოზიტივიზმი საჭიროებს მის მიღმა რეგულაციების დახმარებას; 2. ზემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს იმას, რომ პოზიტიურ სამართალს არ ძალუძს თავად გადანყვეტოს რთული შემთხვევები.

ჰარტის თეორიის მიხედვით, რთულ შემთხვევაზე მიღებული გადანყვეტილება ვერ მიიღება სამართლებრივ ფარგლებში, რამეთუ პოზიტიური სამართლის ჰარტისეულ თეორიაში, „აღიარების წესებით“ დადგენილი კანონის იდენტიურობის კრიტერიუმების მიხედვით, მორალური სტანდარტები, პოლიტიკური ღირებულებები და მსგავსი მოსაზრებები არ შეიძლება იყოს კანონის ნაწილი. ისინი უფრო სტანდარტებია, რომლებსაც მოსამართლეები, თავიანთი შეხედულებისამებრ, იყენებენ და შეუძლიათ განმარტონ კანონი იმ მიმართულებებით, რომლებიც მათ მორალურად, პოლიტიკურად და სოციალურად გამართლებულად მიაჩნიათ.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

V. პენუმბრა, ადვილი შემთხვევები,  
რთული შემთხვევები

დუორკინმა „ადვილი შემთხვევები“ „რთული შემთხვევებისგან“ განაცალკევა მათი გადაწყვეტის განსხვავებული წესის გამო.<sup>26</sup> კერძოდ, „რთული შემთხვევებისგან“ განსხვავებით, „ადვილი შემთხვევების“ გადაწყვეტა, შეიძლება ითქვას, წინასწარაა განსაზღვრული კანონმდებლობით და შესაბამისად, მათი გადაწყვეტა ადვილია, რადგან იურისტი, როგორც წესი, საქმის განხილვისას გამოყოფს მნიშვნელოვან ფაქტებს, მოიძიებს რელევანტურ სამართლებრივ ნორმებს და დედუქციის მეთოდით, ფაქტობრივ გარემოებას მიუსადაგებს სამართლებრივ საფუძველს. სწორედ გადაწყვეტის ასეთი წესის გამო, დუორკინის მსგავსად, სხვა თეორიტიკოსებმაც ასეთ სასამართლო საქმეებს უწოდეს „ადვილი შემთხვევები“.<sup>27</sup> აქ დუორკინს და ჰარტს მსგავსი შეხედულებები აქვთ, თუმცა მათი თეორიები უპირისპირდებიან ერთმანეთს „რთულ შემთხვევებზე“ გადაწყვეტილების მიღების მეთოდთან დაკავშირებით. „რთული შემთხვევა“ არის შემთხვევათა ის კატეგორია, რომლის გადასაწყვეტად ასეთი სტანდარტი და გადაწყვეტილების მიღების მეთოდი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.<sup>28</sup> „ადვილი შემთხვევების“ გადაწყვეტისას გამოიყენება სილოგიზმის მეთოდი, ხოლო „რთული შემთხვევის“ გადაწყვეტისას, დუორკინის შეხედულებით,

---

<sup>26</sup> Hutchinson A.C., Wakefield J.N., A Hard Look at Hard Cases: The Nightmare of a Noble Dreamer, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 2, No. 1, 1982, 92-93.

<sup>27</sup> Heintzelman S.S., Hard Cases, Easy Cases and Weird Cases: Canon Formation in Law and Literature, *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 21, Nos. 2/3, 1988, 65; Schauer F., Easy Cases, *Southern California Law Review*, Vol. 58, No. 2, 1985, 414-416.

<sup>28</sup> Heintzelman S.S., Hard Cases, Easy Cases and Weird Cases: Canon Formation in Law and Literature, *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 21, Nos. 2/3, 1988, 60; გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, წიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2021, I-X.

სასამართლო ეყრდნობა სამართლის პრინციპებს,<sup>29</sup> სხვა სიტყვებით, „ადვილ შემთხვევებს“ წყვეტს კანონები, ხოლო „რთულ შემთხვევებს“ – სამართლის პრინციპები.<sup>30</sup> დუორკინი ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია „რთული შემთხვევის“ ფენომენთან და მისი გადანყვეტის მექანიზმთან, როგორცაა, ნორმის ბუნება და მისი ფუნქციურობის მექანიზმი, სამართლებრივად ქმედითობის კრიტერიუმები, გადანყვეტილების სამართლიანობის და ლეგიტიმურობის საკითხები და სხვ.<sup>31</sup> მის თეორიას საფუძვლად უდევს ნორმის ინტერპრეტაციის სამართლებრივი ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მისთვის განმარტება მართლმსაჯულების განხორციელებისას სასამართლო დასაბუთებულობის განუყოფელი ნაწილია; სასამართლო ინტერპეტაციისას გადანყვეტილების დასაბუთებულობას ყოველთვის თან ახლავს კანონისა და პოლიტიკური და მორალური ფასეულობის ურთიერთკვეთა.<sup>32</sup>

ჰარტისეული პოზიტივიზმისთვის „რთული შემთხვევების“ განხილვა არის „მართლმსაჯულება კანონმდებლობის ჩრდილში“,<sup>33</sup> რადგან მოსამართლეები, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, როდესაც გადანყვეტილებას იღებენ საკუთარი შეხედულებისამებრ, ამით აწესებენ ახალ უფლებებსა და მოვალეობებს მსგავსი ტიპის სამომავლო შემთხვევებისთვის.<sup>34</sup> დუორკინი აკრიტიკებს ასეთ მიდგომას, რამეთუ, ჰარტის მიდგომით, „რთული შემთხვევების“ გადანყვეტისას პოზიტივისტი მოსამართლე არ მი-

<sup>29</sup> Hutchinson A.C., Wakefield J. N., A Hard Look at Hard Cases: The Nightmare of a Noble Dreamer, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 2, No. 1, 1982, 92-93.

<sup>30</sup> Endicott T., Are There Any Rules?, *The Journal of Ethics*, Vol. 5, No. 3, 2001, 199-219.

<sup>31</sup> Dworkin R., *Justice for Hedgehogs*, Harvard University Press, 2011, 158-160.

<sup>32</sup> Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, 48-50.

<sup>33</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 124.

<sup>34</sup> Dworkin R., *Judicial Discretion*, *Michigan Law Review*, Vol. 5, No. 60, 1963, 624, 638.

მართავს დავის გადაწყვეტის სტანდარტულ სასამართლო მანიპულაციებს, იგი გადაწყვეტილების დასასაბუთებლად მიმართავს კანონის მიღმა არსებულ ფაქტორებს ან არალეგიტიმურად ასრულებს კანონშემოქმედებით, საკანონმდებლო ფუნქციას, რაც დაუშვებელია, ვინაიდან, „როდესაც მოსამართლეები ქმნიან ახალ რეგულაციას, ისინი მოქმედებენ როგორც საკანონმდებლო ორგანოს მოადგილეები“.<sup>35</sup> ასევე „თუ მოსამართლე შეიმუშავებს ახალ კანონს და გამოიყენებს მას უკუქცევით მის წინაშე არსებულ საქმეში, მაშინ წაგებული მხარე აღმოჩნდება არათანაბარ მდგომარეობაში არა იმიტომ, რომ მან დაარღვია გარკვეული მოვალეობა, არამედ ამ მოვლენის შემდეგ შეიქმნა ახალი რეგულაცია“<sup>36</sup>.

დუორკინის თეორიის მიხედვით, „რთული შემთხვევების“ გადაწყვეტა მოითხოვს სამართლის როგორც ნორმატიულ, ასევე კონცეპტუალურ რესურსებს. გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე სარგებლობს სამოსამართლო დისკრეციით: განმარტავს სამართლის პრინციპებს პოლიტიკური და მორალური შეხედულებების ფარგლებში.<sup>37</sup>

ამდენად, ჰარტისეულ ნეოპოზიტივიზმს უჭირს განმარტების მოძებნა შემთხვევების გადასაწყვეტად, რადგან იგი ხაზს უსვამს: (1) კანონისა და მორალის მკვეთრ გამიჯვნას; (2) სამართლებრივი მოქმედების კონსტრუქციას ავტორიტეტული წარმოშობის თვალსაზრისით და (3) სამართლის, როგორც წესების სისტემის, კონცეპტუალურ აღქმას. იმის გამო, რომ რთული შემთხვევები განმარტავს არსებულ, განსაზღვრულ წესებს, პოზიტივიზმს აღარ რჩება თეორიული ალტერნატივა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლეები იყენებენ ზნეობრივ და პოლიტიკურ სტანდარტებს,

<sup>35</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 82.

<sup>36</sup> იქვე, 84.

<sup>37</sup> Shapiro S. J., *The Hart-Dworkin Debate: A Short Guide for the Perplexed*, University of Michigan Law School Working Paper No. 77, 2007, 7-15.



პრინციპებსა და ღირებულებებს რთული შემთხვევების გადანყვეტისას. იმის გათვალისწინებით, რომ კანონი კონცეპტუალური კავშირია წესთან და მოქმედებასთან, ასეთი სტანდარტები, პრინციპები და ღირებულებები არ უნდა მოქმედებდეს კანონს მიღმა.

## VI. მოსამართლე „ჰერკულესი“

ჰარტის სამოსამართლო დისკრეციის თეზას დუორკინი პასუხობს „მოსამართლე ჰერკულესით“, ის მისი იდეალური, ყოვლისშემძლე მოსამართლეა და მას იყენებს რთული შემთხვევების გადანყვეტის პროცესის უკეთ ილუსტრაციისთვის.<sup>38</sup> განხილული გადანყვეტილებები დუორკინისთვის მაგალითებია, სადაც მოსამართლემ გადანყვეტილების მიღებით დაადგინა იმპერატივი, რომელიც კანონდმებლობაში შეიძლება ირიბად ან საერთოდ არ იკვეთებოდა.<sup>39</sup> ორივე შემთხვევაში მოსამართლემ გამოკვეთა კანონი, რომლის მიხედვით დადგენილი რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს სამართლიანი გადანყვეტილების მიღებას. იგი მიიჩნევს, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ჰერკულესის ძალა, რათა შეძლოს გადაუხვიოს იმ მონესრიგებას, რომელიც მას არასწორ შედეგს კარნახობს, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცედურა არ არის შეუზღუდავი, მოსამართლე ვალდებულია დაასაბუთოს მისი ახლებური გადანყვეტილება ისე, რომ იკვეთებოდეს სამართლიანი შედეგი და სასურველს ამყარებდეს სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებზე.<sup>40</sup> სხვა სიტყვებით, გადანყვეტილების მიღების პროცესში ჰერკულესმა უნდა მიიღოს პოლიტიკური და მორალური ფასეულობებით გაჯერებული გადანყვეტილებები, რომელთაც, თავის მხრივ, ამოიკითხავს სამართლის პრინციპებში.<sup>41</sup>

<sup>38</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 105-130.

<sup>39</sup> იქვე, 114-115.

<sup>40</sup> იქვე, 118-123.

<sup>41</sup> იქვე, 126.

მართალია, გადანყვეტილებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ ისინი არ უნდა გადანყდეს მხოლოდ მოსამართლის ინდივიდუალური ხედვით. დუორკინი განმარტავს, რომ მოსამართლე აღჭურვილია „თეორიული ცოდნით იმის შესახებ, თუ რას მოითხოვს თავად კანონი ან პრეცედენტი და თუ მოსამართლე ასახავს საკუთარ ინტელექტუალურ და ფილოსოფიურ შეხედულებას ამ გადანყვეტილების მიღებისას, ეს, რასაკვირველია, განსხვავდება იმ ფენომენისგან, რასაც ჰქვია საკუთარი ინდივიდუალური ხედვა“<sup>42</sup>. ამრიგად, მოსამართლე ჰერკულესის შეხედულება არ შეიძლება დიდად გამოირჩეოდეს ინდივიდუალიზმით, რადგან რთული შემთხვევების განხილვისას ყველა მოსამართლე შებოჭილია სამართლის პრინციპით და მოსამართლის ძლიერი თეორიული განათლებითა და გამოცდილებით პასუხი ყოველთვის იქნება აშკარა და ცალსახა.<sup>43</sup> ჰერკულესის ფენომენი ასახავს იმ იდეას, რომ „რთული შემთხვევების“ მომწესრიგებელი სამართლის პრინციპები კანონის შემადგენელი ნაწილია.<sup>44</sup> ის მოიაზრებს პოლიტიკური ზნეობის სფეროს, სადაც ხშირად მოსამართლეების შეხედულებები განსხვავებულია.<sup>45</sup>

დუორკინის მიერ წარმოდგენილი თეორია დაფუძნებულია თანასწორობის კონცეფციაზე და მოიცავს უფლებას თანაბარ ზრუნვასა და პატივისცემაზე.<sup>46</sup> ესაა ღირებულებები, რომლებიც გამომდინარეობს კონსტიტუციის თანაბარი დაცვისა და სათანადო პროცესის დებულებებიდან, მაშინაც კი, როდესაც ისინი მიმართული არაა უმრავლესობის სასარგებლოდ. ამრიგად, უფლებების დაცვა სასამართლოს მიერ გარანტირებულია კონსტიტუციის ფარგლებში, მა-

<sup>42</sup> იქვე, 117-118.

<sup>43</sup> იქვე, 105-107.

<sup>44</sup> იქვე, 128-130.

<sup>45</sup> იქვე, 123-126.

<sup>46</sup> Dworkin R., Dworkin's 'Rights Thesis, Michigan Law Review, Vol. 74, No. 6, 1976, 1167-1199.

შინაც კი, როდესაც უმრავლესობის შეხედულება არ ემთხვევა ერთი კონკრეტული მოსამართლის გადაწყვეტილებას.<sup>47</sup>

## VII. გადაწყვეტილების მიღება სასამართლო დისკრეციით

სასამართლო დისკრეციით გადაწყვეტილების მიღება გულისხმობს მანიპულაციას, როდესაც მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას რომელიმე კონკრეტული ორგანოს მიერ დადგენილ სტანდარტების ფარგლებში<sup>48</sup> (მაგალითად, სამხედრო მეთაურისადმი დაქვემდებარებული სერჟანტი, რომელსაც დაევალა მისი შეხედულებისამებრ აირჩიოს 5 ჯარისკაცი ან სპორტის მსაჯი, რომელიც მოქმედებს თამაშის დადგენილი წესებით ან შეჯიბრის პირობებით, რა დროსაც ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ იღებენ გადაწყვეტილებებს). ამგვარად, დუორკინის შეხედულებით, გადაწყვეტილების მიღება საკუთარი შეხედულებისამებრ, არსებობს მხოლოდ იმ ადგილას, რომელიც გარშემორტყმულია შეზღუდვებით. ჰარტის განმარტებით, პენუმბრული შემთხვევების გადაწყვეტისას მოსამართლე მიმართავს სასამართლო დისკრეციას ძლიერი გაგებით, რა დროსაც მოსამართლე ქმნის ახალ კანონს, რაც, დუორკინის შეფასებით, არასწორია.<sup>49</sup>

სასამართლო დისკრეცია, ვინრო გაგებით, გულისხმობს მოსამართლის უფლებამოსილებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, კანონზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო, ფართო გაგებით (ჰარტთან), – მოსამართლის კანონშემოქმედებით საქმიანობას.<sup>50</sup> სა-

<sup>47</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 272-277.

<sup>48</sup> Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, 126.

<sup>49</sup> Dworkin R., *Judicial Discretion*, *The Journal of Philosophy*, Vol. 60, No. 21, 1963, 624-638; Hughes G., *Law, Reason, and Justice*, New York University Press, 1969, 24-30.

<sup>50</sup> Dworkin R., *The Model of Rules*, *Chicago Law Review*, Vol. 35, No. 22, 1967, 32-40.

სამართლო დისკრეციას მიმართავენ არა მხოლოდ იმისთვის, რომ თანამდებობის პირმა გამოიჩინოს გონიერება და განმარტოს სხვა ორგანოს მიერ დადგენილი ზოგადი ხასიათის სტანდარტები, ან რომ არავინ შეცვალოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ იმის ხაზგასასმელად, რომ, პირობითად, მოსამართლე ვალდებულია იხელმძღვანელოს სხვა ორგანოს მიერ დადგენილი სტანდარტით. მაგალითად, როდესაც საუბარია, რომ სერჟანტი, რომელსაც უბრძანეს, აირჩიოს პატრულირებისთვის ხუთი ჯარისკაცი, თავისი შეხედულებებისამებრ წყვეტს, როდის ან ვინ აირჩიოს ან როდესაც ძალების გამოფენის მსაჯი თავის შეხედულებისამებრ გადაწყვეტს, ჯერ რომელი ჯიშები უნდა გამოვიდნენ ასპარეზზე, თუ მანამდე არ იქნა დადგენილი რიგითობა. სასამართლო დისკრეციით გადაწყვეტილების მიღებისას ხაზი ესმევა გადაწყვეტილების მიღების ფარგლებს და სტანდარტის იურისდიქციის საზღვრებს. თუ სერჟანტს დაევალა ხუთი ყველაზე გამოცდილი ჯარისკაცის არჩევა, მისი გადაწყვეტილების მიხედულობა განსაზღვრულია ბრძანების შინაარსის ფარგლებით. ამასთანავე, თუ სერჟანტს დაევალა, აირჩიოს „გამოცდილი“ ჯარისკაცებისგან ან „გაითვალისწინოს მათი გამოცდილება“, ამ შემთხვევაში მას უზღუდება თავისუფლება, თავად გააკეთოს მოცემული პირობებიდან საუკეთესო არჩევანი. მაშასადამე, გადაწყვეტილების მიღება ვინრო დისკრეციით გულისხმობს მოსამართლის სტანდარტით შებოჭვას.<sup>51</sup>

ჰარტისგან განსხვავებით, დუორკინს მიაჩნია, რომ სასამართლო დისკრეციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება არაა შეუზღუდავი თავისუფლება. თითქმის ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც გადაწყვეტილების მიმღები მოქმედებს, მნიშვნელოვანია, რაციონალობის, სამართლიანობისა და ეფექტურობის გარკვეული სტანდარტების გათვალისწინება და მეტიც, ამ სტანდარტების ფარგლებში შეფასდება და გაკრიტიკებული იქნება მათი ქმედებები და ნებისმიერი ქმედება, რომელიც გასცდება ამ სტანდარტებს, არასამართლიანად მიიჩნევა.

<sup>51</sup> იქვე, 24.

ჰარტის შეფასებით, სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო დისკრეციით მაშინ, როდესაც შემთხვევა მონესრიგებულია ნორმით, ანუ როდესაც სასამართლო განიხილავს „ადვილ შემთხვევებს“, თუმცა, როდესაც საქმე ეხება „ღია ტექსტურას“ და „პენუმბრულ შემთხვევებს“, ამ დროს მოსამართლეს უნევს, გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლო დისკრეციით, რადგან სამართალ-შემფარდებელი საკუთარი შეხედულებებით, გამოცდილებით და ცოდნით მსჯელობს საკითხზე, რომელიც სამართლის ნორმით არ არის მონესრიგებული. ამდენად, რადგან სამართლის ნორმა მოსამართლეს ვერ კარნახობს შედეგს, ფართო სასამართლო დისკრეციით უფლებამოსილია თავად იმსჯელოს და გადაწყვიტოს დავა.

დუორკინის აზრით, ჰარტი ცდება, როდესაც განსხვავებულად ხედავს აღნიშნულ საკითხს, რადგან ის ამტკიცებს, რომ მოსამართლეები არ იღებენ სასამართლო დისკრეციით გადაწყვეტილებას, როდესაც არსებობს დავის მომნესრიგებელი მკაფიოდ დადგენილი ნორმა. ჰარტის არგუმენტი ემყარება იმას, რომ კანონის ზოგიერთი წესი ბუნდოვანია და არის შემთხვევები, რომელთათვისაც დადგენილი წესები არ არსებობს, ამდენად, მოსამართლეებს ზოგჯერ უჭირთ კანონის მუხლების ინტერპრეტაცია, რათა სწორად შეუფარდონ ისინი შემთხვევას.<sup>52</sup>

ჰარტი, როდესაც აღნიშნავს, რომ მოსამართლე სასამართლო დისკრეციით იღებს გადაწყვეტილებას, გულისხმობს იმას, რომ იგი სტანდარტებს არ ემორჩილება, მაშ რა სტანდარტებს იყენებს იგი ამ დროს. აქ ჰარტის თეორია მოისუსტებს, რადგან, ერთი მხრივ, მისთვის სამართალში მორალური შეფასების ფაქტორი დაშვებულია და მეორე მხრივ, უშვებს, რომ მოსამართლე „პენუმბრული შემთხვევების“ განხილვისას აღმოჩნდება საკანონმდებლო სიცარიელებში, რა დროსაც თავად მოსამართლეები წყვეტენ, პრინციპების მაგივრად რა გადაწყვეტილება მიიღონ.<sup>53</sup>

<sup>52</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977, 68-80.

<sup>53</sup> Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012, 144.

ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჰარტი სასამართლო დისკრეციის ცნებას განმარტავს ფართო გაგებით. კერძოდ, მასთან მოსამართლე სცდება არსებული ნორმების ფარგლებს, საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს საქმეს, რადგან იგი აღარ ექვემდებარება არანაირ სტანდარტებს, რომლებიც კანონის მიღმაა და შესაბამისად, შესასრულებლად სავალდებულოდ არ მიიჩნევა. ჰარტის თეორიის სისუსტეს ავლენს დუორკინის მიერ წარმოდგენილი რთული შემთხვევები, სადაც ჰარტის თეორიით მოსამართლეს მოუწევდა კანონშემოქმედის ფუნქციის შეთავსება.

### VIII. სამართლის პრინციპები და ჰარტის თეორიის კრიტიკა

დუორკინი გამოყოფს ჰარტის თეორიის ძირითად შეცდომებს: 1. ჰარტი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ პრინციპები არ არის სავალდებულო, თუმცა შეცდომა იქნებოდა, რადგან, რა თქმა უნდა, ყოველთვის გაუგებარია, სავალდებულოა თუ არა კონკრეტული პრინციპი კონკრეტული შემთხვევისთვის, მაგრამ პრინციპისთვისებაში არაფერია, რაც ხელს შეუშლიდა მას, გამხდარიყო სავალდებულო. მოსამართლე ვალდებულია ყურადღებით შეაფასოს სამართლის ყველა პრინციპი და ერთიანობაში მიღებული შეხედულება უკარნახებს მას დავის სამართლიან გადამწყვეტ შედეგს. სხვა სიტყვებით, სავალდებულოა სამართლის ყველა ნორმა გაითვალისწინოს მოსამართლემ: იგი მხოლოდ „მორალურად“ არის ვალდებული გაითვალისწინოს გარკვეული კონკრეტული პრინციპები;<sup>54</sup> 2. შესაძლოა, ჰარტი გარკვეულწილად იაზრებდეს სამართალში პრინციპების მნიშვნელობას და მიაჩნია, რომ მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ ისინი, თუმცა მისი შეხედულებით, ზოგადი ხასიათისა და სიზუსტის ნაკლებობის გამო ისინი მოსამართლეს ვერ კარნახობენ მკაფიო შედეგს კონკრეტული სადავო შემთხვევის გადასაწყვეტად. ალბათ, ეს იმას

<sup>54</sup> Dworkin R., *Taking Rights Seriously*. Harvard University Press, 1977, 46-50.

ნიშნავს, რომ სტანდარტი უნდა განსაზღვრავდეს კონკრეტულ შედეგს ყოველი სასამართლო დავისთვის და სხვა არაფერია საჭირო. მართალია, ზოგადად სამართლის პრინციპები ნამდვილად არ განსაზღვრავს კონკრეტულ შედეგებს და შესაძლოა, ასეც იყოს, რადგან სამართლის პრინციპები არ არის დავინროებული სამართლის ნორმები. მხოლოდ ნორმები განსაზღვრავს შედეგს, თუმცა, როდესაც ნორმებით მიიღწევა შედეგი, რომელიც მისივე კონცეფციის საპირისპიროა, იგი უნდა იყოს უარყოფილი და გადაიხედოს. პრინციპების შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა: ისინი მიდრეკილნი არიან გარკვეული გადაწყვეტილებისკენ და სიზუსტის ნაკლებობის გამო ყოველთვის უცვლელნი რჩებიან. მაგალითად, სერჟანტისთვის არ არსებობს ფაქტორები, რომლებიც ნათლად მიაჩნებდნენ, რომელი ჯარისკაცია ყველაზე გამოცდილი, თუმცა ხელმძღვანელმა უნდა შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორის ფარდობითი წონა, რაზე დაყრდნობით შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას; 3. ჰარტისთვის პრინციპები არ მიეკუთვნება სამართალს, რადგან მათი ავტორიტეტი და უფრო მეტიც, მათი წონა, პრინციპების ბუნებიდან გამომდინარე, სადავოა. სინამდვილეში, როგორც წესი, შეუძლებელია კონკრეტული პრინციპის სანდოობის ან წონის დემონსტრირება, ისევე, როგორც იმის დემონსტრირება, რომ კანონი მოქმედებს. მოსამართლე არ განსხვავდება სხვა თანამდებობის პირებისგან, რომელმაც უნდა გაიგოს, თუ რა წესრიგს ან თამაშის წესებს ითხოვს მისგან ხელმძღვანელობა და იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ, იმისდა მიუხედავად, ამას მოიწონებენ თუ არა.<sup>55</sup>

## IX. დასკვნა

ჰარტის თეორიის დუორკინისეულმა კრიტიკამ გამოიწვია დებატები სამართლის ფილოსოფიაში სამართლის, კანონის ბუნების, მოსამართლეთა როლისა და სამართლისა და მორალის ურთიერთობის შესა-

<sup>55</sup> იქვე, 62.

ხეზ. ჰარტის მიმართ დუორკინის მთავარი კრიტიკა ფოკუსირებულია იმ აზრზე, რომ კანონი არ არის უბრალოდ წესების ერთობლიობა, რომელიც შეიძლება გამოიყენონ მოსამართლეებმა მექანიკურად. დუორკინის მტკიცებით, მოსამართლეებმა კანონის ინტერპრეტაციისას უნდა გაითვალისწინონ პრინციპები და ღირებულებები. ამრიგად, პოზიტივისტური მიდგომა, რომელიც აცარიელებს კანონს მორალისგან და აქცენტს აკეთებს მხოლოდ სოციალურ ფაქტებზე, ზუსტად არ ასახავს კანონის ბუნებას. „სამართლის, როგორც მთლიანობის“ დუორკინისეული კონცეფციით, არ არსებობს მკაფიო განსხვავება კანონსა და მორალს შორის: სამართლებრივი პრინციპები და უფლებები თანდაყოლილია სამართლებრივ სისტემაში და მოსამართლეებმა უნდა გაითვალისწინონ სადავო შემთხვევების, განსაკუთრებით, რთული შემთხვევების გადწყვეტისას. იგი ასევე არ ეთანხმება ჰარტის ხაზგასმას ენის ღია ტექსტურაზე, რაც ფართო სასამართლო დისკრეციის საშუალებას იძლევა. დუორკინი ამტკიცებდა, რომ ყველა სადავო საკითხზე ყოველთვის მოიძებნება კანონმდებლობაში სწორი პასუხი, რომელიც დაფუძნებულია თანმიმდევრულ მორალურ კონცეფციაზე. კანონმდებლობაში სწორი პასუხის მოძიება კი უნდა უზრუნველყოს მოსამართლემ, რომელსაც აქვს პროფესიული განათლება და გამოცდილება.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- ბიქსი ბ., იურისპრუდენცია: თეორია და კონტექსტი, მე-8 გამოცემა, ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, გ. თავაძის რედაქტირებით, თბილისი, 2023
- გეგენავა დ., რთული შემთხვევის სირთულე, ნიგნში: დუორკინი რ., რთული შემთხვევები, ნ. ქარქუსაშვილისა და ლ. ლურსმანაშვილის თარგმანი, თბილისი, 2021
- უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადაის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012



- Dworkin R., Dworkin's Rights Thesis, *Michigan Law Review*, Vol. 74, No. 6, 1976, 1167–1199
- Dworkin R., *Justice for Hedgehogs*, Harvard University Press, 2011, 158-160
- Dworkin R., *Taking Rights Seriously*, Harvard University Press, 1977
- MacCormick N., *Legal Reasoning and Legal Theory*, Clarendon Press, 1978
- Dworkin R., *Judicial Discretion*, *The Journal of Philosophy*, Vol. 60, No. 21
- Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986
- Dworkin R., *Taking Rights seriously*, Bloomsbury Academic, 2013
- Dworkin R., *The Model of Rules*, *Chicago Law Review*, Vol. 35, No. 22, 1967
- Endicott T., *Are There Any Rules?*, *The Journal of Ethics*, Vol. 5, No. 3, 2001
- Hart H.L.A. *The Concept of Law*, 2<sup>nd</sup> Ed., Oxford University Press, 1986
- Hart H.L.A., *Concept of Law*, 3<sup>rd</sup> Ed., Oxford University Press, 2012
- Heinzelman S.S., *Hard Cases, Easy Cases and Weird Cases: Canon Formation in Law and Literature*, *Mosaic: An Interdisciplinary Critical Journal*, Vol. 21, Nos. 2/3, 1988
- Hughes G., *Law, Reason, and Justice*, New York University Press, 1969
- Hutchinson A.C., Wakefield J.N., *A Hard Look at Hard Cases: The Nightmare of a Noble Dreamer*, *Oxford Journal of Legal Studies*, Vol. 2, No. 1, 1982
- Perry T.D., *Contested Concepts and Hard Cases*, *Ethics*, Vol. 88, No. 1, 1977
- Schauer F., *Easy Cases*, *Southern California Law Review*, Vol. 58, No. 2, 1985
- Shapiro S. J., *The Hart-Dworkin Debate: A Short Guide for the Perplexed*, *University of Michigan Law School Working Paper No. 77*, 2007

# CRITIQUE OF HARTIAN NEOPOSITIVISM BY DWORKIN

---

**IAKOB CHEISHVILI**

Ph.D. Candidate at Grigol Robakidze University

<https://orcid.org/0009-0002-4893-0170>

## **Abstract**

Hart-Dworkin's debate concerns judicial methods of justice and is one of the wellknown academic disputes of the twentieth century jurisprudence. They discuss the scope of judicial discretion, questions of the rule of law and methods of judicial decision-making in "hard cases".

The article reviews the Dworkinian critique of the main postulates of Hartian neopositivism, with a particular focus on the scope and role of the judge in the exercise of judicial discretion in "hard cases".

**Keywords:** Hart, Dworkin, Judicial Discretion, Hard Cases.



# ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მე-2 წინადადების ჰარმონიზაციისათვის

## თამარ ხუბულური

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ასისტენტი,  
დოქტორანტი

<https://orcid.org/0009-0009-8255-7454>

## I. შესავალი

კლიენტის საადვოკატო მომსახურება ემყარება ადვოკატის მიმართ ნდობას, რომელიც იქმნება კლიენტის სრული ინფორმირებით, მათ შორის, ადვოკატის მომსახურების საზღაურის ოდენობისა და გამოთვლის შესახებ.<sup>1</sup> კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას ადვოკატი ეყრდნობა არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალს, არამედ ითვალისწინებს ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებსაც.<sup>2</sup> სახელშეკრულებო თავისუფლება მოიცავს ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ისეთი პირობების შეთავაზებას, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული ქცევის სტანდარტებთან.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Lester B., Cunningham L. A., Nonrefundable Retainers: Impermissible under Fiduciary, Statutory and Contract Law, *Fordham Law Review*, Vol. 57, No. 2, 1988, 153-154.

<sup>2</sup> Long A. B., Attorney-Client Fee Agreements That Offend Public Policy, *South Carolina Law Review*, Vol. 61, No. 2, 2009, 287.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება Nდს-შ/17-16; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება N039/18.

ეთიკურ წესებთან შესაბამისობისთვის ადვოკატი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: საზღაურის განსაზღვრა, კლიენტის წინასწარი ინფორმირება საზღაურის ოდენობასა და გამოთვლის წესზე, კლიენტთან შეთანხმება და საზღაურის გამოუმუშავება.<sup>4</sup>

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დღიდან მიმდინარეობს პროფესიული ეთიკის სტანდარტების ფორმირება, რაც აისახა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღებასა და შემდეგ ადვოკატთა პროფესიული ქცევის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილება-დამატებაში.<sup>5</sup> 2012 წლის დამატების შესაბამისად, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში დაზუსტდა ადვოკატის უფლება, რომელიც საშუალებას აძლევს მას, მომსახურების შეწყვეტისას გამოიანგარიშოს კლიენტის მიერ გადაცემული თანხიდან ურთიერთობის შეწყვეტამდე შესრულებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო, განუული ხარჯი და ვალდებული დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.<sup>6</sup> 2015 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ განავითარა პრაქტიკა მოცემულ საკითხზე. ეთიკის კომისიამ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადება განმარტა, როგორც ადვოკატის ვალდებულება და მისი შინაარსი გაავრცელა გასამრჯელოს სახით მიღებულ ფულად სახსრებზე – გამოუმუშავებელ თანხაზე, ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეთიკის კომისიაში ფინანსურ საკითხებზე დავების ზრდას და 2020-2024 წლებში კლიენტი საჩივრის ავტორების 30%-მა მიმართა კომისიას ადვოკატის მიერ გამოუმუ-

---

<sup>4</sup> Cameron D. C., *Attorney Fees Five Keys to Ethical Compliance*, GPSolo, Vol. 27, No. 7, 2010, 27.

<sup>5</sup> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებების შემუშავებისთვის 2011 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო 2012 წლის 8 დეკემბრის ადვოკატთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კოდექსში შევიდა ცვლილება-დამატებები.

<sup>6</sup> საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

შავებელი ჰონორარის დაუბრუნებლობის გამო დისციპლინური გადაცდომის დადგენისთვის.<sup>7</sup>

ნაშრომში ყურადღება გამახვილდება ადვოკატის უფლებაზე – კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და განუული ხარჯი, ასევე ამ უფლების შინაარსსა და განმარტების ფარგლებზე, მოკლედ მიმოიხილება ეთიკის კომისიის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და ნორმის განჭვრეტადობის ხარისხი.

კვლევის მიზანია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში აპეკ-ი) მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადების ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს რეკომენდაციები ადვოკატის ზემოაღნიშნული უფლების მართებული პრაქტიკული გამოყენებისა და შესაბამისი სტანდარტის ფორმულირების სიღრმისეული კვლევის საჭიროების თაობაზე, შემდეგში გაუმჯობესების მიზნით.

## II. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმის ფორმულირება და შინაარსი

1. ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელოს გამოქვითვა – უფლებიდან ვალდებულებამდე

აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი აწესრიგებს ადვოკატის უფლებებსა და ვალდებულებებს საადვოკატო მომსახურების შეწყვეტისას, კერძოდ, მის თანახმად, „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს

<sup>7</sup> საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 27 მარტის N044/24 წერილი.

გადასცა, ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას, ან წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და განუელი ხარჯი“. განსახილველი ნორმა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შევიდა დამატების სახით 2012 წლის 8 დეკემბრის საერთო კრებაზე და მიზნად ისახავდა კლიენტთან მომსახურების შეწყვეტისას ადვოკატთა უფლების დაცვას – მიიღოს კუთვნილი გასამრჯელო (ჰონორარი) ან აინაზღაუროს განუელი ხარჯი.<sup>8</sup>

ნორმის ობიექტური შინაარსის დასადგენად, გრამატიკული განმარტებით, ადვოკატი უფლებით (გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო (ჰონორარი) და განუელი ხარჯი) სარგებლობს მაშინ, როდესაც წყდება კლიენტის მომსახურება შეთანხმების საგნის ამონურვამდე და ადვოკატს კლიენტისათვის გადასაცემი აქვს თანხა. თუმცა სიტყვასიტყვითი განმარტებით არ დგინდება, რა ტიპის ფულადი სახსრები მოიაზრება „გადასაცემ თანხაში“ და ნორმის ამ ფორმით ჩამოყალიბება ემსახურება ადვოკატის უფლების დაცვას, თუ გულისხმობს მის უპირობოდ დავალდებულებას ურთიერთობის შეწყვეტისას გამოიანგარიშოს, მათ შორის, ჰონორარის დანიშნულებით მიღებული ავანსიდან მისაღები გასამრჯელო და განუელი ხარჯი და დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

მიზნობრივი და სისტემური განმარტებით „გადასაცემი თანხა“ განსახილველია მუხლის პირველ წინადადებასთან ერთად, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატის ვალდებულებას, მომსახურების შეწყვეტისას დაუბრუნოს კლიენტს ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც ადვოკატს კლიენტმა გადასცა ან მიანდო.

---

<sup>8</sup> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სამუშაო ჯგუფის სხდომის N2 ოქმი და კოდექსის ცვლილებათა პროექტი.

ადვოკატი კლიენტის საქმისწარმოების ფარგლებში სხვადასხვა დანიშნულებით იღებს ფულად სახსრებს: საქმისწარმოების ხარჯებისთვის,<sup>9</sup> მინდობილ ქონებას კლიენტისგან ან მესამე პირებისგან კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულების გამო,<sup>10</sup> ავანსს ან ჰონორარს მომსახურების შესრულებისთვის.<sup>11</sup>

## 2. კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები

### V. ავანსი (ჰონორარი)

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტები ცალ-ცალკე აწესრიგებს კლიენტის ფულად სახსრებს:<sup>12</sup> ჰონორართან დაკავშირებით დადგენილია კლიენტის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება ოდენობასა და გამოთვლის წესზე;<sup>13</sup> საქმისწარმოების სავარაუდო ხარჯების თაობაზე კლიენტის წინასწარ ინფორმირების ვალდებულება აქვთ ადვოკატებს;<sup>14</sup> ასევე განსხვავებულ წესებს ადგენს ადვოკატის მიერ კლიენტისაგან მიღებული თანხების განთავსებასა და მართვასთან დაკავშირებით (რაც განპირობებულია მიღებული თანხის დანიშნულებით).<sup>15</sup> აღნიშნული წესები ეხება კლიენტისაგან მიღებული თანხების ცალკე ანგარიშზე განთავსე-

<sup>9</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება N109/18.

<sup>10</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება N054/11.

<sup>11</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება N011/18.

<sup>12</sup> იხ., საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6, მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილები, Charter of Core Principles of the European Legal Profession, 2021, Arts. 3.4, 3.8; ABA Model Rules of Professional Conduct, 2021, Art. 1.5.

<sup>13</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება N106/22.

<sup>14</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება N034/11.

<sup>15</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2012 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება N003/12.

ბას, კეთილსინდისიერად მართვას და ხარჯთაღრიცხვის წარმოებას.<sup>16</sup> ადვოკატის ფიდუციური ვალდებულებები ოთხ მთავარ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. კლიენტის ფულადი სახსრების ცალკე, ნომინალურ ანგარიშზე განთავსება; 2. კლიენტის ინფორმირებად მისი ფულადი სახსრებისა თუ ქონების მიღებისას; 3. გაუხარჯავი ფულადი სახსრებისა თუ ქონების კლიენტისათვის დაბრუნება; 4. გახარჯული ფულადი სახსრებისა თუ ქონების შესახებ კლიენტისთვის ანგარიშგების წარდგენა.<sup>17</sup>

ეთიკის კომისიის პრაქტიკით, მინდობილი ქონება ფართოდ განიშარტება და მოიაზრებს როგორც კლიენტისგან, ასევე კლიენტისათვის გადასაცემად მესამე პირის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლობის პროცესში გადაცემულ ქონებას მის მიმართ არსებული ნდობიდან გამომდინარე.<sup>18</sup> შესაბამისად, ამ ქონებაზეც ვრცელდება ადვოკატის მიმართ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კეთილსინდისიერად მართვის ფიდუციური ვალდებულება. ასევე, ეთიკის კომისიის პრაქტიკით განმარტებულია კეთილსინდისიერების არსი მინდობილი ქონების მართვისას, რაც გულისხმობს ქონების გონივრულად მართვასა და ქონების მართვის ფორმის შეთანხმებას კლიენტთან.<sup>19</sup>

ხარჯთაღრიცხვის წარმოების ვალდებულებაზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე კლიენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება Nდს-შ/5-14; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება N007/16; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება Nდს-შ/1-17.

<sup>17</sup> DiPippa, J. M. A., *Lawyers, Clients, and Money*, University of Arkansas at Little Rock Law Journal, Vol. 18, No. 1, 1995, 96.

<sup>18</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება N054/11.

<sup>19</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება N096/18.



იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი“ ჩანაწერის წარმოების ვალდებულება გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ნებისმიერი დოკუმენტის წარმოებას“.<sup>20</sup>

ევროპული იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპები ჰონორარს, როგორც ადვოკატის შრომის საფასურს, აწესრიგებს ცალკე საკითხად, ხოლო კლიენტისაგან მიღებულ სხვა ტიპის ფულად სახსრებს აერთიანებს საერთო სახელწოდების ქვეშ „კლიენტის ფონდები“<sup>21</sup> (მსგავსადვე განსაზღვრავს აშშ-ის ქცევის მოდალური კოდექსი<sup>22</sup>). საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი კლიენტის ფულად სახსრებში მოიაზრებს კლიენტის ფონდებს და ცალკე მუხლით აწესრიგებს ადვოკატის სარგოსთან არსებულ ეთიკურ სტანდარტს, შესაბამისად, ზემოაღნიშნული წესები (კლიენტის ფულადი სახსრების ცალკე ანგარიშზე განთავსების, მიზნობრივი გამოყენების, კეთილსინდისიერად მართვისა და კლიენტისათვის დაბრუნების შესახებ) ეხება კლიენტის ისეთ ფულად სახსრებს, რომლებიც ადვოკატის მართვაში აღმოჩენის შემთხვევაშიც რჩება კლიენტის საკუთრებად და დაცულია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით მომსახურების შეწყვეტისას, რადგან უნდა დაუბრუნდეს კლიენტს და არ არის გამიზნული, გარდაიქმნას ადვოკატის ფულად სახსრებად, ჰონორარისაგან განსხვავებით.

ადვოკატის მომსახურების საზღაური არ ექვემდებარება იმ წესებს, რომლებიც კლიენტის სხვა ტიპის ფულადი სახსრებისთვის (ხარჯებისთვის ან მინდობილი ქონებისთვის) არის დადგენილი –

<sup>20</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება Nდს-მ/5-14.

<sup>21</sup> Charter of Core Principles of the European Legal Profession, 2021, Art. 3.8.

<sup>22</sup> Soule G. D., Attorney Misappropriation of Clients' Funds: A Study in Professional Responsibility, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 10, No. 3, 1978, 415; The ABA Model Rules of Professional Conduct, Rule 1.15 (a).

ცალკე საბანკო ანგარიშზე განთავსება, ფინანსური ანგარიშგების წარმოება და კლიენტისთვის მოთხოვნისთანავე ან ურთიერთობის შეწყვეტისას დაყოვნების გარეშე გადაცემა. განსახილველი მუხლის მე-15 ნაწილის პირველი წინადადება ორიენტირებულია კლიენტის უფლების დაცვაზე და ადგენს ადვოკატის ვალდებულებას, ხოლო მეორე წინადადების მიზნობრივი განმარტებით, ნორმის ფორმულირება იცავს ადვოკატის ინტერესს. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით გაურკვეველია, დისციპლინური წარმოების ფარგლებში მისი იდენტური შინაარსით მოქმედებისა და ეთიკის კომისიის მიერ ნორმის შინაარსის განმარტების საკითხი რამდენად თავსებადია ნორმის მიზანთან.

ნორმის ფორმულირებით არ დგინდება, კლიენტისათვის გადასაცემი ფულადი სახსრები ან სხვა ქონება რამდენად მოიცავს გასამრჯელოს სახით წინასწარ მიღებულ ფულად სახსრებს, ვრცელდება თუ არა ნორმის მოქმედება კლიენტის ინიციატივით მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატს რა ვადაში აქვს მოქმედების (თანხის გაანგარიშებისა და კლიენტისთვის დაბრუნების) ვალდებულება, როგორ გამოიანგარიშებს ადვოკატი თანხას, ვისზეა მტკიცების ტვირთი თანხის გაანგარიშებისას და რა სახის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ადვოკატმა კლიენტს, გაანგარიშების შედეგზე შეუთანხმებლობისას როგორ წყდება საკითხი ისე, რომ ნორმამ ეფექტიანად იმუშაოს და ადვოკატმა ეთიკურად იმოქმედოს.

### **III. კლიენტისათვის გამომუშავებალი ჰონორარის დაბრუნების სტანდარტი პრაქტიკაში**

ეთიკის კომისიის განმარტებით, განსახილველი მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტი ადვოკატს ავალდებულებს კლიენტთან ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ მას მიღებული საზღაურის შესაბამისი შეთანხმებული მომსახურება არ აქვს გაწეული, თანხა, რომ-

ლის ტოლფასი მომსახურება არ გაუნევია, დაუბრუნოს კლიენტს. კომისიამ ასევე დაადგინა, რომ ადვოკატს მოცემული ვადებულება ჰქონდა როგორც საკუთარი მიზეზებით, ასევე კლიენტის ინიციატივით მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტისას.<sup>23</sup>

ეთიკის კომისიის შეფასებით, კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამოუმუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ გასწია საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა და იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, მოქმედებს აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადება – ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და განუული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.<sup>24</sup>

დისციპლინურ წარმოებაში გამონწვევაა გამოუმუშავებელი საზღაურის დაბრუნებული ნაწილის პროპორციულობის კომისიის მიერ შეფასების უფლებამოსილება. კომისიამ განავითარა ხედვა,

<sup>23</sup> ხუბულური თ., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკა 2018-2020 წ, თბილისი, 2020, 149.

<sup>24</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება N037/14; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება N096/14; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2016 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N044/16; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება N052/16; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება N077/16; სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება N037/21.

რომლის მიხედვით, ადვოკატის მიერ ნებისმიერი თანხის, თუნდაც სიმბოლურის, დაბრუნება ფორმალურად აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაა, რაც აზრს აცლის თავად მუხლის შინაარსს და მისი მეშვეობით დაცულ პროფესიულ სტანდარტს. ადვოკატს შეუძლია თავად განსაზღვროს, მიღებული ჰონორარის რა ოდენობა გამოიმუშავა სამართლიანად და რა ნაწილი უნდა დაუბრუნოს კლიენტს, თუმცა აღნიშნული განგარიშება უნდა იყოს ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული მომსახურებიდან და ანაზღაურებიდან ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მის მიერ შესრულებული სამუშაოს პროპორციული. მნიშვნელოვანია, რომ მუხლის დანაწესისადმი იყოს შინაარსობრივი და შეფასებითი მიდგომა ეთიკის კომისიის პრაქტიკაში. კომისიის შეფასებით, მან უნდა დაადგინოს, დაიცვა თუ არა ადვოკატმა სავარაუდო და ეკვივალენტური ანაზღაურების მიღების სტანდარტი. დაბრუნებული საზღაურის პროპორციულობის მტკიცების ტვირთი აქვს ადვოკატს, რაც გამომდინარეობს მე-8 მუხლის მე-12 და მე-15 ნაწილებით დადგენილი ქცევის სტანდარტებიდან.<sup>25</sup>

აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადების კონტექსტში შემონმებისას ეთიკის კომისია ადვოკატის ქცევას იკვლევს კეთილსინდისიერების ფარგლებში,<sup>26</sup> ხოლო გაანგარიშების შედეგზე შეუთანხმებლობისას დავა სასამართლოს განსახილველი ხდება.<sup>27</sup> მუხლის რეალური შინაარსის დადგენისთვის არსებითია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის, როგორც პროფესიული ეთიკის სტანდარტების შინაარსის დამდგენი ბოლო ინსტანციის, პრაქტიკა. სადისციპლინო პალატამ ნორმა გაავრცელა

---

<sup>25</sup> განსხვავებული აზრი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის N057/17 გადაწყვეტილებაზე.

<sup>26</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება N101/17.

<sup>27</sup> სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება N030/18.

გასამრჯელოს სახით გადასაცემი თანხიდან თანხის ნაწილის დაბრუნებაზე, როდესაც ადვოკატს სრულად ჰქონდა მიღებული მომსახურების საზღაური, ხოლო მომსახურება კლიენტის ინიციატივით შეწყდა საქმის არაპერსპექტიულობის გამო.<sup>28</sup> პალატამ ასევე იმსჯელა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში ადვოკატის მიერ აპეკ-ში დადგენილი ვალდებულებების საწინააღმდეგო მონესრიგების გათვალისწინების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ადვოკატის პოზიციით, აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლთან. კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. პალატამ დაადგინა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების თანხის ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა“<sup>29</sup>.

სადისციპლინო პალატამ სხვა დისციპლინურ საქმეში, სადაც ასევე იმსჯელა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადებაიდან გამომდინარე, კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან მისაღები გასამრჯელოს გამოქვითვის უფლებით სარგებლობის წინაპირობად განსაზღვრა ადვოკატის მიერ დადასტურება, რომ მხარეებს შორის შედგა შეთანხმება გასამრჯელოს მიღებაზე და ადვოკატს მისაღები აქვს ის. პალატის განმარტებით, აღნიშნულზე

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება Nდს-შ/17-16.

<sup>29</sup> იქვე.

მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, თუ მის მიერ მიღებული თანხის დანიშნულება – გასამრჯელოს სახით მიღება – სადავო ხდება კლიენტის მხრიდან. უზენაესი სასამართლოს დასკვნით, ადვოკატს მიღებული ჰქონდა კლიენტის თანხა და ადვოკატი ვერ ადასტურებდა<sup>30</sup>, რომ მითითებული თანხა საადვოკატო მომსახურებისთვის განკუთვნილი ჰონორარი იყო, შესაბამისად, „ადვოკატი დგება იმ იძულების წინაშე, რასაც „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ შესაბამისი ნორმა ავალდებულებს – კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას“<sup>31</sup>.

#### **IV. კლიენტისათვის გამომუშავებული ჰონორარის დაბრუნების სტანდარტი შედარებით ძრილში**

ამერიკის მოდალური ქცევის კოდექსის 1.16-ლი მუხლის “d” ქვეპუნქტი დეტალურად ადგენს ადვოკატის ქცევას მომსახურების შეწყვეტისას კლიენტისთვის გადასაცემი თანხის შესახებ: „მომსახურების შეწყვეტისას, ადვოკატმა გონივრულად უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, როგორცაა, კლიენტის გონივრულად ინ-

<sup>30</sup> საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატისათვის კლიენტის მიერ გადასახდელი წარმატების ჰონორარის საკითხზე და განმარტა: „ადვოკატი, როგორც პროფესიონალი, კლიენტთან გაფორმებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ცხადია, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში სამართლებრივად იბოჭება იმ შეთანხმებით, რომლის ძირითადი პირობების შემთავაზებელი თვითონვეა. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის დაუზუსტებლობა, ბუნდოვანება ადვოკატის სამართლებრივი რისკია“. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nას-1161-1116-2016.

<sup>31</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება Nდს-შ/5-14 28.

ფორმირება, დროის მიცემა ახალი იურისტის დახმარებით სარგებლობისათვის, დოკუმენტაციის დაბრუნებისა და კლიენტისგან მიღებული ქონების, ასევე ავანსის სახით მიღებული გამოუმუშავებელი ჰონორარის ან გამოუყენებელი ხარჯების დასაბრუნებლად<sup>32</sup>. საადვოკატო საქმიანობაში დამკვიდრებულ პრაქტიკაა მომსახურების დაწყებამდე ავანსის მიღება.<sup>33</sup> ვინაიდან ჰონორარის დანიშნულებით ავანსის სახით მიღებული ფულადი სახსრები გამომუშავებულად არ მიიჩნევა, ადვოკატი თანხმდება, მომსახურების შეწყვეტისას დააბრუნოს მიღებული ავანსის გამოუმუშავებელი ნაწილი.<sup>34</sup> ჩნდება კითხვა, – თუ გამოუმუშავებელი ავანსი დაბრუნებადია და შედის კლიენტისათვის გადასაცემ თანხაში, რამდენად ვრცელდება მასზე კლიენტის ფულადი სახსრების შენახვისა და მართვის წესები. ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის სამართლებრივი რეკომენდაციის მიხედვით, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კლიენტის ფულადი სახსრები და კლიენტის ქონება.<sup>35</sup> რეკომენდაციის თანახმად, კლიენტის ფულადი სახსრები ან ქონება არ მოიცავს ავანსს და მასზე არ ვრცელდება ცალკე ანგარიშზე განთავსების, კეთილსინდისიერად მართვისა და ანგარიშგების წარმოების წესები, ვინაიდან, თუ კლიენტის ფულად სახსრებად იქნებოდა მიჩნეული, მოექცეოდა კლიენტის და არა ადვოკატის ინტერესის სფეროში.<sup>36</sup> რეკომენდაციით, მომსახურების შეწყვეტისას ადვოკატს ორი ტიპის ფინანსური ხასიათის ვალდებულება უჩნდება: კლიენტის მინდობილი ქონების, ფულადი

<sup>32</sup> The ABA Model Rules of Professional Conduct, Rule 1.16 (d).

<sup>33</sup> Ricci I. M., Client Trust Funds: How to Avoid Ethical Problems, Georgetown Journal of Legal Ethics, Vol. 11, No. 2, 1998, 249.

<sup>34</sup> Rogers J., A Client's Right to Refund of an Advance Payment, Journal of the Legal Profession, Vol.11, No. 2, 1986, 224.

<sup>35</sup> Professional Ethics Opinion, [New York State Bar Association Committee on Professional Ethics], N570, 7 June 1985.

<sup>36</sup> იქვე; Brickman L., The Advance Fee Payment Dilemma: Should Payments be Deposited to the Client Trust Account or to the General Office Account, Cardozo Law Review, Vol. 10, No. 4, 1989, 649.

სახსრების (ხარჯებისთვის მიღებული) კლიენტისთვის დაბრუნების და გამოუმუშავებელი ავანსის დაბრუნების ვალდებულება.<sup>37</sup> აქედან საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის არსებული ფორმულირება მოიცავს მხოლოდ პირველი ტიპის ფულადი თანხების კლიენტისათვის დაბრუნების ვალდებულებას და გადასაცემი თანხიდან შესრულებული სამუშაოსათვის მისაღები თანხის გამოქვითვაში არ შედის გამოუმუშავებელი ავანსი. ამერიკის მოდალური ქცევის კოდექსის 1.16-ლი მუხლის “d” ქვეპუნქტი სრულად ვალდებულებას ადგენს, ხოლო ქართული მონეტარობა შედგება კლიენტის ფულადი სახსრების კლიენტისათვის დაბრუნების ფარგლებში ვალდებულებისა და მეორე ნაწილში უფლებისაგან – ადვოკატმა მიიღოს კუთვნილი საზღაური.

#### **V. ეთიკის სტანდარტის განაწესების პრობლემური ასპექტები**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია, დაამკვიდროს მაღალი ეთიკური სტანდარტებით საქმიანობა.<sup>38</sup> ეთიკური პრინციპების ადრესატები არიან არა მხოლოდ ადვოკატები, ვის საქმიანობასაც ეხება უშუალოდ, არამედ პროცესის მონაწილეები და საზოგადოება, რომელთაც აქვთ უფლება ხარისხიან მართლმსაჯულებაზე, მათ შორის, მიიღონ ადვოკატთა მომსახურება ეთიკური სტანდარტების დაცვით. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთიკური სტანდარტის არაორაზროვნება და განაწესება, რაც განსახილველ შემთხვევაში პრობლემურია, რამდენადაც აპეკის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე ნაწილის ფორმულირება არ არის ამომწურავი, სიტყვასიტყვითი და მიზნობრივი განმარტება არ იძლევა ისე ფართო განმარტების შესაძლებლობას, როგორც პრაქტიკაში დამკვიდრდა, რაც არსებითაც ცვლის სტანდარტის ში-

---

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა.



ნაარსს და პრაქტიკის დეტალური შესწავლის გარეშე ადვოკატს არ აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვროს საკუთარი ქცევის შინაარსი მუხლის ფორმულირებით.

## VI. დასკვნა

განხილული საკითხების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მეორე წინადადებით დადგენილი ქცევის სტანდარტი არსებული ფორმულირებით ვერ აღწევს მიზანს – დაიცვას ადვოკატის უფლება გასამრჯელოს მიღებაზე და რეგულაცია გაავრცელოს კლიენტის სხვა ტიპის ფულად სახსრებზე. ნორმის შინაარსი არ არის აღქმადი და სიტყვასიტყვითი განმარტებით, მიღებული გასამრჯელო განიხილება, როგორც დასაბრუნებელი ფულადი თანხა, საიდანაც ადვოკატს უფლება აქვს, გამოქვეითოს მისაღები გასამრჯელო, მაშინ, როდესაც მუხლის მიზნობრივი განმარტებით, ის უნდა გავრცელდეს ჰონორარის გარდა სხვა ტიპის ფულად სახსრებზეც. სტანდარტის ფორმულირების არასრულყოფილების ფარგლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სადისციპლინო პალატის მხრიდან არაამომწურავი განმარტებებით ვერ დგინდება სტანდარტის სრულყოფილი და განჭვრეტადი შინაარსი, რაც ადვოკატებისთვის ართულებს ეთიკურ ქცევას და ეთიკის კომისიას დისციპლინური წარმოების პროცესში აძლევს მოქმედების ფართო შესაძლებლობებს. სტანდარტის განმარტებისას ეთიკის კომისია სარგებლობს თავისუფლებით და ცვლის მის შინაარსს ისე, რომ ადვოკატის უფლებას გარდაქმნის ვალდებულებად. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას ადვოკატის უფლებას კუთვნილ გასამრჯელოზე აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, თუმცა პრობლემურია შესაძლებლობის გამოყენება, რაც უნდა აღმოიფხვრას სიღრმისეული კვლევითა და მუხლის ახალი ფორმულირე-

ბის ჩამოყალიბებით, რაც არსებული რედაქციის ფარგლებში – „და-  
უბრუნოს ფულადი სახსრების“ ქვეშ არ მოიცავს გამოუმუშავებელი  
ჰონორარის (ავანსის) დაბრუნების ვალდებულებასაც.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- სუბულური თ., საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კო-  
მისიის ერთგვაროვანი პრაქტიკა 2018-2020 წ, თბილისი, 2020
- Brickman L., The Advance Fee Payment Dilemma: Should Payments  
be Deposited to the Client Trust Account or to the General Office  
Account, *Cardozo Law Review*, Vol. 10, No. 4, 1989
- Cameron D. C., Attorney Fees Five Keys to Ethical Compliance,  
*GPSolo*, Vol. 27, No. 7, 2010
- DiPippa J. M. A., Lawyers, Clients, and Money, *University of Arkansas  
at Little Rock Law Journal*, Vol. 18, No. 1, 1995
- Lester B., Cunningham L. A., Nonrefundable Retainers: Impermissible  
under Fiduciary, Statutory and Contract Law, *Fordham Law Review*,  
Vol. 57, No. 2, 1988
- Long A. B., Attorney-Client Fee Agreements That Offend Public  
Policy, *South Carolina Law Review*, Vol. 61, No. 2, 2009
- Ricci I. M., Client Trust Funds: How to Avoid Ethical Problems,  
*Georgetown Journal of Legal Ethics*, Vol. 11, No. 2, 1998
- Rogers J., A Client's Right to Refund of an Advance Payment, *Journal  
of the Legal Profession*, Vol.11, No. 2, 1986
- Soule G. D., Attorney Misappropriation of Clients' Funds: A Study in  
Professional Responsibility, *University of Michigan Journal of Law  
Reform*, Vol. 10, No. 3, 1978

# FOR THE HERMENEUTICS OF ARTICLE 8, PART 15, SENTENCE 2 OF THE CODE OF PROFESSIONAL ETHICS OF LAWYERS

**TAMAR KHUBULURI**

Ph.D. Candidate, Assistant at Sul Khan-Saba Orbeliani University

<https://orcid.org/0009-0009-8255-7454>

## **Abstract**

The paper focuses on the lawyer's right protected by the Code of Professional Ethics for Lawyers of Georgia (second sentence of Section 15 of Article 8) – upon termination of defending the client's interests, out of the funds to be returned to the client, to deduct the fee for services rendered and expenses incurred before terminating the client-lawyer relationship, as well as on the content and scope of this right, the opinions expressed by the Ethics Commission, the practice of the Disciplinary Chamber of the Supreme Court of Georgia and the foreseeability of the norm are discussed.

In interpreting the standard, the Ethics Commission takes liberties and changes its content in such a way that it transforms the lawyer's right into an obligation. The wording of the second sentence of Section 15 of Article 8 of the Professional Ethics Code of Lawyers is not exhaustive, the literal and objective definition does not allow for such a broad interpretation that the obligation to return the funds should be extended to the lawyer's unearned fee and advance fee. As a result of a comparative study, it can be said that within the framework of the cur-

rent edition – under “to return funds” it does not include the obligation to return the lawyer’s unearned fee and advance fee and it is necessary to formulate the article with a new wording.

**Keywords:** Lawyer’s Fees, Client Funds, Admissible Remuneration, Reimbursement of Incurred Expenses, Entrusted Property.



სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ  
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-  
სამართლებრივი აქტის გასაჩივრების  
ვადის ათვლა: ერთ საქმესთან  
დაკავშირებით საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს ორი აქტის ანალიზი

## თამარ ტუსაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
დოქტორანტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეორადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

<https://orcid.org/0009-0002-4549-9901>

### I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს მისი მოქალაქეების დასაქმება.<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით გამოხატული ნება სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრების თაობაზე პირდაპირ უკავშირდება შრომით უფლებებს და შესაბამისად, დასაქმებულის უფლებების დაცვას უკანონო ხელყოფისგან.<sup>2</sup> დასაქმებულისთვის შრომითი ურთიერთობის სტაბილურობის შენარჩუნება კონსტიტუციით მინიჭებული უფლების ნაწილია, თუმცა ყოველთვის არსებობს რისკი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან მიმართებითაც,<sup>3</sup> რა დროსაც გადამწყვეტია მასთან დაკავშირებული როგორც პროცედურის,

<sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>2</sup> იქვე, პრეამბულა.

<sup>3</sup> იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 19 აპრილის N2/2/565 გადანყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ილია ლეჟავა და ლევან როსტომაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ისე ფორმალური მოთხოვნების დაცვა შემდგომში დამსაქმებლის მოქმედების სამართლებრივი შეფასებისთვის.<sup>4</sup> განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ოფიციალურ გაცნობას<sup>5</sup>, რათა კანონშესაბამისად მოხდეს მისი უფლების რეალიზება.

სტატიაში განხილულია პირის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის ერთ თვიანი ვადის ათვლის სანციის საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი აქტის – გადაწყვეტილებისა და განჩინების მაგალითზე, რომელიც ერთსა და იმავე საქმესთან დაკავშირებითაა მიღებული. ძირითადი პრობლემა ნორმის არაეთგვაროვან განმარტებასა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სხვადასხვაგვარ შეფასებას უკავშირდება, რაც პრაქტიკული თვალსაზრისით სხვადასხვა შედეგს იწვევს.

## **II. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის ხანდაგრძობის ვადის დინებასთან დაკავშირებით**

საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადრესატისთვის ოფიციალური გაცნობა კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნაა<sup>6</sup>, რადგან სწორედ აქტის გამოქვეყნება/გაც-

<sup>4</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 ივლისის განჩინება Nას-1696-2018.

<sup>5</sup> იხ., საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილი.

<sup>6</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 დეკემბრის განჩინება Nბს-549(კ-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 სექტემბრის განჩინება Nბს-224(2კ-23); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ნობით სრულდება ადმინისტრაციული წარმოება და წარმოების შედეგად გამოცემული გადაწყვეტილება ძალაში შედის.<sup>7</sup> ამ უკანასკნელის დადგენა კი, – მნიშვნელოვანია აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადების დაცულობის გარკვევის მიზნებისათვის, რადგან სწორედ მისი გაცნობის შემდეგ შესაბამის ადრესატს უფლება-მოვალეობები წარმოეშობა, ეცვლება ან უწყდება. ამასთან, პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების სასამართლო წესით გასაჩივრებისა და სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია სამართლიან სასამართლოზე უფლებით.<sup>8</sup> სწორედ ამ მომენტიდან ეძლევა პირს შესაძლებლობა, გადაწყვიტოს, როგორ მოახდინოს საკუთარი უფლების რეალიზება, იმის მიხედვით, ეთანხმება თუ არა აქტში მითითებულ სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებას და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება აქტის გასაჩივრებასთან დაკავშირებით<sup>9</sup>.

ევროპული კონვენციით გარანტირებულია სასამართლო პროცესზე მხარეთა მოსმენა,<sup>10</sup> თუმცა იგი არ არის აბსოლუტური, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ხანდაზმულობის ვადას<sup>11</sup> და საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ გარანტიად მიიჩნევა.<sup>12</sup> საერთო სასამა-

---

ტის 2023 წლის 24 მაისის განჩინება Nბს-1265(კ-22); საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 მაისის განჩინება Nბს-886 (კ-22).

<sup>7</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლი.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 13 ივლისის განჩინება Nბს-140(კ-22), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 12 იანვრის განჩინება Nბს-776(კ-22).

<sup>10</sup> იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე, „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯა-

რთლოების მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ხანდაზმულობა ისეთი ვადაა, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს აქვს დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობა<sup>13</sup>. საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ ინდივიდუალური აქტის გასაჩივრების ვადის დინება არ იწყება მაშინაც კი, როდესაც პირისთვის აქტის შინაარსი ცნობილი გახდა არაოფიციალური წყაროდან ან თუნდაც აქტის პროექტის ან მასალების გაცნობიდან, რაც განპირობებულია იმით, რომ შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება<sup>14</sup>. ამრიგად, გასაჩივრების ვადის ათვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც პირს შეექმნება ობიექტური შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია აქტის შინაარსის შესახებ,<sup>15</sup> რადგან დაინტერესებულ პირს, დასაბუთებული აქტის ოფიციალურად ჩაბარების შემდეგ, მეტ-ნაკლებად ექმნება კიდევ ვარაუდი მისი საჩივრის პერსპექტიულობასთან დაკავშირებით,<sup>16</sup> რადგან აქტის გაცნობის შემდეგ იწყებს ფიქრს იმაზე, თუ რა სამართლებრივი საშუალებებით შეძლებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რა არგუ-

---

ნაშვილი, ნანა ჯანაშვილი, ირმა ჯანაშვილი, ასევე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ნაქაძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nბს-864(კ-22).

<sup>14</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nბს-770-762(კ-15); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება Nბს-998(კ-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება Nბს-830 (კ-21); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 7 ივნისის განჩინება Nბს-369 (კ-22).

<sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის განჩინება Nბს-1024 (2კ-19).

<sup>16</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება Nბს-854-836(კ-12).



მენტებს დაუპირისპირებს კონკრეტულ შემთხვევას<sup>17</sup> და ზოგადად, პერსპექტიული შეიძლება იყოს თუ არა მისი საჩივარი დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ. ყურადღება უნდა გამახვილდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე, რომლებიც ადგენენ სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების, განკარგულების, გადანყვეტილების, აგრეთვე მოქმედებების სასამართლოში გასაჩივრების ერთ თვიან ვადას და სწორედ ამ ვადის ათვლის საწყისის განსაზღვრაა მნიშვნელოვანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის განმარტებით, გასაჩივრების ვადა აითვლება არა აქტის გამოცემიდან, არამედ გადანყვეტილების ოფიციალური გაცნობიდან,<sup>18</sup> რადგან სრულიად ლოგიკურია, რომ ვერ მოხერხდება იმ აქტის გასაჩივრება, რომლის შინაარსიც არ იცის ადრესატმა<sup>19</sup>. ამრიგად, გასაჩივრების ვადის ათვლის დაწყება იმ მომენტამდე, ვიდრე პირს არ მისცემია აქტის შინაარსის გაცნობის შესაძლებლობა, უხეშად არღვევს პირის უფლებას საჩივრის წარდგენაზე: მას უნდა ჰქონდეს ფაქტზე რეაგირების ეფექტიანი, ქმედითი მექანიზმი.

### III. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საკითხთან დაკავშირებით სანტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორი აქტი, რომლებიც უშუალო კავშირშია განსახილველ საკითხთან, რადგან ხანდაზმულობის ვადის ათვლის წერტილი

<sup>17</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 10 ოქტომბრის განჩინება Nბს-854-836(კ-12), საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 07 ნოემბრის განჩინება Nბს-1133(4კ-20).

<sup>18</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის განჩინება Nბს-757-743(კ-14).

<sup>19</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განჩინება Nბს-312-308 (კ-14).

უზენაესი სასამართლოს ორივე აქტში სხვადასხვაგვარად განიმარტა. მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანია ძირითადი ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა.

2014 წლის თებერვალში სამხედრო მოსამსახურემ არ შეასრულა ბატალიონის მეთაურის ბრძანება, რის გამოც მუდმივმოქმედმა სამანდატო კომისიამ განიხილა მოსარჩელის შეიარაღებული ძალების რიგებიდან, პირადი განცხადების საფუძველზე, დათხოვნის საკითხი.

2014 წლის 30 აპრილის პატაკის თანახმად, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა მეთაურს და სთხოვა, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასა და შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნასთან დაკავშირებით ეშუამდგომლა ზემდგომ ხელმძღვანელობასთან. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის ბრძანებით, უმცროსი სერჟანტი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის (მხარეთა შეთანხმების საფუძველზე) თანახმად. 2014 წლის გაზაფხულზე, მოსარჩელისა და მისი თანამოსამსახურეების მიერ დანერილი პატაკები თანამდებობიდან გათავისუფლებისა და შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ აიტვირთა შიდა ელექტრონულ პროგრამაში, რის შემდეგაც პატაკების დედნები განყოფილების უფროსმა გაანადგურა. გამოძიების პროცესში საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტიდან და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებულ იქნა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვითაც, ელექტრონული ფორმატით წარდგენილ დოკუმენტებზე, კერძოდ, სკანერის საშუალებით დამზადებულ საბუთებზე, ხელწერის ექსპერტიზა არ ტარდებოდა,

ხოლო იმის გამო, რომ სამხედრო მოსამსახურეების მიერ დაწერილი პატაკების დედნები განადგურებული იყო და გამოძიებას მხოლოდ მათი ასლები ჰქონდა ხელთ, ვერ მოხერხდა პატაკებზე არსებული ხელმოწერებისა და სხვა რეკვიზიტების იდენტიფიცირების მიზნით ექსპერტიზის ჩატარება. სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტთან დაკავშირებით განყოფილების უფროსი მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, თუმცა პროკურორის მიერ განრიდებულ იქნა და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაევალა გარკვეული თანხის გადახდა.<sup>20</sup>

#### IV. საქმის საპროცესო ისტორია: თბილისის საქალაქო და სააკელაციო სასამართლოებში

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან პატაკის დაწერისას არ ყოფილა გამოვლენილი პირის რეალური ნება შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ და იგი დაწერა მუქარის, დაშინებისა და შანტაჟის შედეგად. იმ დროს, როდესაც სამანდატო კომისიამ მითითებული საკითხის განიხილა, სამხედრო მოსამსახურეებს ჯერ არ ჰქონდათ დაწერილი პატაკები, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მხრივაც დაირღვა აქტის გამოცემისთვის სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოების პირობები. თბილისის საქალაქო სასამართლომ აგრეთვე განმარტა, რომ საქმეში არსებული მასალებით უტყუარად დასტურდებოდა მოსარჩელის მიმართ განცხადების (პატაკის) დაწერის იძულება, რაც სამართლებრივი შეფასებაა იმ ფაქტებისა, რაზეც მიუთითებდა თავად მოსარჩელე და ადასტურებდა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით. სასამართლოს შეფასებით, მოწმეთა ჩვენებები მიუთი-

<sup>20</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება Nბს-52 (კ-20); საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 07 აპრილის განჩინება Nბს-302 (კ-21).

თებდა ხელმძღვანელობის მხრიდან იძულების განხორციელებაზე, ხოლო მოსარჩელის განმარტებიდან გამომდინარე, მან ეს მუქარა რეალურად ჩათვალა და სწორედ ამ მოტივით დაწერა სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნის პეტაკი. ამრიგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ცალსახად დასტურდებოდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის უკანონობა. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2014 წლის 16 მაისის ბრძანება პირის საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შესახებ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაევალა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენა და მისთვის მიუღებელი იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება, სამუშაოზე აღდგენის ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 13 თებერვლის განჩინებით, მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.<sup>21</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული და-

---

<sup>21</sup> იხ., თბილისის საქალაქო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება N3/2786-17.

საბუთება, მიუთითა პატაკების განადგურების ფაქტზე, მონმეთა ჩვენებებზე და დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან პატაკის დაწერისას არ ყოფილა გამოვლენილი მისი რეალური ნება, ხოლო პატაკი, რომელიც შემდეგ პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა, დაიწერა მუქარის, დაშინებისა და შანტაჟის შედეგად. სააპელაციო სასამართლო თავის განჩინებაში მიუთითებდა, რომ საჯარო სამსახურში მუშაობა დაკავშირებულია დიდ პასუხისმგებლობასთან, რაც საჯარო მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს გააზრებული. თავის მხრივ, დამსაქმებელ ადმინისტრაციულ ორგანოს სათანადოდ უნდა დაეცვა დასაქმებულის შრომით ინტერესი, იმ შრომისა და ძალისხმევის გათვალისწინებით, რასაც პირი სწევს სახელმწიფო/საჯარო ინტერესისთვის. ადმინისტრაციული ორგანოს, მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში, სამართლიანად და კეთილსინდისიერად უნდა ემოქმედა, გამოეკვლია საქმის გარემოებები და ამის შემდეგ აეირჩია საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო გზა. სააპელაციო პალატის განმარტებით, დისკრეციულობა ის უფლებამოსილებაა, რომელიც არ შეიძლება ზედაპირულად დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ იგი დაარღვია.<sup>22</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. მისი დასაბუთებით, მოსარჩელემ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2014 წლის ბრძანება გაასაჩივრა 2017 წელს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ბრძანების არსებობის თაობაზე. ამასთან კასატორი მიიჩნევდა, რომ სადავო ბრძანება

<sup>22</sup> იხ., საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება Nბს-52 (კ-20).

შეესაბამებოდა კანონმდებლობას და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი. საკასაციო ეტაპზე მონინალმდეგე მხარის (მოსარჩელის) პროზიციის შესაბამისად კი, კონკრეტული საქმე დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან, რის გამოც მასზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-130-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა. რის გამოც დაუშვებლად მიაჩნდა აქტის გასაჩივრების ვადის დინება დაწყებულიყო ასეთი აქტის მხარისათვის ჩაბარებამდე (იგი ადრესატს კანონით დადგენილი წესით არც ჩაბარებია და მისთვის უცნობი იყო სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.<sup>23</sup>

#### **V. უზენაესი სასამართლოს პროზიცია საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების დროს**

სამსახურიდან დათხოვნის შესახებ მხარის ინფორმირების ფაქტი, კასატორის განმარტებით, სასამართლოს 2018 წლის 22 ნოემბრის სხდომაზე გამოიკვეთა, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ დაირღვა აქტის გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუმცა მას არ უნდა გაეთვალისწინებინა ჯერ კიდევ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, რომელ-

---

<sup>23</sup> იხ., იქვე.

ზეც გამოძიება დასრულებული არ იყო. კასატორი მიიჩნევდა, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.<sup>24</sup>

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, მთავარი სადავო საკითხი იყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასება – დაცული იქნა თუ არა ადმინისტრაციული წარმოების პროცედურული წესები და მიღებულ იქნა თუ არა დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, შესაფასებელი იყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობა, საქმის მართებულად გადაწყვეტისა და გარკვეულწილად უფლების დაცვის ვადების ჩარჩოში მოსაქცევად, რათა მასში ეჭვი არავინ შეიტანოს. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მხრიდან ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზეც, რომ სასამართლოსთვის ვადის დარღვევით ან არაჯეროვანი სარჩელით მიმართვა შესაძლოა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველიც იყოს. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობის საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა იყო, რის გამოც მასე უნდა გავრცელებულიყო არა ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ერთ თვიანი ვადა.<sup>25</sup>

საკასაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სადავო ბრძანების მოსარჩელისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ შეძლო, ამასთან, მიუთითა ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დადასტურებულ იმ გარემოებაზეც, რომ ბრძანების ადრესატისთვის ჩაბარების

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

დასტური ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სადავო ბრძანება არ შეიცავდა მისი გასაჩივრების წესის განმარტებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა სამართალურითიერობის სპეციფიკას და განმარტა, რომ სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა, სამუშაო ადგილზე გამოუცხადებლობა ცალსახად ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ შრომითი ურთიერთობა მხარეთა შორის აღარ არსებობდა, რის თაობაზეც დასაქმებულისთვისაც ცნობილი იყო. შესაბამისად, მიიჩნეოდა რომ გათავისუფლების ბრძანების ჩაუბარებლობის მიუხედავად, მოსარჩელე უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის საკუთარი უფლების დასაცავად. ამრიგად, უზენაესმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მართალია, მოსარჩელისთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ჩაბარება სავალდებულო ეტაპია, თუმცა ასეთი აქტის ჩაუბარებლობა არ შეიძლება გამხდარიყო ხანდაზუმლობის ვადების დაცვისგან თავის არიდების საშუალება, რადგან ასეთი ვითარება ხელყოფდა სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. კონკრეტულ შემთხვევაში აქტის გასაჩივრების ვადის დინება უნდა დაკავშირებოდა არა აქტის მატერიალურ გადაცემას, არამედ იმ მომენტს, როდესაც მოსარჩელემ შეიტყო საკუთარი უფლებებისა და იმ გარემოებების შესახებ, რაც მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა. იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის შრომითი ურთიერთობა შეწყვეტილი იყო 2014 წელს, ხოლო სარჩელი სასამართლოს წარედგინა მხოლოდ 2017 წლის 18 აპრილს, მოითხოვდა ხელახალ შეფასებას, მოსარჩელე 2014 წლიდან ხომ არ იყო აღჭურვილი დარღვეული უფლების ჯეროვნად დაცვისა და დასაბუთებული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყურადღება არ გაამახვილეს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, გასაჩივრებული აქტის მხარისთვის სათანადო წესით ჩაუ-



ბარებლობის გამო მიიჩნის, რომ არ არსებობდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები. სადავო შემთხვევის ბუნებაზე მითითებით საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი სათანადო წესით შესწავლილი და გამოკვლეული არ იყო ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ, ისევე, როგორც არ იყო გამოკვლეული, ხომ არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების/შეწყვეტის წინაპირობები. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო მოსარჩელის აპელირებას მის მიმართ განხორციელებულ იძულებასა და პატაკის რეალური ნების სანინალმდეგოდ დაწერის თაობაზე და მნიშვნელოვნად მიიჩნია, ქვედა ინსტანციის სასამართლოს დაედგინა 2014 წლიდან 2017 წლამდე საკუთარი უფლებების დასაცავად ხომ არ მიუმართავს არა სასამართლოსთვის, არამედ სხვა უწყებებისთვისაც და გამოეკვეთა, ხომ არ არსებობდა რაიმე ობიექტური გარემოება, რაც გამორიცხავდა მოსარჩელის მიერ სათანადო ორგანოებისთვის მიმართვიანობის შეუძლებლობას თუნდაც იძულების გამო. ამ ფაქტის დადასტურების ტვირთი კი, სწორედ მოდავე მხარეზე უნდა განაწილებულიყო.<sup>26</sup>

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ იმსჯელა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებზე, არ შეაფასა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, სადავო ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზუსტად არ განსაზღვრა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტი და არ გამოიკვლია ვადის შეჩერების/შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული მითითებებით, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.<sup>27</sup>

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> იქვე.

VI. თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება

საქმის ხელახალი განხილვისას თბილისის სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია და უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება, რომელიც კვლავ გასაჩივრდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ. პოზიცია პირველად წარდგენილი საკასაციო საჩივრის იდენტიური იყო და ფაქტობრივად არ შეცვლილა.<sup>28</sup>

ახალი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო პალატის შეფასებით, მოცემული დავა სასამართლოების მიერ არსებითად სწორად იყო გადანყვეტილი, დამატებით კი მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა შეფასებულიყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, მანამდე კი – სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის წარმოების ყველა ეტაპზე მოსარჩელის მტკიცებაზე მის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტის, პატაკის რეალური ნების სანინააღმდეგოდ დაწერასა და შედეგად, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის შეფასებისას უნდა დადგენილიყო 2014 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მოსარჩელემ სცადა თუ არა საკუთარი უფლებების დასაცავად მიემართა არა სასამართლოსთვის, არამედ სხვა სახელმწიფო, სამართალდამცავი ან საგამოძიებო ორგანოებისათვის. საქმის მასალებით ცალსახად დასტურდებოდა, რომ მოსარჩელემ 2014 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში არაერთი განცხადებით მიმართა სახელმწიფო, საგამოძიებო ორგანოებს, მათ

<sup>28</sup> იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 07 აპრილის განჩინება Nბს-302 (კ-21).

შორის, 2016 წლის 22 ივნისს საქართველოს მთავარ პროკურორს სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობის თაობაზე, ასევე, 2016 წლის 10 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრს განცხადებით, რომელშიც მიუთითებდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან წასვლის შესახებ იძულებით დაანერინეს პატაკი და თავდაცვის მინისტრს სთხოვდა აღძრული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის შესახებ დაინტერესებას.<sup>29</sup>

რაც შეეხება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერებას შეფასებას, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა პატაკი, რომლის დაწერისასაც პირს არ გამოუფლენია რეალური, ნამდვილი ნება და ამას წინ უძღვოდა მუქარა, შანტაჟი, დაშინება. აღნიშნულის გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ დადასტურებლად მიიჩნია, რომ სამანდატო კომისიის მიერ მითითებული საკითხის განხილვისას მოსამსახურეებს არ ჰქონდათ დაწერილი პატაკები და ამ მხრივაც დაირღვა აქტის გამოცემისთვის სავალდებულო ადმინისტრაციული წარმოების პირობები, რაც უტყუარად ადგენდა მოსარჩელის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების (პატაკის) დაწერის იძულებას. საკასაციო პალატის შეფასებით, არსებობდა სადავო ბრძანების გაუქმების საფუძველები. ამრიგად, სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არ ქმნიდა საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობის საფუძველს და არ არსებობდა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებული არცერთი საფუძველი, რის გამოც საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად.<sup>30</sup>

<sup>29</sup> იხ., იქვე.

<sup>30</sup> იქვე.

### VIII. დასკვნა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული ორივე აქტის ერთმანეთთან შედარებისას ვლინდება, რომ თავდაპირველ, 2020 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო გასაჩივრების ვადის დინებას უკავშირებდა იმ პერიოდს, როდესაც პირმა შეიტყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე (მიუხედავად გათავისუფლების ბრძანების ადრესატისთვის ჩაუბარებლობისა), რასაც, თავის მხრივ, ამყარებდა იმ არგუმენტზე მითითებით, რომ კონკრეტული პირი არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, არ ცხადდებოდა სამსახურში, შესაბამისად, მისთვის ცალსახად იყო ცნობილი სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე. ეს კი იმ პირობებში, როდესაც თავდავე განმარტავდა, რომ სადავო ბრძანების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰქონდა, რასაც სასამართლო სხდომაზეც ადასტურებდა. ამასთან, მოსარჩელე მუთითებდა, რომ არც გასაჩივრების წესი განმარტებია ბრძანების ადრესატს, რის გამოც აქტის გასაჩივრების ვადა, ნაცვლად ერთი თვისა, ერთი წელია. თუმცა დავის სპეციფიკაზე მითითებით, მიიჩნევდა, რომ იდგა ქვედა ინსტანციის სასამართლოში საქმის დაბრუნებისა და მისი ფაქტობრივი გარმოებების (უპირველესად სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხის, რომელიც შესაძლოა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველიც გამხადარიყო) ხელახლა შეფასების საჭიროება. საკასაციო პალატა აგრეთვე მიუთითებდა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს ხელახლა უნდა შეეფასებინა ის საკითხიც, ხომ არ არებობდა რაიმე ობიექტური გარემოება, რაც წინ უძღვოდა სადავო აქტის დაგვიანებით გასაჩივრებას.

საგულისხმოა, რომ საქმის ხელახალი განხილვის ფარგლებში სააპელაციო პალატამ არ გადაუხვია განზოგადებულ პრაქტიკას აქტის გასაჩივრებას ვადის საწყის ნერტილთან დაკავშირებით და

ხანდაზმულობის ვადის დინება დაუკავშირა ადრესატისთვის აქტის ოფიციალურ გაცნობას და იმ მოტივზე დაყრდნობით, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან საკუთარი უფლების რეალიზების მიზნით სხვადასხვა უწყებისთვის მიმართვისა და მის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტი, რასაც გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფის დატვირთვაც მისცა. ახალი საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2022 წლის 7 აპრილის განჩინებით დაუშვებლად ცნო.

ამრიგად, ერთი და იგივე ფაქტობრივი მოცემულობა უზენაესმა სასამართლომ სხვადასხვაგვარად შეაფასა, ხოლო მეორე აქტის ფარგლებში შენარჩუნდა იქამდე დადგენილი პრაქტიკა აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის საწყისთან დაკავშირებით, რაც სრულიად გამართლებულია, რადგან არ შეიძლება აქტის ადრესატს მოეთხოვს იმ ბრძანების შესრულება, რომელიც მას არ ჩაბარებია და უცნობია მისი როგორც შინაარსობრივი, ისე სამართლებრივი საფუძვლები, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე ნამდვილად არ ცხადდებოდა სამსახურში. თუმცა რა ფაქტობრივი გარემოებაც უძღვოდა სამსახურიდან მის გათავისუფლებას, დავის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისას ორჯერ შეფასდა და დადასტურდა საკასაციო პალატის მიერ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სრულიად გამართლებულია, განსახილველი საკითხი შეფასებულიყო იმგვარად, რომ აქტის გასაჩივრების საწყისი ათვლილიყო აქტის ჩაბარების მომენტიდან, რაც კონკრეტულ შემთხვევაში საერთოდ არ მომხდარა და სასამართლოს გაეთვალისწინება ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ამ ხნის მანძილზე არ ყოფილა უმოქმედოდ და თავისი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით მიმართავდა არაერთ უწყებას.

COUNTING DOWN THE DEADLINE  
FOR APPEALING AN INDIVIDUAL  
ADMINISTRATIVE-LEGAL ACT ON  
DISMISSAL: ANALYSIS OF TWO ACTS OF THE  
SUPREME COURT OF GEORGIA TOGETHER  
WITH ONE CASE

---

**TAMAR TUSASHVILI**

Ph.D. Candidate at Sulkhani-Saba Orbeliani University,  
Head of Secondary Structural Unit at Tbilisi Court of Appeals

<https://orcid.org/0009-0002-4549-9901>

**Abstract**

Article 127 of the Law of Georgia on Public Service and Article 22 of the Code of Administrative Procedure of Georgia establish a one-month period for appealing orders, decrees, decisions, and actions issued on official matters to the court. Determining the starting point of this term is crucial to ensure that the addressee of the act has an effective and efficient mechanism to respond. This article examines the one-month time limit for appealing an individual administrative-legal act concerning a person's dismissal, using two acts of the Supreme Court of Georgia – a decision and a ruling, both related to the same case – as examples. The primary issue lies in the varying interpretations of the norms and different assessments of the factual circumstances of the case, leading to disparate practical outcomes

**Keywords:** Public Service, Dismissal, Return of Cases to Lower Court, Fact Assessment, Supreme Court of Georgia.



სასამართლოს გადაწყვეტილების  
შეუსრულებლობისათვის ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის  
სისხლისსამართლებრივი  
კასუხისმგებლობის დაკისრების  
საკითხი

## ხათია შაყილაძე

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

<https://orcid.org/0009-0005-1131-7227>

### I. შესავალი

სასამართლოს გადაწყვეტილებების სავალდებულობა სამართალწარმოების კონსტიტუციური პრინციპია,<sup>1</sup> რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას.<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტები შესასრულებლად სავალდებულოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა ისჯება კანონით. ამასთან, საგულისხმოა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი, რომელიც კიდევ უფრო აკონკრეტებს სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულო ძალას და მიუთითებს, რომ სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

<sup>1</sup> კობახიძე, ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2023, 241.

<sup>2</sup> დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016, 364-365.

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოსათვის.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები ფუნდამენტურ მნიშვნელობას ატარებს დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>3</sup> და უზრუნველყოფს სამართლიანობის ატმოსფეროს დამკვიდრებას, საზოგადოებრივი ცხოვრებიდან თვითნობისა და უკანონობის აღმოფხვრას.<sup>4</sup> ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულება მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანესი ელემენტი და სასამართლო განხილვის განუყოფელი ნაწილია,<sup>5</sup> რომელიც უზრუნველყოფს კანონიერების, სამართლის უზენაესობის პრინციპების რეალიზებას. ამდენად, გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულება სამართლის უზენაესობის ფუნდამენტური ელემენტია.<sup>6</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები მათი ჯეროვნად აღსრულების გარეშე ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლასა და სასჯელის მიზნების მიღწევას. ყოველგვარ აზრს დაკარგავდა მართლმსაჯულება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარეშე. სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ იქნება ეფექტიანად რეალიზებული, თუ სასამართლო გადაწყვეტილებები არ აღსრულდება.<sup>7</sup>

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 27 ივლისის N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

<sup>4</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. II, თბილისი, 2020, 607.

<sup>5</sup> „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ [ECtHR], განაცხადი N 71503/01, 2004 წლის 8 აპრილი, პარა. 181.

<sup>6</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N13(2010) „მოსამართლეთა როლზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში“, პარ. 7.

<sup>7</sup> იქვე.



ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილი „დამოუკიდებელი სასამართლოს“ ცნება გულისხმობს, რომ ასეთი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და მისი შინაარსი ვერ შეიცვლება არასასამართლო ხელისუფლების მიერ.<sup>8</sup> სისხლის სამართლის სფეროში სამართლის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ სისხლის-სამართლებრივი სასჯელები სრულად იყოს აღსრულებული, დამოუკიდებლად შეფარდებული სასჯელის ხასიათისა.<sup>9</sup> სასჯელის აღსრულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.<sup>10</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლისათვის. აღნიშნული ქმედების კრიმინალიზაციის ლეგიტიმური მიზნები მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება, სასამართლო გადაწყვეტილებების ეფექტიანად და ადეკვატურად აღსრულება, სამართლის უზენაესობის პრინციპის რეალიზება და სასამართლოს, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს ავტორიტეტის დაცვაა. მიუხედავად იმისა, რომ სავსებით გასაგებია ხსენებული ქმედების კრიმინალიზაციის მიზნები და ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება სასამართლოს გადაწყვეტილების

<sup>8</sup> The Van de Hurk v. the Netherlands [ECtHR], Application no. 16034/90, 19 April 1994, par. 45; Findlay v. The United Kingdom [ECtHR], Application no. 22107/93, 25 February 1997, par. 77.

<sup>9</sup> ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N13(2010) „მოსამართლეთა როლზე სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში“, პარ. 38.

<sup>10</sup> ფუტკარაძე, ე., სასჯელის დანიშნისა და აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, წიგნში: ნონა თოდუა 60, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021, 160.

შეუსრულებლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, საინტერესოა, თუ ვის აკისრებს კანონმდებელი გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებას და შესაძლებელია თუ არა ამ დანაშაულის ამსრულებელი იყოს თავად ის პირი (განსახილველ შემთხვევაში – მსჯავრდებული ან ბრალდებული), რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება.

სწორედ აღნიშნული საკითხის კვლევას ეთმობა წინამდებარე სტატია. ნაშრომში გაანალიზდება სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებების – განაჩენებისა და განჩინებების, შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები, რელევანტული სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლად ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის მოაზრების შესაძლო შემთხვევები და ის სამართლებრივი პრობლემები, რაც უკავშირდება ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.

## **II. განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირები**

სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის აღსრულება, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებაა. მსჯავრდებულისათვის განაჩენით შეფარდებული საპატიმრო თუ არასაპატიმრო სასჯელთა, აგრეთვე, პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულების წესს დეტალურად არეგულირებს, ერთი მხრივ, პენიტენციური კოდექსი, ხოლო, მეორე მხრივ, „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, აგრეთვე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონები.

ხსენებული სამართლებრივი აქტები დეტალურად განსაზღვრავს სასჯელთა აღსრულების პროცედურას და ამ პროცესში ჩართულ პა-

სუბსიმგებელ პირთა/ორგანოთა წრეს, რომლებსაც ეკისრებათ სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის ვალდებულება. კერძოდ, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ორგანოები არიან სპეციალური პენიტენციური სამსახური და მისდამი დაქვემდებარებული პენიტენციური დაწესებულებები, არასაპატიმრო სასჯელთა სახისა და პრობაციის სახის სამართლებრივი აქტების აღსრულებას უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო პრობაციის ბიუროების მეშვეობით, ხოლო სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების ან/და ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს აღასრულებს აღსრულების ეროვნული ბიურო. თავის მხრივ, განაჩენის, განჩინების აღსასრულებლად მიქცევა ამ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს ევალება. იმავდროულად, კანონმდებლობით მოწესრიგებულია ზემოაღნიშნულ ორგანოთა მიერ თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების წესი, ფარგლები, განაჩენის ეფექტიანად აღსრულების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები და ამ პროცესში ჩართულ პირთა წრე, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების აღსრულება. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება არა მხოლოდ საამისოდ სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ორგანოების მიერ, არამედ აგრეთვე, სახელმწიფო, ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის მოხელეების, სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირთა მიერ.<sup>11</sup>

საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ამსრულებლად, ცხადია, სწორედ ის პირი განიხილება, ვინც, კანონის შესაბამისად, ვალდებულია, აღასრულოს სასამართლოს

<sup>11</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნ. II, თბილისი, 2020, 608.

განაჩენი ან უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის აღსრულებაში. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისთვის ხელის შეშლას, ამ შემთხვევაში, ამსრულებელთა წრე შესაძლოა გაფართოვდეს და მხოლოდ განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელი ან აღსრულების პროცესში უშუალოდ ჩართული პირებით არ შემოიფარგლოს, რადგან განაჩენის შესრულებისათვის ხელის შეშლა, ქმედების ხასიათისა და მისი გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, შესაძლოა, ჩაიდინოს სხვა პირმაც, რომელსაც უშუალოდ არ ეკისრება გადაწყვეტილების შესრულების პასუხისმგებლობა და თუ მის ქმედებაში არ იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა, სპეციალური მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

### **III. მსჯავრდებული, რომორც საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი**

მსჯავრდებულის მიერ მისთვის შეფარდებული სასჯელის ნებაყოფლობით შესრულება, ცხადია, ერთი მხრივ, ხელს უწყობს განაჩენის ეფექტიანად აღსრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ემსახურება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მიღწევას და ამ გზით მის კანონმორჩილ მოქალაქედ გარდაქმნას, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალი დანაშაულის პრევენციას და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცულობას. განაჩენით შეფარდებული სასჯელის ნებაყოფლობით შესრულების დადებითი მხარეების მიუხედავად, სასჯელისათვის თავის არიდება და ამ გზით განაჩენის შესრულების ხელშეშლა/შეუსრულებლობა, როგორც წესი, არ შეიძლება გახდეს მსჯავრდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ამ

დანაშაულის ამსრულებელი არაა ის, ვის მიმართაც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება.<sup>12</sup>

აღნიშნული მიდგომის სასარგებლოდ, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, გაანალიზდეს თავად სასჯელის არსი და ბუნება, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული სისხლისსამართლებრივი და სასჯელის აღსრულების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომლებიც უკავშირდება სასჯელის იძულებით აღსრულების მექანიზმებსა და ამ უკანასკნელის შეუძლებლობის შემთხვევაში, დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას, რაც სასჯელის აღსრულების უზრუნველსაყოფად საკმარისი გარანტიებია. სასჯელი სახელმწიფოს რეაქციაა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის საპასუხოდ. იგი სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიებაა,<sup>13</sup> რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა<sup>14</sup> და რომელიც მიზნად ისახავს მართლწესრიგში ბალანსის აღდგენით სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას.

ამდენად, მართალია, დამნაშავე ვალდებულია, პასუხი აგოს ჩადენილი ქმედებისთვის,<sup>15</sup> მაგრამ ეს ვალდებულება საკუთარი თავის წინააღმდეგ სასჯელის ნებაყოფლობით აღსრულებაში კი არ გამოიხატება, არამედ სათანადო საფუძველს ქმნის სახელმწიფოს მიერ იძულების მექანიზმების გამოსაყენებლად, რაც ემსახურება მსჯავ-

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, 353; დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 13; ვარძელაშვილი, ი., სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (სასამართლო პრაქტიკის ანალიზი), თბილისი, 2020, 12.

<sup>14</sup> დვალიძე, ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, 14.

<sup>15</sup> დონჯაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2007, 16.

რდებულის მხრიდან მის მიერვე დარღვეული ნორმის სავალდებულო ძალის ზემოქმედების განცდას.<sup>16</sup> პასუხისმგებლობა სწორედ სისხლისსამართლებრივ იძულებაში გამოიხატება, რაც მოიაზრებს პირის სასჯელის ფორმით გაკიცხვასა და მასზე ზემოქმედებას, საკუთარ თავზე განიცადოს პირადი და ქონებრივი შეზღუდვები.<sup>17</sup> მსჯავრდებული ვალდებულია, მხოლოდ და მხოლოდ აიტანოს განაჩენით დაწესებული შეზღუდვები.<sup>18</sup> სასჯელი როგორც იძულების ღონისძიება თავისთავად გამოიხატავს მსჯავრდებულის მიერ მის ნებაყოფლობით აღსრულების ვალდებულებას. იძულების ღონისძიების აღსრულება, ცხადია, სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა, რაზეც ზემოთ უკვე გამახვილდა ყურადღება. სასჯელი სწორედ იმიტომაც იძულებითი, რომ არ არსებობს მისი ნებაყოფლობით შესრულების მოლოდინი. სახელმწიფო სწორედ იძულების ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით მიისწრაფვის სასჯელის მიზნების მიღწევას.<sup>19</sup> თუკი იმთავითვე არსებობს მსჯავრდებულის მიერ მის მიმართ შეფარდებული სასჯელის ნებაყოფლობით, სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და იძულების მექანიზმების გარეშე, შესრულების მოლოდინი, მაშინ მისი რესოციალიზაციისა და კანონმორჩილ მოქალაქედ გარდაქმნის მიზანიც მიღწეულია და სასჯელის მიზნებსაც აზრი ეკარგება. არ შეიძლება პირს ეკისრებოდეს იძულების ღონისძიების ნებაყოფლობით შესრულების ვალდებულება. ამდენად, სასჯელის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის გამო სისხლისსამართლებრივი

<sup>16</sup> ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2011, 9-10.

<sup>17</sup> სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007, 49.

<sup>18</sup> მუჟაფანაძე ზ., მინდაძე, ო., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005, 293-294.

<sup>19</sup> ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის ლებერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016, 158.

პასუხისმგებლობის დაკისრება ეწინააღმდეგება თავად სასჯელის არსს და მის სამართლებრივ ბუნებას. არავინაა ვალდებული თავად აღასრულოს საკუთარი თავის წინააღმდეგ შეფარდებული სისხლის-სამართლებრივი ღონისძიება.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი არ უნდა დარჩეს აღუსრულებელი და კანონმდებლობა უნდა ადგენდეს საკამრის გარანტიებს მისი აღსრულების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთ ასეთ გარანტიას ნამდვილად განეკუთვნება განაჩენის შეუსრულებლობისათვის ან მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუმცა ეს მექანიზმი, როგორც უკვე აღინიშნა, არ შეიძლება თავად მსჯავრდებულის მიმართ იქნეს გამოყენებული, რადგან, როგორც წესი, მსჯავრდებულზე არ არის დამოკიდებული განაჩენის ეფექტიანად აღსრულება და მას, ამ თვალსაზრისით, არ აწევს პასუხისმგებლობის ტვირთი. ამ გარემოებას მოწმობს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა განაჩენის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეიცავს მსჯავრდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ალტერნატიულ და საკმარის გარანტიებს, რათა წინააღმდეგობის მიუხედავად, უზრუნველყოს განაჩენის აღსრულება და მსჯავრდებულის მიერ სასჯელის ნებაყოფლობით შეუსრულებლობა ან მისთვის თავის არიდება არ დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. კერძოდ, ამგვარი გარანტიებია სასჯელის იძულებით აღსრულებისა და დანიშნული სასჯელის შეცვლის მექანიზმები, რაც გულისხმობს იმას, რომ განაჩენის ეფექტიანად აღსრულება არ ხდება დამოკიდებული მსჯავრდებულზე და სახელმწიფოს აქვს საკმარისი მექანიზმები, რათა მსჯავრდებულის ნება-სურვილისგან დამოუკიდებლად სისრულეში მოიყვანოს ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი. ასე, მაგალითად, კანონმდებლობა ადგენს სხვადასხვა სახის სასჯელის იძულებით აღსრულების მექანიზმებს (მაგ., თავისუფლების

აღკვეთის, ჯარიმის, ქონების ჩამორთმევის, თანამდებობის დაკავების ჩამორთმევის, გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვის, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის, სამხედრო წოდების ჩამორთმევის შემთხვევებში), რა დროსაც სასჯელი მსჯავრდებულის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად აღსრულდება. თუმცა არსებობს სასჯელთა ისეთი სახეები, რომელთა იძულებით აღსრულება შეუძლებელია მსჯავრდებულის მიერ სასჯელისათვის თავის არიდების შემთხვევაში (მაგ., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა თუ გადახდევინება შეუძლებელია). ანალოგიურად ითქმის პირობითი მსჯავრის, პირობით ვადამდე გათავისუფლების, სასჯელის მოხდის გადავადების შემთხვევებზეც. ასეთი ვითარებისთვის კი კანონმდებელი ითვალისწინებს დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლის ან პირობითი მსჯავრის/პირობით ვადამდე გათავისუფლების/სასჯელის მოხდის გადავადების გაუქმების წესს.

ამდენად, ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის ამსრულებლად, როგორც წესი, ვერ განიხილება ის მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი. ერთადერთი შემთხვევა, რა დროსაც კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს მსჯავრდებულისათვის განაჩენის შეუსრულებლობის/შესრულებისათვის ხელის შეშლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობაზე, არის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლებაჩამორთმეული პირის მიერ ხსენებული კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევა (შეუსრულებლობა).<sup>20</sup> საგულისხმოა, რომ, მართალია, ზემოაღნიშნული კანონის საფუძველზე უფლებების ჩამორთმევა საქართველოს სსკ-ის თანახმად, არაა სასჯელი, თუმცა არაპირდა-

<sup>20</sup> „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი.



პირ სასჯელთა სისტემის სივრცეშია და პირის უფლებათა ფართო სპექტრის შეზღუდვის ინტენსივობის თვალსაზრისით, იგი დანაშაულზე სათანადო რეაგირებისა და სასჯელის მიზნების მიღწევის – მათ შორის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების – ქმედითი მექანიზმია.<sup>21</sup> აღნიშნულ ღონისძიებას სადამსჯელო ბუნება აქვს, მიმართულია სასჯელის მიზნების მიღწევისკენ და პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომაა – სასჯელია.<sup>22</sup> შესაბამისად, გარდა ხსენებული შემთხვევისა, მსჯავრდებული, როგორც წესი, ვერ განიხილება განაჩენის შეუსრულებლობის/შესრულებისათვის ხელის შეშლის ამსრულებლად. თუმცა სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მსჯავრდებულისათვის განაჩენის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევები.

#### IV. მსჯავრდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სასჯელის სახით შეფარდებული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შეუსრულებლობისათვის

გამოიკვეთა, რომ განაჩენით შეფარდებული სასჯელის აღსრულება შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისა და აღსრულების პროცესში უშუალოდ ჩართულ პირთა პასუხისმგებლობაა, ხოლო მსჯავრდებულის მიერ განაჩენის შეუსრულებლობაზე/შესრულებისათვის თავის არიდებაზე რეაგირების მექანიზმი სასჯელთა იძულებითი აღსრულება ან დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლაა და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკის-

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის N1196აპ-23 განაჩენი.

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილება საქმეზე, „კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

რება. თუმცა, საინტერესოა, რამდენად რელევანტურია აღნიშნული მსჯელობა ისეთი სასჯელის აღსრულების პროცესში, როგორცაა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (მისი ცალკეული სახე) და რამდენად განეკუთვნება მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოების/ პირთა პასუხისმგებლობას მისი რეალური და ეფექტიანი აღსრულება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში სამართალშემფარდებლის მსჯელობის საგანი იყო გამამტყუნებელი განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის შესაბამისად, საქმიანობის უფლების სახით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის მიუხედავად, პირის მიერ ავტომობილის მართვის სამართლებრივი კვალიფიკაცია. კერძოდ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, მსჯავრდებულს საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, თუმცა ამ უფლების ჩამორთმევის ვადის პერიოდში მან მართა ავტომობილი, რა დროსაც შეაჩერეს პოლიციის თანამშრომლებმა და ბრალდების შესახებ დადგინილებით, ბრალი წარედგინა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.<sup>23</sup> საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით ბრალდებული ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში, რაც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ.<sup>24</sup>

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 15 მარტის N749აპ-22 განაჩენი.

<sup>24</sup> ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მარტის N1/ბ-160-2022 განაჩენი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა მიზნად ისახავს სასამართლო აქტების შესრულების ხელშეწყობას იმ პირთა მიერ, ვისაც ევალება მათი აღსრულება და არ მიემართება პირებს (გამონაკლისი შემთხვევების გარდა), რომელთა მიმართ არის გამოტანილი სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გარანტი არის არა მსჯავრდებული, არამედ ის სუბიექტები, რომლებსაც ევალებათ სასჯელის აღსრულება. სააპელაციო სასამართლომ მიმოიხილა სასჯელის სახით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები და განმარტა, რომ აღნიშნული სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირია პრობაციის ოფიცერი და ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, გააუქმოს გადაწყვეტილება გარკვეული საქმიანობის უფლების მინიჭების თაობაზე. შესაბამისად, სამართალშემფარდებლის აზრით, განსახილველ საქმეში, პირის მიმართ შეფარდებული სასჯელი უნდა აღსრულებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს მონაცემთა ბაზაში მართვის უფლების აკრძალვის დაფიქსირებით, ხოლო პირის მიერ დამატებითი სასჯელით გათვალისწინებული პირობების – მართვის უფლების აკრძალვის – უგულებელყოფა მოცემულ შემთხვევაში იყო არა სისხლისსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად არ მოიაზრება მსჯავრდებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობაში ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული (მაგალითად, როგორც ეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონითაა გათვალისწინებული).<sup>25</sup>

<sup>25</sup> იქვე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა და აღნიშნა, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტთა წრიდან არ გამოირიცხებიან მსჯავრდებული/ბრალდებული პირები და შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, განაჩენის/განჩინების აღსრულების ვალდებულება მათაც ეკისრებათ. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ დანიშნული სასჯელის ეფექტიანობა, სასჯელის მიზნების მიღწევისათვის, სწორედ სასჯელის აღსრულებაზე/აღსრულების ეფექტიანობაზე გადის, ასევე სასჯელის რეალურად აღსრულების აუცილებლობაც, რაც მოცემულ შემთხვევაში, დამოკიდებულია სწორედ მსჯავრდებულის ქმედებაზე – აკრძალვის პირობებში არ მართოს ავტომობილი. კონკრეტულ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ შეაფასა მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის – არსი და განმარტა, რომ ამ სასჯელის აღსრულება ობიექტურად ვერ იქნება დამოკიდებული მხოლოდ სასჯელის აღმასრულებელი ორგანოს – შსს-ის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლების მოქმედებაზე და მათ მიერ მონაცემთა ბაზაში მართვის უფლების აკრძალვის ფორმალურად დაფიქსირებაზე. სასამართლოს მითითებით, ამ შემთხვევაში სასჯელის აღსრულება მთლიანად იმ პირზეა დამოკიდებული, ვისაც ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. აღნიშნული სასჯელის აღსრულების სხვა ეფექტიანი მექანიზმის არარსებობის პირობებში, საქმიანობის უფლების – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების – ჩამორთმევა გულისხმობს მსჯავრდებულის მხრიდან ავტომობილის მართვისაგან თავის შეკავებას და მისი საწინააღმდეგო მოქმედება ნიშნავს განაჩენის შეუსრულებლობას, რაც იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.<sup>26</sup>

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 15 მარტის N749აპ-22 განაჩენი.

უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული შეფასება საგულისხმოა და შესაძლოა, იყოს ის *გამონაკლისი შემთხვევა*, რა დროსაც, თავად მსჯავრდებულის განიხილება მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირად. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილების ეფექტიანად აღსრულების უზრუნველყოფას და ამ გზით სამართლის უზენაესობის პრინციპის განმტკიცებას, რაც, როგორც წესი, განაჩენის აღსრულებაზე პასუხისმგებელ, შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირთა ვალდებულებაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის სახე, სხვა სახის სასჯელებთან შედარებით გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა. სასჯელის ხსენებული სახე გულისხმობს მსჯავრდებულისათვის პროფესიული ან სხვაგვარი საქმიანობის აკრძალვას იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, შეუძლებლად მიიჩნევს პირისთვის ამა თუ იმ საქმიანობის უფლების შენარჩუნებას. იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ სასჯელი უნდა აღსრულდეს *რეალურად და ეფექტიანად*, რათა მიღწეულ იქნეს მისი მიზნები, რაც საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში, გულისხმობს, რომ პირმა *რეალურად არ განახორციელოს* კონკრეტული საქმიანობა. სხვა შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი აზრს დაკარგავდა. საქმიანობის უფლების ჩამორთმევისას მისი რეალური აღსრულება გადის არა ლიცენზიის/ნებართვის გაუქმებაზე ან შესაბამისი აკრძალვის ბაზაში დაფიქსირებაზე, არამედ პირის მიერ ამ საქმიანობის რეალურ შეუსრულებლობაზე.

ნებისმიერი სხვა სახის სასჯელის რეალური აღსრულება არ არის დამოკიდებული თავად მსჯავრდებულზე, რადგან, როგორც აღინიშნა, კანონმდებლობა ითვალისწინებს მათი *იძულებით, მსჯავ-*

ვრდებულისაგან დამოუკიდებლად ეფექტიანად აღსრულების მექანიზმებს (რაც სხვა პირთა პასუხისმგებლობაა და არა მსჯავრდებულის) ან ამ უკანასკნელის შეუძლებლობის შემთხვევაში – სხვა სახის სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას. საქმიანობის უფლების ჩამორთმევისას კი (გარდა ცალკეული საქმიანობის სახეებისა) არ არსებობს მექანიზმი, რაც უზრუნველყოფს მსჯავრდებულის მიერ ამ საქმიანობის რეალურად განხორციელებისაგან თავის შეკავებას. კერძოდ, მხოლოდ ლიცენზიის/ნებართვის გაუქმება ან ბაზაში აკრძალვის დაფიქსირება არ გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ საქმიანობის ამა თუ იმ სახის ფაქტობრვ შეუსრულებლობას. მაგ., აკრძალვის მიუხედავად ავტომობილის მართვა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, მისი შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, არც სხვა სახის სასჯელით შეცვლას ექვემდებარება, რასაც ისიც ადასტურებს, რომ მისი ათვლა იწყება ძირითად სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ან შინაპატიმრობის მოხდის მომენტიდან, ეს კი გულისხმობს იმას, რომ სასჯელის მიზანია, სწორედ თავისუფალი გადაადგილების პირობებში არ ახორციელებდეს პირი კონკრეტულ საქმიანობას.

საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი ის პირია, ვინც პასუხისმგებელია დანიშნული სასჯელის ეფექტიან და რეალურ აღსრულებაზე. მოცემულ შემთხვევაში კი, შეიძლება ითქვას, რომ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევისას აღნიშნული სასჯელის რეალურ აღსრულებაზე შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად პასუხისმგებლობა თავად მსჯავრდებულსაც ეკისრება. ამ ვალდებულების დარღვევა კი ქმნის საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის და არა – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობას (მაგ., სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში – სატრანსპორტო საშუალების მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე), რადგან სამართა-

ლდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, განსახილველ შემთხვევაში – საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აკრძალული საქმიანობის განხორციელება, თავის მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს (მაგ., უკანონო საექიმო ან ფარმაცევტული საქმიანობა, უკანონო სამენარმეო საქმიანობა), მაშინ ქმედების კვალიფიკაციის საკითხი გადაწყდება საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლსა და შესაბამის მუხლს შორის კონკურენციის საფუძველზე (ზოგად და სპეციალურ ნორმებს შორის კონკურენცია).

ამდენად, როდესაც სასჯელის სახით პირს ჩამორთმეული აქვს ისეთი საქმიანობის უფლება (მაგ., სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება), რომლის რეალურად აღსრულება და ამ საქმიანობის განხორციელებისაგან თავის შეკავება, მათ შორის, თავად მსჯავრდებულის ნებაზეც არის დამოკიდებული და მის მიერ ამ საქმიანობისაგან თავის შეკავების გარეშე სასჯელი პრაქტიკულად ვერ აღსრულდება, რადგან არც იძულებით აღსრულების მექანიზმი არსებობს და არც სხვა სახის სასჯელით შეცვლას ექვემდებარება, ასეთ შემთხვევაში, განაჩენის ეფექტიანად აღსრულებაზე პასუხისმგებლობა თავად მსჯავრდებულსაც ეკისრება. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება არის მთავარი პირობა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლის განსასაზღვრად. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, ხსენებული დანაშაულის ამსრულებელი ის პირიცაა, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი, რაც სასამართლოს განაჩენის აღსრულებისა და ამ გზით სამართლის უზენაესობის პრინციპის დაცვის ეფექტიანი მექანიზმია. ამ მიდგომას ადასტურებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონ-

ნიც, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ამ კანონის საფუძველზე უფლებების ჩამორთმევის სახით დადგენილი აკრძალვების დარღვევის გამო მსჯავრდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. მართალია, ხსენებული კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევა საქართველოს სსკ-ის მიხედვით, არაა სასჯელი, მაგრამ თავისი სადამსჯელო ბუნებით, მიზნობრივობით, შინაარსითა და პირის უფლებრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, სასჯელის სახით საქმიანობის უფლების ჩამორთმევის იდენტურია. შესაბამისად, გაუგებარია, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის დარღვევა რატომ განაპირობებს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით პასუხისმგებლობას და რატომ არ შეიძლება იგივე შედეგი დადგეს სასჯელის სახით შეფარდებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევის დარღვევისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით, საფუძველს მოკლებულია მიდგომა, რომლის თანახმადაც, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტად არ მოიაზრება მსჯავრდებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობაში (კერძოდ, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში) ამის შესახებ სპეციალურადაა მითითებული. საგულისხმოა, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის ამსრულებელთა წრეს, უპირველეს ყოვლისა, თავად აღნიშნული მუხლის დისპოზიცია განსაზღვრავს. შესაბამისად, სუბიექტთა წრე გამომდინარეობს საკუთრივ ნორმის ნამდვილი შინაარსიდან, რომლის იდენტიფიცირებაც ნორმის განმარტების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი და რაც უკვე განისაზღვრა ზემოაღნიშნული მსჯელობის შედეგად. აქედან გამომდინარე, არაა გასაზიარებელი იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს, საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული



დანაშაულის ამსრულებელი არცერთ შემთხვევაში და არც ერთ ეტაპზე არ არის ის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გადანწყვეტილება.<sup>27</sup>

V. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამორთმეული უფლებების აღდგენის გავლენა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაზე

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ“ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, როგორც უკვე აღინიშნა, პირდაპირ მიუთითებს მსჯავრდებულისათვის განაჩენის შეუსრულებლობის/შესრულებისათვის ხელის შეშლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობაზე, ხსენებული კანონის საფუძველზე უფლებაჩამორთმეული პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში. საინტერესოა, როგორ უნდა გადანწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, თუ პირს, რომელსაც ზემოაღნიშნული შეზღუდვების დარღვევის გამო მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამორთმეული უფლებები. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკაში იკვეთება შემთხვევები, რა დროსაც თითქოსდა საფუძველი ეცლება საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით პირის

<sup>27</sup> იხ. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნ. II, თბილისი, 2020, 608; თოდუა ნ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადანწყვეტილების შეუსრულებლობისთვის, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა 80, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 243-261; მაღლაკელიძე ლ., ბრალდებულის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმა – თვითინკრინაციისაგან დაცვის პრივილეგია, თუ სასამართლო გადანწყვეტილების შეუსრულებლობა?!, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(71), 2021, 19-20.

მსჯავრდებას. ეს შესაძლოა იყოს პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ ბრალდების საქმეზე, რომელშიც პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დამნაშავედ იქნა ცნობილი და ჩამოერთვა უფლებები, ასევე, შესაძლოა, გამოიკვეთოს ჩამორთმეული უფლებების აღდგენის შემთხვევა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ გამამართლებელი განაჩენის საფუძველზე აღდგენილი უფლება გავლენას ახდენს წარსულში ჩადენილი დანაშაულის (ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის) შემადგენლობაზე, კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულის ქმედებაში გამოკვეთილი აღარ იყო დანაშაულის (კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის) შემადგენლობისათვის სავალდებულო ერთ-ერთი ელემენტი, დადგენილი აკრძალვა – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა, ვინაიდან მსჯავრდებული გამართლდა იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომლის საფუძველზეც ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. ამდენად, ვინაიდან მსჯავრდებულს გამამართლებელი განაჩენით აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საფუძველი გამოეცალა გარკვეული დროით ადრე ჩადენილ დანაშაულს, შესაბამისად, ბრალდება მოკლებული იყო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.<sup>28</sup>

სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებულად გადაწყდა საკითხი „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღდგენილ უფლებებთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღ-

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 15 მარტის N940აპ-21 განაჩენი.

დგენილი უფლება გავლენას ვერ მოახდენს წარსულში ჩადენილი დანაშაულის – ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის – შემადგენლობაზე. უზენაესი სასამართლოს შეფასებით, პრინციპულად არასწორია ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან პირის ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლების გაიგივება ქმედების დანაშაულებრიობასა და დასჯადობის გაუქმებასთან. ამნისტიის საფუძველზე დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, მსჯავრდებული – სასჯელისაგან ან/და მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით, ხოლო სასჯელმოხდელს მოეხსნას ნასამართლობა, რაც ვერაფრით გახდება იმის მტკიცების საფუძველი, რომ ამნისტირებული ქმედება აღარ არის მართლსაწინააღმდეგო ან/და დასჯადი. ამდენად, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით მსჯავრდებულისთვის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების აღდგენა, ვერაფრით შეცვლის იმ მოცემულობას, რომ მან არ შეასრულა ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და ვერ გახდის საექვოს იმ უდავო ფაქტს, რომ როდესაც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, მის ქმედებებში გამოკვეთილი იყო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობის – შემადგენლობა, რომელზეც გავლენას ვერ მოახდენს მსჯავრდებულის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მომავალში გამოჩენილი ლმობიერება და მისთვის ჩამორთმეული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა.<sup>29</sup>

<sup>29</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 1 ოქტომბრის N266აპ-21 განაჩენი.

VI. ნიმუშის აღებაზე უარის თქმა, როგორც  
ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი  
პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი

საქართველოს სსსკ-ის 147-ე მუხლი ერთ-ერთი საპროცესო ღონისძიების სახით ითვალისწინებს მხარის მიერ ნიმუშის აღებას და ადგენს მისი ჩატარების წესსა და ფარგლებს. ხსენებული მუხლი, მათ შორის, განსაზღვრავს მხარის მიერ სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღების შემთხვევებს. კერძოდ, სასამართლოს განჩინების გაცემის საჭიროება დგება ორ შემთხვევაში, თუ: 1. ნიმუშის აღება არ იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და პირი უარს აცხადებს ნიმუშის ნებაყოფლობით აღებაზე ან პირს უნარი არ გააჩნია, გამოსატოს ნება; 2. თუ ნიმუშის აღება იწვევს ძლიერი ტკივილის შეგრძნებას და არ არსებობს პირის ან ნორმით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, მშობლის/მეურვის/მზრუნველის თანხმობა.

საგულისხმოა, რომ ნიმუშის აღება, თავისი მნიშვნელობით, ერთ-ერთი საკვანძო ღონისძიებაა, რომელიც პირდაპირ უკაშირდება მტკიცებულების მოპოვების მიზანს<sup>30</sup> და მნიშვნელოვნად განაპირობებს დაცვის ან ბრალდების მხარეთა პოზიციების ხელშეწყობას. ცხადია, შესაძლებელია, ბრალდებულისათვის არც კი იყოს ხელსაყრელი მისგან ამა თუ იმ ნიმუშის აღება, რის გამოც, უარი განაცხადოს მის ნებაყოფლობით აღებაზე. თუმცა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება და სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების მოპოვება ვერ იქნება დამოკიდებული ბრალდებულის კეთილ ნებაზე. სწორედ ამიტომ კანონმდებლობა უშვებს პირისგან ნიმუშის იძულებით აღების წესს, რომლის საფუძველი სწორედ სასა-

<sup>30</sup> მაღლაკელიძე ლ., ბრალდებულის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმა – თვითინკრინინაციისაგან დაცვის პრივილეგია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?!, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(71), 2021, 22.

მართლოს განჩინებაა და რაც არ არღვევს თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას. თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი არ მოიცავს მასალას, რომლის მოპოვებაც ბრალდებულისგან შესაძლებელია იძულებითი ზომების გამოყენებით, არამედ რომელიც არსებობს ექვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად. ასეთი მასალაა *inter alia* ჩხრეკის ბრძანების საფუძველზე ამოღებული დოკუმენტები, სუნთქვისა და შარდის ნიმუშები, დნმ-ის ანალიზისთვის საჭირო ორგანული ქსოვილები.<sup>31</sup> ბრალდებულს მოეთხოვება, მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგ., სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილების ნიმუშების აღებისას) მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა, მაგ., ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით წარმოშობილ მასალებს, როგორცაა, სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები.<sup>32</sup> ამდენად, დასაშვებია ბრალდებულის სხეულიდან მასალის მოპოვება იძულებით მაშინაც, როდესაც ბრალდებული ამის წინააღმდეგია, იძულების პროპორციული ზომის გამოყენების გზით, საქართველოს სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად.<sup>33</sup>

საინტერესოა საკითხი, რამდენად განაპირობებს, სასამართლოს განჩინების არსებობის მიუხედავად, ბრალდებულის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმა მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით, სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობა. საგულისხმოა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია: არსებობს გადაწყვეტილებები, რომლებშიც სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობისათვის ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ

<sup>31</sup> *Saunders v. United Kingdom* [ECtHR], Application no. 19187/91, 17 December 1996, par. 69.

<sup>32</sup> *Jalloh v. Germany* [ECtHR], Application no. 54810/00, 11 July 2006, par. 114.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 10 დეკემბრის N511აპ-21 განაჩენი.

საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით, თუმცა, იმავდროულად, არსებობს საპირისპირო პრაქტიკაც.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდების შესახებ დადგენილებით პირი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა მის მიერ სასამართლოს იმ განჩინების შეუსრულებლობაში, რომლითაც საქართველოს შსს-ის თანამშრომლებს მიეცათ ნებართვა, ბრალდებულისაგან, საექსპერტო კვლევისათვის, აეღოთ ნერწყვის, სუნისა და ხელის კვლების ნიმუშები. მიუხედავად იმისა, რომ განჩინება სათანადო წესის დაცვით გააცნეს ბრალდებულს, მან უარი განაცხადა ნიმუშების აღებაზე. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა პირი დამნაშავედ ცნეს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენისთვის, რაც უცვლელად დატოვა უზენაესმა სასამართლომ. საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა მარტოოდენ ის ფაქტი, რომ ბრალდებულს გააცნეს სასამართლოს განჩინება ნიმუშის აღების თაობაზე, რაზეც მან უარი განაცხადა, რის შესახებაც შედგა შესაბამისი ოქმი. აღნიშნული ფაქტის დასტურად სასამართლომ ასევე გაითვალისწინა მოწმეთა ჩვენებები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სწორედ ბრალდებულის უარის გამო ვერ შეძლეს ნიმუშების აღება.<sup>34</sup>

უზენაესი სასამართლოს შეფასებით, საქართველოს სსსკ-ით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გაცემული სასამართლოს განჩინების საფუძველზე სამედიცინო პერსონალის მიერ ნიმუშის აღება არ უკავშირდებოდა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას, ან გადამეტებული ძალის გამოყენებას, არამედ ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს – ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის განსაზღვრას მისთვის შერაცხულ ბრალდებაში. ამასთან, არ იყო ბრალდების ერთადერთი ან/და გადამწყვეტი მამხილებელი მტკიცებულება. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ბრალდებუ-

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 18 მაისის N951აპ-21 განჩინება.

ლის ვალდებულება, მშვიდად მიეღო უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგ., სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილის ნიმუშის აღებისას). საკასაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა გამამტყუნებელი განაჩენი და არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტი, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს სსკ-ის 38-ე მუხლის მე-17 ნაწილით განმტკიცებულ ბრალდებულის უფლებას, არ მიეღო მონაწილეობა მის მიმართ წარმოებულ გამოძიებაში, რაც ადვოკატის მტკიცებით, კანონიერ საფუძველს აცლიდა პირის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით.<sup>35</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელ პრაქტიკაში შეინიშნება საკითხის განსხვავებულად გადანყვეტის შემთხვევები. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანი იყო მსჯავრდებულების მიერ, მათთვის სასამართლოს განჩინების წარდგენის მიუხედავად, ნიმუშის აღებაზე უარის სამართლებრივი კვალიფიკაცია. სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულებს, რომლებიც იმყოფებოდნენ პენიტენციურ დაწესებულებაში, გაეცნოთ სასამართლოს განჩინება საპროცესო მოქმედების – ნიმუშის აღების – ჩასატარებლად ნებართვის გაცემის თაობაზე, განემარტათ უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე, საპროცესო მოქმედების ჩატარების წესი. მიუხედავად ამისა, მათ უარი განაცხადეს ნიმუშის აღებაზე და ამ მიზნით საკნიდან გამოსვლაზე. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი და აღნიშნული პირები დამნაშავედ ცნეს სასამართლოს გადანყვეტილების შეუსრულებლობისათვის. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულების ქმედება არ იყო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სასამართლოს გადანყვეტილების შეუსრულებლობა), ვინაიდან

<sup>35</sup> იქვე. მსგავსი მიდგომაა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებულ სხვა საქმეებშიც. მაგ. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 10 იანვრის N449აპ-18 განჩინება.

განჩინების აღსრულება დაევალა გამომძიებლებს და ამავე განჩინებით იქნა გათვალისწინებული წინააღმდეგობის შემთხვევაში პროპორციული ძალის გამოყენების შესაძლებლობა, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა, რომ გამომძიებლებმა მითითებულ ეპიზოდებში პროპორციული ძალა გამოიყენეს და პროპორციული ძალის გამოყენების მიუხედავად, ვერ მოხერხდა მსჯავრდებულებისთვის სუნის ან ნერწყვის ნიმუშის აღება.<sup>36</sup>

ანალოგიურად გადაწყვიტა საკითხი უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთ სისხლის სამართლის საქმეში და კვლავაც გაითვალისწინა პროპორციული ძალის გამოყენებლობის ფაქტი, რის გამოც ძალაში დატოვა გამამართლებელი განაჩენი.<sup>37</sup> აღნიშნული გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ პირის საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით მსჯავრდებას არ განაპირობებს ბრალდებულის უარი სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელ ნიმუშის აღებაზე, არამედ ბრალდების მხარე ვალდებულია, ამტკიცოს, რომ *ერთი მხრივ, გამოყენებულ იქნა იძულების პროპორციული ძალა, ხოლო, მეორე მხრივ, ამგვარი ძალის გამოყენების მიუხედავად, ბრალდებულის დაუძლეველი წინააღმდეგობის გამო, შეუძლებელი აღმოჩნდა სასამართლოს განჩინების შესრულება*. კერძოდ, ზემოაღნიშნულ საქმეებში სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ პროპორციული ძალის გამოყენებისა და მისი გამოყენების მიუხედავად ნიმუშის აღების შეუძლებლობის ფაქტი“<sup>38</sup>. მსგავსი მიდგომა უზენაესი

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 10 დეკემბრის N511აპ-21 განაჩენი.

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 26 ოქტომბრის N703აპ-22 განჩინება.

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 10 დეკემბრის N511აპ-21 განაჩენი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 26 ოქტომბრის N703აპ-22 განჩინება.



სასამართლოს კიდევ ერთ განაჩენში, სადაც სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ განჩინება არ ითვალისწინებდა მითითებას პროპორციული ძალის გამოყენების შესახებ და ამგვარი ძალა არც ნიმუშის ალებაზე პასუხისმგებელ პირებს გამოუყენებიათ.<sup>39</sup> სასამართლოს შეფასებით, ბრალდებული არ იყო ინფორმირებული ნიმუშის ალებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების თაობაზე, რის გამოც უზენაესმა სასამართლომ არასწორად მიიჩნია სააპელაციო პალატის მიერ პირის მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით.<sup>40</sup> თუმცა, ზემოაღნიშნული განმარტებებიდან გამომდინარე, *საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია ბრალდებულისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმ შემთხვევაში, თუ პროპორციული ძალის გამოყენების მიუხედავად მაინც შეუძლებელი აღმოჩნდება მისგან ნიმუშის ალება?* უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ განსახილველ საქმეებში სასამართლოს შეფასების საგანი იყო კონკრეტული ფაქტობრივი მოცემულობა, რაც გულისხმობდა ბრალდებულის უარს ნიმუშის ალებაზე, პროპორციული ძალის გამოყენების არარსებობის პირობებში. შესაბამისად, სასამართლომ საკითხი განმარტა მხოლოდ ამ კონკრეტული ვითარების კონტექსტში და არ უმსჯელია მოვლენათა შესაძლო განვითარების შემთხვევების გადაწყვეტაზე. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობები არ შეიძლება იმგვარად იქნეს გაგებული, თითქოს, ძალის გამოყენების მიუხედავად ნიმუშის ალების შეუძლებლობა საკმარისი პირობაა ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად რთული წარმოსადგენია იმგვარი ვითარება, რა დროსაც, პროპორციული ძალის გამოყენება არაეფექტიანი იქნება ნიმუშის ალების შესახებ განჩინების

<sup>39</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2024 წლის 5 მარტის N1284აპ-23 განაჩენი.

<sup>40</sup> იქვე.

შესასრულებლად, მეორე მხრივ, ნიმუშის აღების შესახებ სასამართლოს განჩინების შინაარსიდან და მიზნიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ბრალდებული რაიმე ეტაპზე ან ვითარებაში მოიაზრებოდეს ამავე განჩინების აღსრულებაზე პასუხისმგებელ პირად, რაზეც უფრო დეტალურად ქვემოთ გამახვილდება ყურადღება. შესაბამისად, ბრალდებული არ შეიძლება მოიაზრებოდეს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პოტენციურ ამსრულებლად, მათ შორის, არც იმ თეორიულ და აბსტრაქტულ შემთხვევაში, თუ პროპორციული ძალის გამოყენების მიუხედავად ნიმუშის აღება შეუძლებელია. შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია პირის წინასწარ გაფრთხილებაც უარის თქმის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს განჩინებით ჩასატარებელი ნიმუშის აღება იძულების ღონისძიებაა, რომელიც, როგორც წესი, სწორედ მაშინ გამოიყენება, როდესაც ბრალდებული თანახმა არ არის მისგან ნიმუშის აღებაზე. განჩინების გაცემა სწორედ იმ ფაქტის ხაზგასმავა, რომ პირი უარს აცხადებს ამ მოქმედებაში მონაწილეობაზე. შესაბამისად, სასამართლოს განჩინება ბრალდებულის ნება-სურვილის შეცვლისკენ კი არ არის მიმართული და ქმედების ნებაყოფლობით შესრულების ვალდებულებას კი არ აკისრებს მას, არამედ მიზნად ისახავს მის მიმართ იძულების გამოყენებას. შესაბამისად, სასამართლოს განჩინების გაცემისას იმთავითვე და თავისთავად ნაგულისხმევია ბრალდებულის უარი ნიმუშის აღებაზე და არც კი შეიძლება არსებობდეს მისი მხრიდან ნებაყოფლობითი ქმედების განხორციელების მოლოდინი. სწორედ ამიტომაც მიეთითება განჩინებაში პროპორციული ძალის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში, განჩინების გაცემა არც კი იქნებოდა საჭირო. შესაბამისად, განჩინების აღსრულებაზე პასუხისმგებლობა, მათ შორის, შესაბამისი პროპორციული ძალის გამოყენების მეშვეობით, ეკისრება სწორედ მისი ჩატარების ინიციატორ მხარეს და არა

თავად იმ პირს, ვის მიმართაც გამოტანილია განჩინება, რასაც კიდევ უფრო განამტკიცებს განჩინებაში პროპორციული ძალის გამოყენებაზე შესაბამისი მითითება. ამდენად, ნიმუშის ალების იძულებითი ხასიათი იმთავითვე გამორიცხავს თავად ბრალდებულის პასუხისმგებლობას მის აღსრულებაზე, რადგან განჩინების რეალური და ეფექტიანი აღსრულება, გამოსაყენებელი იძულების ზომის გათვალისწინებით, არ არის დამოკიდებული იმ პირზე, ვის წინააღმდეგაც გამოტანილია იგი. შესაბამისად, ხსენებული განჩინების აღსრულება სრულად სცილდება ბრალდებულის პასუხისმგებლობის ფარგლებს. თუმცა, იმავდროულად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროპორციული ძალის გამოყენება, ცხადია, არ გულისხმობს აკრძალულ მეტოდთა მეშვეობით პირზე ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სრულიად გასაზიარებელია იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება ნიმუშის ალებაზე უარის თქმის გამო ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შეუძლებლობის შესახებ,<sup>41</sup> რადგან, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდებული არაა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი.

## VII. დასკვნა

სტატიაში გაანალიზდა სასამართლო გადაწყვეტილებების როლი და მათი ეფექტიანად, ჯეროვნად აღსრულების მნიშვნელობა სამართლის უზენაესობის პრინციპის რეალიზებისა და მართლმსაჯუ-

<sup>41</sup> ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წ. II, თბილისი, 2020, 608, 610; თოდუა ნ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის, წიგნში: აკაკი ლაბარტყავა 80, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 243-261; მაღლაკელიძე ლ., ბრალდებულის მიერ ნიმუშის ალებაზე უარის თქმა – თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?!, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(71), 2021, 21.

ლების მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, ამსრულებლად, ცხადია, სწორედ ის პირი განიხილება, ვინც, კანონის შესაბამისად, ვალდებულია, აღასრულოს სასამართლოს განაჩენი ან უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის აღსრულებაში. იმავდროულად, სასჯელის არსისა და ბუნების, ასევე, სასჯელის აღსრულების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის ამსრულებლად, გარდა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, როგორც წესი, ვერ განიხილება ის მსჯავრდებული, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

განაჩენით შეფარდებული სასჯელის აღსრულება შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისა და აღსრულების პროცესში უშუალოდ ჩართულ პირთა პასუხისმგებლობაა, ხოლო მსჯავრდებულის მიერ განაჩენის შეუსრულებლობაზე/შესრულებისათვის თავის არიდებაზე რეაგირების მექანიზმია სასჯელთა იძულებითი აღსრულება ან დანიშნული სასჯელის სხვა სახის სასჯელით შეცვლა და არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. თუმცა კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სასჯელის ისეთი სახის რეალური და ეფექტიანი აღსრულება, როგორცაა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (მისი ცალკეული სახეები) არ განეკუთვნება მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოების/პირთა პასუხისმგებლობას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის სახით პირს ჩამორთმეული აქვს ისეთი საქმიანობის უფლება (მაგ., სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება), რომლის რეალურად აღსრულება და ამ საქმიანობის განხორციელებისაგან თავის შეკავება, მათ შორის, თავად მსჯავრდებულის ნებაზეც არის დამოკიდებული

და მის მიერ ამ საქმიანობისაგან თავის შეკავების გარეშე სასჯელი პრაქტიკულად ვერ აღსრულდება, რადგან არც იძულებით აღსრულების მექანიზმი არსებობს და არც სხვა სახის სასჯელით შეცვლას ექვემდებარება, ასეთ შემთხვევაში განაჩენის ეფექტიანად აღსრულებაზე პასუხისმგებლობა თავად მსჯავრდებულსაც ეკისრება. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება არის მთავარი პირობა საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებლის განსასაზღვრად. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ხსენებული დანაშაულის ამსრულებელი ის პირიცაა, რომლის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

იმავედროულად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩასატარებელი საპროცესო მოქმედების – ნიმუშის აღების – სამართლებრივი ბუნების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ხსენებული განჩინების აღსრულება სრულად სცილდება ბრალდებულის პასუხისმგებლობის ფარგლებს. ნიმუშის აღების იძულებითი ხასიათი იმთავითვე გამორიცხავს თავად ბრალდებულის პასუხისმგებლობას მის აღსრულებაზე, რადგან განჩინების რეალური და ეფექტიანი აღსრულება, გამოსაყენებელი იძულების ზომის გათვალისწინებით, არ არის დამოკიდებული იმ პირზე, ვის წინააღმდეგაცაა იგი გამოტანილი. განჩინების აღსრულებაზე პასუხისმგებლობა, მათ შორის, შესაბამისი პროპორციული ძალის გამოყენების მეშვეობით, ეკისრება სწორედ მისი ჩატარების ინიციატორ მხარეს. შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება სასამართლოს განჩინების საფუძველზე ნიმუშის აღებაზე უარის თქმის გამო. ბრალდებული არ შეიძლება მოიაზრებოდეს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პოტენციურ ამსრულებლად, მათ შორის, არც იმ თეორიულ და აბსტრაქტულ შემთხვევაში, თუ პროპორციული ძალის გამოყენების მიუხედავად ნიმუშის აღება შეუძლებელია.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- დემეტრაშვილი, ა., გოგიაშვილი, გ., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2016
- დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013
- დონჯაშვილი, თ., საქართველოს სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2007
- ვარძელაშვილი, ი., სასჯელის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (სამართლო პრაქტიკის ანალიზი), თბილისი, 2020
- თოდუა ნ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის, წიგნში: აკაკი ლაბარჯავა 80, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2013
- კობახიძე, ი., კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2023
- ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ნ. II, თბილისი, 2020
- ლეკვეიშვილი, მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის ლებერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, ნ. თოდუას რედაქტორობით, თბილისი, 2016
- მალლაკელიძე ლ., ბრალდებულის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმა – თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?!, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N3(71), 2021
- მუჯანაძე ზ., მინდაძე, ო., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, ქუთაისი, 2005
- ნაჭყებია გ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, 2011
- სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, გ. ნაჭყებია და ი. დვალიძის რედაქტორობით, თბილისი, 2007
- ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013
- ფუტყარაძე, ე., სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი, წიგნში: ნონა თოდუა 60, მ. ივანიძის რედაქტორობით, თბილისი, 2021

# IMPOSING CRIMINAL LIABILITY ON THE ACCUSED/CONVICTED PERSONS FOR FAILURE TO EXECUTE THE JUDGEMENTS

---

**KHATIA SHEKILADZE**

Associate Professor at Sulkhani-Saba Orbeliani University

<https://orcid.org/0009-0005-1131-7227>

## **Abstract**

Importance of legally binding effect of court decisions and their effective enforcement to ensure the rule of law principle is the prerequisite for criminal liability for non-execution or obstructing execution of judgments or other court decisions.

Although the goals of criminalization of the mentioned action are quite clear, it is interesting to whom the legislator imposes the obligation to comply with the decision and if it is possible to be the perpetrator of this crime the person against whom the decision has been issued.

The article is dedicated to the study of the abovementioned issue, in which the possible range of persons responsible for the execution of judgments or possible perpetrators of the crime stipulated by the Article 381 of the Criminal Code of Georgia will be identified and analyzed following the existing judicial practice and case law.

**Keywords:** Judgements, Execution, Criminal Liability, Non-fulfilment.



# ციფრულ-კომპიუტერული მეთოდები კრიმინალისტიკაში

## **გიორგი ქინძიბაძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

<https://orcid.org/0000-0003-3167-6436>

### **I. შესავალი**

სასამართლო ექსპერტიზას დიდი როლი ენიჭება საქმის გამოძიების პროცესში და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო წლებში, ვინაიდან აღნიშნული ექსპერტიზების კვლევის მეთოდოლოგიები დამოუკიდებლად არ ვითარდა და იყენებენ სხვადასხვა ზოგადმეცნიერულ მეთოდს, სიახლეს ამ მეთოდებში, მათ შორის, ციფრულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევებს. მათი გამოყენება უზრუნველყოფს სასამართლოსათვის ობიექტური, სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიების გამოყენებით მიღებული შედეგების მიწოდებას.

ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გზები გასაოცარი სიჩქარით იზრდება. მკვლევრებიც და პრაქტიკოსებიც რეგულარულად აწყდებიან ახალ გამონგვევებს, რაც აიძულებს მათ, განუწყვეტლივ განავითარონ შემოქმედებითი შესაძლებლობები, თან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებული კვლევები მოითხოვს პროცესებისა და პროცედურების მკაცრ დაცვას.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Arnes A., Digital Forensics, Hoboken, 2018, XV.



საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის ეტაპზე, დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირთა იდენტიფიცირებას, სამხილთა შეგროვებას და გამოკვლევას. სასამართლო ექსპერტიზებში ციფრულ-კომპიუტერული მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია და მოიცავს მთელ სისტემას, დანაშაულის ადგილიდან სასამართლომდე. ეს მეთოდები აერთიანებს უამრავ შესაძლებლობას, რაც ახალ და განვითარებულ საფრთხეებთან უკეთ დაპირისპირების საფუძველია. რასაკვირველია, ეს ქმედებები, ერთი მხრივ, უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაირღვეს სამართლის ფუნდამენტური პრინციპები, ხოლო, მეორე მხრივ, მაქსიმალურად გამოყენებული იქნეს კვლევის მეთოდოლოგიები, დაფუძნებული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებზე.

განვითარებადი ტექნოლოგიები, როგორცაა, სხვადასხვა კვალისა და ობიექტის 2D და 3D ფორმატში დასკანერება და ავტომატიზებული იდენტიფიცირება, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება შემთხვევის ადგილსა თუ საექსპერტო დანესებულებებში, სასამართლო ექსპერტიზების ეფექტურობის გაზრდის თანამედროვე შესაძლებლობებია. ციფრულ-კომპიუტერული მეთოდები საგამოძიებო თუ საექსპერტო მოქმედებების განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სხვადასხვა მიზნით. ზოგ შემთხვევაში, მიზანი შეიძლება იყოს ფაქტის, ობიექტის, მოვლენის ფიქსაცია, მაგალითად: ფოტო-ვიდეო და სპეციალური სკანერის საშუალებით, შემთხვევის ადგილის, გამოსაკვლევი ობიექტის ფიქსაცია და სხვა. სხვა შემთხვევაში, მიზანი შეიძლება იყოს ობიექტის ავტომატურ საძიებო სისტემებში ძებნა მსგავსი ნიშან-თვისებების მქონე ობიექტების გამოვლენის მიზნით, მაგალითად: ავტომატიზებულ დაქტილოსკოპიურ სისტემაში ხელის კვალის ძიება, ავტომატიზებულ ბალისტიკურ საძიებო სისტემაში მასრის ან ტყვიის ძიება და სხვ.

თემა აქტუალურია, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო დღეს უფრო მეტად ენდობა ექსპერტიზის დასკვ-

ნას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ექსპერტიზის შედეგები არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ვინაიდან სამართალშემფარდებელსა და მხარეებს, შესაძლებელია, არ ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულებად მისაჩნევად, გამოკვლევა და შედეგები უნდა იყოს ნათელი, დასაბუთებული და დაფუძნებული შესაბამის მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიაზე.

თანამედროვე ტექნოლოგიები დიდი ხანია დანერგილია ქართულ რეალობაშიც. ნლებია, ფუნქციონირებს ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ბიოლოგიური ექსპერტიზის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო ექსპერტიზის, გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის, კომპიუტერული და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტიზის ლაბორატორიები, სადაც წარმატებითაა დანერგილი თანამედროვე მეთოდები და ტექნიკური აღჭურვილობა. ლაბორატორიებს მინიჭებული აქვთ აკრედიტაცია ISO17025 სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.<sup>2</sup> აღნიშნულ ლაბორატორიებში გამოიყენება ციფრულ-კომპიუტერული მაფიქსირებელი საშუალებები, ციფრულ-კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სხვადასხვა ავტომატიზებული საძიებო სისტემები, ნივთიერებათა და მათი ნარევების დაყოფის, ანალიზისა და კვლევისათვის განკუთვნილი დანადგარები და სხვ. ეს ტექნიკური საშუალებები საკმაოდ მრავალფეროვანია, შესაბამისად, სტატიის ფარგლებში ვერ მოხდება ყოველი მათგანის დანიშნულების გაანალიზება, ამდენად, განხილული იქნება ციფრულ-კომპიუტერული მაფიქსირებელი საშუალებები, ამ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური ავტომატიზე-

---

<sup>2</sup> საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის წარმომადგენლები ეწვივნენ, <<https://police.ge/ge/saeqsperto-kriminalistikur-departaments-evrokavshiris-mier-dafinansebuli-proeqtis-tsarmomadgenlebi-etsvivnen/15864>> [14.06.2024].

ბული შემადარებელი სისტემების გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი მტკიცებულებითი ღირებულება სამართალწარმოების პროცესში, ვინაიდან, გამოკვლევის შედეგები აისახება ექსპერტიზის დასკვნაში, დასკვნა კი მტკიცებულებითი ხასიათის დოკუმენტია<sup>3</sup>. აქედან გამომდინარე, სტატიის მიზანია იმ ძირითადი საკითხების გაანალიზება, რაც დაკავშირებულია კრიმინალისტიკაში ციფრულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ასევე, ამ ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებულ გარკვეულ საგამოძიებო და საექსპერტო მოქმედებებთან.

## II. ციფრულ-კომპიუტერული ფიქსაციის საშუალებები

შემთხვევის ადგილის დათვალიერება სპეციალური პროცედურების სახელმძღვანელოებში განწერილი თანმიმდევრობით ხორციელდება. შემთხვევის ადგილი შესაბამისი წესით უნდა იქნეს დოკუმენტირებული და ფიქსირებული. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალება: შემთხვევის ადგილის ნახაზი, ფოტო-ვიდეო გადაღება, სკანირება და ა.შ. ყოველივე ამის მიზანია არსებული სამხილების დაფიქსირება მათი ადგილმდებარეობის მიხედვით, ასევე, შემდგომში შემთხვევის ადგილის რეკონსტრუქციის შესაძლებლობა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებამდე ყველა სამხილი უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი წესით.<sup>4</sup> შემთხვევის ადგილის პირვანდელი მდგომარეობის დაფიქსირებას და სრულ აღწერას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საქმის გამოძიებისათვის, არამედ სასამართლო განხილვის ეტაპზეც. სწორედ ამიტომაც აუცილებელი ფიზიკური სამხილების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, დოკუმენტირება, ფოტოფიქსაცია, ნახაზის შედგენა.

<sup>3</sup> იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე პუნქტი.

<sup>4</sup> Fisher B.A.J., Tilstone W.J., Woytowicz C., Introduction to Criminalistics, The Foundation of Forensic Science, Burlington, 2009, 6.

როგორც აღინიშნა, სავალდებულოა აღმოჩენილი სამხილის ფოტოგრაფირება. აუცილებელია დაფიქსირდეს როგორც ამ სამხილის ადგილმდებარეობა შემთხვევის ადგილზე, ასევე მისი მოცულობა და ზომები. შემთხვევის ადგილზე აუცილებელია მინიმუმ ოთხი სახის ფოტოგადაღება: საორიენტაციო, მიმოხილვითი, საკვანძო და დეტალური, მასშტაბური სახაზავის გამოყენებით,<sup>5</sup> თუმცა ზოგიერთი მოსაზრებით, შემთხვევის ადგილზე სამი სახის ფოტოების გადაღებაც საკმარისია, მაგალითად, საერთო ხედით, საშუალო და ახლო ხედით.<sup>6</sup>

კონკრეტული სამხილების გარდა, ფოტო-ვიდეო ჩანაწერებზე ფიქსირდებიან ავტომანქანები, ადამიანები, იქნება ეს დაზარალებული, მოწმე თუ სხვა, ვინც გადაადგილდება ან იმყოფება შემთხვევის ადგილის მიმდებარედ.<sup>7</sup>

თანამედროვე პერიოდში, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას და საექსპერტო ლაბორატორიებში გამოიყენება ციფრული ფოტო-ვიდეო ტექნიკა, რასაც უამრავი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენებით გადაღებული ფოტოების ავთენტურობა საეჭვოა, რადგან მათზე მანიპულირება შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით. ასეთი სახის მანიპულირებული ფოტოები კი შესაძლებელია განხილულ იქნეს გაყალბებული სამხილის სასამართლოში წარდგენის მცდელობად.<sup>8</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული სახის ფოტოებზე მანიპულირება შეიძლება ორი მიზნით: მიზანი ერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს რეალური სამხილის/სიტუაციის შეცვლა, დაფარვა, რისი გამოვლენაც შესაძლებელია ექსპერტების მიერ სპეციალური

---

<sup>5</sup> Saferstein R., *Criminalistics An Introduction to Forensic Science*, 11<sup>th</sup> Ed., Upper Saddle River, 2015, 33.

<sup>6</sup> *Crime Scene Investigation, A Guide for Law Enforcement*, National Forensic Science Technology Center, 2013, 27.

<sup>7</sup> Travis J., Rau R.M., *Crime Scene Investigation: A Guide for Law Enforcement*, Washington DC, 2000, 25.

<sup>8</sup> Harris H.A., Lee H.C., *Introduction to Forensic Science and Criminalistics*, 2<sup>nd</sup> Ed., Boca Raton, 2019, 66.

პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და მეორე, როდესაც ფოტოზე მანიპულაციის მიზანია სამხილის უკეთ ასახვა, სხვადასხვა ფერს შორის, მაგალითად, სამხილსა და ფონს შორის კონტრასტის გაუმჯობესება.<sup>9</sup> გარკვეულ შემთხვევებში, შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავი სამხილის ფოტოზე ფიქსაციისთვის გადაღება ნარიმართება ულტრაიისფერი, ინფრანითელი და რენტგენის სხივის გამოყენებით.<sup>10</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც ციფრულ ფოტოზე მანიპულირების მიზანი სამხილის უკეთ ასახვაა, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოები მას აღიარებენ, როგორც ორიგინალს.<sup>11</sup>

შემთხვევის ადგილის გარდა, ციფრული ფოტოგრაფია გამოიყენება საექსპერტო ლაბორატორიებშიც. ექსპერტიზის დასკვნების უმეტესობა შეიცავს ფოტოილუსტრაციებს. აღნიშნულის მიზანია გამოკვლევისას აღწერილი და გამოვლენილი ობიექტის ნიშან-თვისებების ფიქსაცია, რაც ეხმარება საქმეში მონაწილე მხარეებს გამოკვლევის შედეგების გაანალიზებაში.

გარდა ორგანოზომილებიანი (2D) ციფრული ფოტოებისა, ბოლო პერიოდში შემთხვევის ადგილზე ხშირად გამოიყენება სამგანზომილებიანი (3D) პროგრამული ტექნოლოგიები, რომლებიც ლაზერული და ციფრული კამერების უახლესი ტექნოლოგიის გამოყენებით უზრუნველყოფენ მთლიანი შემთხვევის ადგილის 3D გამოსახულების შექმნას. ამ სისტემების ღირებულება მდგომარეობს მიღებული მონაცემების სისრულეში, მათი საშუალებით შესაძლებელია გაზომვების ან სხვა მონაცემების ნახვა შემთხვევის ადგილის დატოვების შემდეგაც. 3D ფორმატით დასკანერებული შემთხვევის ადგილის გამოსახულება იძლევა შემთხვევის ადგილის დოკუმენტაციის, რეკონსტრუქციის, ვიზუალიზაციისა და შემდგომი შეფასების შესაძლებლობას.<sup>12</sup>

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> Saferstein R., *Criminalistics An Introduction to Forensic Science*, 11<sup>th</sup> Ed., Upper Saddle River, 2015, 13.

<sup>11</sup> Harris H.A., Lee H.C., *Introduction to Forensic Science and Criminalistics*, 2<sup>nd</sup> Ed., Boca Raton, 2019, 66.

<sup>12</sup> იქვე, 70-71.

როგორც აღინიშნა, შემთხვევის ადგილზე გამოიყენება ციფრულ-კომპიუტერული ფიქსაციის საშუალებები. ეს შეიძლება იყოს ფოტოვიდეო გადაღება სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით, სხვადასხვა მასშტაბით და შესაბამისი ნესით, შემთხვევის ადგილის სკანერი, რომელიც იძლევა შემთხვევის ადგილის მთლიან 3D გამოსახულებას. ეს საშუალებები მაფიქსირებელი საშუალებებია და ასახავს შემთხვევის ადგილის და იქ არსებული სამხილების ფაქტობრივ მდგომარეობას. მაფიქსირებელი საშუალებები გამოიყენება ასევე საექსპერტო ლაბორატორიებშიც, ექსპერტიზის დასკვნების უმეტესობა შეიცავს ფოტო-ილუსტრაციებს, რაც დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილ პროცესს უკეთ აღსაქმელს ხდის ვიზუალიზაციის თვალსაზრისით და ეხმარება საქმეში მონაწილე მხარეებს შედეგების გაანალიზებაში. ეს საშუალებები აფიქსირებენ ობიექტებისა და მოვლენების ფაქტობრივ მდგომარეობას უცვლელად ან მცირედი მანიპულაციით. ციფრული საშუალებებით შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტოები თუ სხვა ციფრული გამოსახულებები ერთვის სისხლის სამართლის საქმეს. ასევე, დასკვნას ერთვის ფოტოსურათები და სხვა მასალები, რომლებიც ადასტურებენ და ადვილად გასაანალიზებელს ხდიან მას.<sup>13</sup> შესაბამისად, ამ მაფიქსირებელი საშუალებებით მოპოვებულ მასალას, თუნდაც მცირედი მანიპულაციით, რაც ემსახურება მათზე სამხილის უკეთ ასახვას, სასამართლოში მტკიცებულებითი ღირებულება აქვს.

### **III. ციფრულ-კომპიუტერული შემადარებელი სისტემები**

#### **1. ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური შემადარებელი სისტემები**

დამნაშავეთა გამოვლენისა და გამოძიების პროცესში ხელის კვალის აღმოჩენა, გამოვლენა, გამოკვლევა მეტად აქტუალურია, ეფექტურია და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავეობასთან

<sup>13</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ბრძოლის კუთხით. აღნიშნული საკითხის ეფექტიანობის გაზრდის თვალსაზრისით, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგიებისა და გამოკვლევების საფუძველზე, მუდმივად მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების და მეთოდების დახვეწა და დანერგვა თანამედროვე კრიმინალისტიკაში.

სასამართლოების მიერ ხელის კვალის ანაბეჭდის მტკიცებულებად მიღება ყოველთვის ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ არ არსებობს ორი იდენტური თითის ანაბეჭდი. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ექსპერტები იშველიებდნენ გალტონის გამოთვლებს, რომელთა მიხედვითაც, 64 მილიარდი განსხვავებული თითის კვალის არსებობის შესაძლებლობაა. მოგვიანებით, მეცნიერები შეეცადნენ, შეექმნათ მათემატიკური მოდელები ამ მნიშვნელობის უკეთ გამოსათვლელად. დასკვნები ყოველთვის ანალოგიური იყო: მსოფლიოს მოსახლეობაში თითის ანაბეჭდის ორი იდენტური ნიმუშის არსებობის ალბათობა უკიდურესად მცირეა. აღნიშნული დასკვნები არა მხოლოდ თეორიული გამოთვლებით არის არგუმენტირებული, არამედ, მილიონობით ადამიანის ხელის კვალის პრაქტიკული კვლევით. აშშ-ის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროს დაახლოებით 101 მილიონი თითის ანაბეჭდის ციფრული გამოსახულება გააჩნია მონაცემთა ბაზაში და მათგან არცერთი არ არის იდენტური.<sup>14</sup>

ხელის კვალის იდენტიფიცირებაც, სხვა შემთხვევების მსგავსად, დაფუძნებულია ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების შედარებაზე. ზოგადი ნიშნების დამთხვევის შემთხვევაში, გამოკვლევა გაგრძელდება ინდივიდუალური ნიშნების შედარების მიზნით, რადროსაც გამოიკვეთება ხელის კვალის იდენტურობა ან არაიდენტურობა. ზოგადი ნიშნების აცდენისას, გამოკვლევა შეწყდება და აღარ გაგრძელდება ინდივიდუალური ნიშნების შედარება. რასაკვირველია, ხელის კვალის იდენტიფიცირების პროცესი, როდესაც

<sup>14</sup> Saferstein R., *Criminalistics, An Introduction to Forensic Science*, 13<sup>th</sup> Ed., New York, 2020, 130.

გასაიგიველებელი ობიექტი ათასობით და ათი ათასობითაა, მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს და ენერგიას. სწორედ ამ დროისა და ენერგიის შემცირების მიზნით, შეიქმნა ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური შემადარებელი სისტემები.

რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციის თანამედროვე სისტემები AFIS (ავტომატიზებული თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაციის სისტემა) დაფუძნებულია დაქტილოსკოპიურ მონაცემებზე და განკუთვნილია რეგისტრაციისა და იდენტიფიკაციისათვის. AFIS სისტემები იდენტიფიცირებისას გამოიყენებენ ბიომეტრიულ მონაცემებს, თითის ან ხელის ანაბეჭდის სახით და ხელმძღვანელობენ პრინციპით, რომ პიროვნების ანაბეჭდები უნიკალურია.<sup>15</sup>

1970 წლებიდან ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა კომპიუტერული სისტემების მიერ თითის ანაბეჭდების კლასიფიკაცია და შედარება. თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაციის ავტომატიზებული სისტემები (AFIS) დაინერგა სამართალდამცავ ორგანოებში. 1999 წლიდან აშშ-ის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროში სრული დატვირთვით დაიწყო ფუნქციონირება ინტეგრირებულმა სისტემამ, რომელიც აერთიანებდა მონაცემებს საერთო ბაზაში. მასში თავმოყრილია ას მილიონზე მეტი თითის კვალი და აერთიანებს ქალაქების, სააგენტოების, შტატების მონაცემებს.<sup>16</sup>

ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო სისტემა მრავალი წელია ფუნქციონირებს საქართველოში. დადებულია მემორანდუმები სხვადასხვა სახელმწიფოსთან, მათ შორის, აშშ-სთან, რაც, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების მიზნების მისაღწევად, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებს დაქტილოსკოპიური საიდენტიფიკაციო მონაცემე-

---

<sup>15</sup> Petrovic N., Stojcic S., Radovanovic R., Nikolic V., Petrovic M., Automated Fingerprint Identification System: With and Without the Possibility of Correction of a Digitalised Image, Technical Gazette, Vol. 29, No. 6, 2022, 2067.

<sup>16</sup> Saferstein R., Criminalistics, An Introduction to Forensic Science, 13<sup>th</sup> Ed., New York, 2020, 136.



ბის გაცვლას.<sup>17</sup> საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა მუშაობის შეფასების პროცესი და მიიღო აკრედიტაცია საერთაშორისო ISO:17025 სტანდარტით, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტით აკრედიტაციის მოპოვების შედეგად, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიაში მომზადებული დასკვნა აღიარებული და მისაღებია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში.<sup>18</sup>

ზოგადად, AFIS სისტემები შესაძლებელია დაიყოს დანიშნულების მიხედვითაც: სამოქალაქო სექტორისათვის განკუთვნილი საინფორმაციო-შემადარებელი სისტემები და სამართალდამცავი ორგანოებისთვის განკუთვნილი სისტემები. სამოქალაქო სისტემების შემთხვევაში, მიზანი შეიძლება იყოს მოქალაქის ბიომეტრიული იდენტიფიცირების უზრუნველყოფა, პირთა და ობიექტთა დაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესები, ობიექტებსა და შენობებში შესვლის კონტროლის შესაძლებლობის კუთხით, ისეთი მოწყობილობებისა და სისტემების გამოყენებისათვის გასააქტიურებლად, როგორცაა, მობილური მოწყობილობები, ლეპტოპები და სხვ. სამართალდამცავი ორგანოებისათვის გათვალისწინებული სისტემები, პრევენციისა და პირთა გამოვლენის

<sup>17</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურ ბიუროს შორის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სფეროში ახალი შეთანხმება გაფორმდა, <<https://police.ge/ge/saqartvelos-shinagan-saqmeta-saministros-da-amerikis-sheertebuli-shtatebis-gamodziebis-federalur-biuros-shoris-siskhlis-samartlis-saqmeta-gamodziebis-sferoshi-akhali-shetankhmeba-gaformda/8584>> [14.06.2024].

<sup>18</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის ლაბორატორიას საერთაშორისო სტანდარტის აკრედიტაციის სერტიფიკატი გადაეცა, <<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-saeqsperto-kriminalistikuri-departmentis-daqtiloskopiuri-eqspertizis-laboratorias-saertashoriso-standartis-akreditatsiisertifikati-gadaetsa/12677>> [14.06.2024].

მიზნით, უზრუნველყოფენ დაქტილოსკოპიურ კვალთა ავტომატიზებულ იდენტიფიცირებას. AFIS სისტემების მეშვეობით, დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება შესაძლებელია დროის მცირე მონაკვეთში. მონაცემების საიმედო, სწრაფი, ეფექტური მოძიება და იდენტიფიცირება დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის საფუძველია.<sup>19</sup>

ავტომატიზებული შემადარებელი სისტემები, ძირითადად, ორი ბაზისგან შედგება. მათში, ერთი მხრივ, გაერთიანებულია ექსპერიმენტული ნიმუშები, ხოლო, მეორე მხრივ – შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ანაბეჭდები.<sup>20</sup>

პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც გამოიყენება ხელის კვალის შესახებ ინფორმაციის დასამუშავებლად და შესადარებლად, იყენებენ უალრესად რთულ ალგორითმებს, რომლებიც შედარებისას ითვალისწინებენ, რომ მხოლოდ მსგავსი ინდივიდუალური ნიშნების რაოდენობა არ არის საკმარისი იდენტიფიკაციის შესახებ დასკვნის გამოსატანად. აღნიშნულისათვის აუცილებელია, ეს ინდივიდუალური ნიშნები მდებარეობითაც ემთხვეოდეს ერთმანეთს.<sup>21</sup>

სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში საკმაოდ დიდია ექსპერტის როლი კონკრეტული პიროვნების დანაშაულთან დაკავშირების კუთხით, შედარებითი ანალიზის საშუალებით. როდესაც შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია თითის კვალი, თმა, ბოჭკო, სისხლი, აუცილებელია ამ სამხილების კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირება. ამ მხრივ, კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მკვეთრად შეცვალა კრიმინალისტიკური ლაბორატორიების

---

<sup>19</sup> Petrovic N., Stojicic S., Radovanovic R., Nikolic V., Petrovic M., Automated Fingerprint Identification System: With and Without the Possibility of Correction of a Digitalised Image, Technical Gazette, Vol. 29, No. 6, 2022, 2067.

<sup>20</sup> Harris H.A., Lee H.C., Introduction to Forensic Science and Criminalistics, 2<sup>nd</sup> Ed., Boca Raton, 2019, 123.

<sup>21</sup> Girard J.E., Criminalistics, Forensic Science, Crime, and Terrorism, 3<sup>rd</sup> Ed., Washington DC, 2015, 154.

როლი საგამოძიებო პროცესში. დღესდღეობით კრიმინალისტიკური ლაბორატორიები წინა პლანზეა წამოწეული დამნაშავეთა იდენტიფიცირების კუთხით. სასამართლო მეცნიერებების როლის გაზრდა გამოძიების ეტაპზე გამოიწვია კომპიუტერული მონაცემების ბაზების შექმნამ. აღნიშნული ბაზები ფუნქციონირებენ არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის შიგნით, არამედ, ხშირად, სახელმწიფოთაშორისი კავშირებიც აქვთ.<sup>22</sup>

ერთ-ერთი ასეთი ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური შემადარებელი სისტემაა “Dacto 2000”, რომელსაც აქვს ხელის კვალის დამუშავების დახვეწილი ფუნქცია და ძიების ძლიერი ალგორითმი. პროგრამა გამოირჩევა ძეხნის მაღალი სიზუსტითა და სანდოობით, შესაბამისად, ამ პროგრამას იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები.<sup>23</sup> ასევე, წარმატებით ფუნქციონირებს სისტემა “Bio idiom”, რომელიც ფიზიკური მახასიათებლების, მათ შორის, ხელის კვალის ანაბეჭდის, მიხედვით განსაზღვრავს კონკრეტულ ინდივიდს. აღნიშნული მიღწევები სხვადასხვა მიმართულებით ახალი ტექნოლოგიების შეთავაზების საშუალებას იძლევა იმ სფეროებისათვის, სადაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ყველაზე მოთხოვნადია. ეს სისტემები გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოს სამართალდამცავ სამსახურში, რამაც ხელი შეუწყო სისხლის სამართლის საქმეების გახსნას და ეფექტიანი გახადა გამოძიება.<sup>24</sup>

დაქტილოსკოპიური ავტომატიზებული შემადარებელი სისტემების შემთხვევაში, საბოლოო შედეგის მიღწევამდე პროცედურები რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. თავდაპირველად სისტემაში განთავსდება დასკანერებული ან ფოტოზე აღბეჭდილი კვალი, რომელსაც ექსპერტის მიერ გაუკეთდება შესაბამისი მონიშვნები.

<sup>22</sup> Saferstein R., *Criminalistics, An Introduction to Forensic Science*, 13<sup>th</sup> Ed., New York, 2020, 71.

<sup>23</sup> AFIS «DACTO 2000», <<https://www.todes.by/en/afis-dacto-2000/>> [15.02.2024].

<sup>24</sup> Bio-Idiom – NEC’s Biometric Authentication Brand, <<https://www.nec.com/en/global/techrep/journal/g18/n02/180203.html>> [16.02.2024].

დამუშავებული და მონიშნული კვლები იგზავნება მონაცემთა ბაზაში სხვა დაქტილოსკოპიური კვლებთან იდენტიფიკაციის მიზნით. ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური შემადარებელი სისტემები, რასაკვირველია, იძლევიან სავარაუდო და არა საბოლოო შედეგებს მოძიებულ მსგავს კვლებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, სავარაუდო შედეგებს ამონმებს ექსპერტი და გასცემს შესაბამის დასკვნას. მართალია, შემადარებელი სისტემები დიდ როლს ასრულებენ ხელის კვლების იდენტიფიცირების პროცესში, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნა არ გაიცემა მხოლოდ შემადარებელ სისტემაზე დაყრდნობით. შედარების შედეგებთან დაკავშირებით საბოლოო გადანყვეტილებას იღებს ექსპერტი კვლებში არსებული ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე. შესაბამისად, დროის დაზოგვის მიზნით ამ პროგრამების გამოყენება იდენტიფიცირებისას არ წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს და არ ეწინააღმდეგება სამართლის აღიარებულ პრინციპებს.

## 2. ავტომატიზებული ბალისტიკური შემადარებელი სისტემები

ციფრულ-კომპიუტერული სისტემების განვითარება, რასაკვირველია, აისახა კრიმინალისტიკურ ტექნიკაზეც. სპეციალურად კრიმინალისტიკისთვის შეიქმნა მრავალი ალგორითმი სპეციფიკაციისა და მიმართულების მიხედვით და პრაქტიკაში დაინერგა ამ ალგორითმებზე მორგებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული შემადარებელი სისტემები, მათ შორის, ავტომატიზებული ბალისტიკური შემადარებელი სისტემები.

ხშირად მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, მაშინ, როდესაც თვითონ ცეცხლსასროლი იარაღი, მრავალ შემთხვევაში, არ არის ამოღებული დანაშაულის ადგილიდან და წარდგენილი საექსპერტო დაწესებულებაში, ამიტომ შემთხვევის ადგილიდან ან/და სხეულიდან ამოღებული

ტყვიების და მასრების შედარება ერთმანეთთან და სხვა საქმეებიდან ამოღებული იარაღიდან მიღებულ ექსპერიმენტულ ტყვიებთან და მასრებთან ხშირად ხდება სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის გახსნის ან გაერთიანების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ იდენტიფიკაციის პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს მონაცემების დაკვირვებას და აღქმას, ასევე მონაცემთა სათანადო შეფასებას. იდენტიფიკაციის პროცესი არის მსგავსებისა და განსხვავებების განსაზღვრა. დადგინდა, რომ არსებობს განსხვავება კონკრეტული ცეცხლსასროლი იარაღის მიერ დატოვებულ კვალში და არის მსგავსება სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის კვალში, ამიტომ იდენტიფიკაციისას ორივე ასპექტი უნდა იქნეს გათვალისწინებული.<sup>25</sup>

იდენტიფიკაცია დაფუძნებულია იმ პრინციპზე, რომ შედარებით გამძლე მასალისგან დამზადებული იარაღის დეტალები გავლენას ახდენს მასრებისა და ტყვიების შედარებით რბილ ლითონზე, როგორცაა, ნემსის კვალი კაფსულზე, მიბჯენის კვალი მაზრის ძირზე და ა.შ. სწორედ ამ ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზეა შესაძლებელი მასრებისა და ტყვიების იდენტიფიცირება.<sup>26</sup> იდენტიფიკაცია ემყარება იმ ფაქტს, რომ თვითონ დანადგარიც, რომელზეც მზადდება იარაღის დეტალები, ცვდება და იცვლის ფორმას, შესაბამისად, იარაღის ამ დეტალების მიერ მასრაზე დატოვებული კვლებიც მიკროსკოპულად განსხვავებულია, ასე რომ, ყველა დეტალს, მიუხედავად მათი პარამეტრების მსგავსებისა, აქვს ინდივიდუალობა.<sup>27</sup> ეს მიკრორელიეფი იარაღის კვალწარმოქმნელ დეტალზე ასევე შეიძლება განვითარდეს იარაღის დეტალების დასამზადებლად გამოყე-

<sup>25</sup> Gunther J. D., Gunther C.O., *The Identification of Firearms*, New York, 2015, 102.

<sup>26</sup> Saferstein R., *Criminalistics, An Introduction to Forensic Science*, 11<sup>th</sup> Ed., Upper Saddle River, 2015.

<sup>27</sup> Burrard G., *The Identification of Firearms and Forensic Ballistics*, New York, 1962, 104-105.

ნებული ხელსაწყოს დეფექტის გამო.<sup>28</sup> ეს იმდენად მიკროსკოპული კვლეზია, რომ ექსპერიმენტული მასრებისა და ტყვიების მიღების დროს რეკომენდებულია იგივე მწარმოებლის საბრძოლო მასალის გამოყენება.<sup>29</sup> სწორედ ამ მიკროსკოპული კვლების, ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზეა შესაძლებელი იდენტიფიცირება, რის შემდეგაც ექსპერტი აყალიბებს შესაბამის დასკვნას. ეს ყოველივე დაფუძნებულია სამეცნიერო პრინციპებზე და ეყრდნობა ექსპერტის ცოდნასა და გამოცდილებას.<sup>30</sup>

ოთხმოციანი წლების მიწურულიდან დაიწყო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ბალისტიკური ექსპერტიზის დასახმარებლად. ამ წამონყების მხარდასაჭერად, ალკოჰოლის, თამბაქოს, ცეცხლსასროლი იარაღის და ფეთქებადი ნივთიერებების ბიურომ (ATF) 1997 წელს შექმნა ინტეგრირებული ბალისტიკური ინფორმაციის ეროვნული ქსელი (NIBIN). მასში მონაწილე სამართალდამცავი ორგანოები ხელს უწყობენ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიებისა და მასრების ციფრული გამოსახულებების ბაზის შექმნას, ასევე, იმ ცეცხლსასროლი იარაღიდან მიღებული ექსპერიმენტული ობიექტების (ტყვიების და მასრების), რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულთან. NIBIN შეიქმნა როგორც საძიებო სისტემა და ის არ იძლევა საბოლოო პასუხს შედარებასთან დაკავშირებით, არამედ – მხოლოდ სავარაუდო პასუხებს, რასაც საბოლოოდ ამონებს ექსპერტი.<sup>31</sup>

ავტომატიზებული ბალისტიკური საიდენტიფიკაციო სისტემა წარმატებით ფუნქციონირებს საქართველოს შინაგან საქმეთა სა-

---

<sup>28</sup> Fisher B.A.J., Tilstone W.J., Woytowicz C., Introduction to Criminalistics, The Foundation of Forensic Science, Burlington, 2009, 36.

<sup>29</sup> Dimaio V. J. M., Practical Aspects of Firearms, Ballistics, and Forensic Techniques, 3<sup>rd</sup> Ed., Boca Raton, 2016, 35-36.

<sup>30</sup> Thompson R.M., Firearm Identification in the Forensic Science Laboratory, Alexandria, 2010, 11-12.

<sup>31</sup> Cork D.L., Rolph J.E., Meieran E.S., Petrie C.V., Ballistic Imaging, Washington DC, 2008, 1.

მინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში. იმ მრავალი სახელმწიფოსგან განსხვავებით, სადაც ასეთ სისტემებში ათავსებენ მხოლოდ მიმდინარე საქმეებზე მოპოვებულ ობიექტებს, ქართულ რეალობაში სისტემაში ციფრული სახითაა მოთავსებული როგორც ექსპერტიზაზე გამოკვლეული და რეგისტრირებული იარაღებიდან მიღებული ექსპერიმენტული ობიექტები, ასევე შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიები და მასრები.

მასრებისა და ტყვიების იდენტიფიცირება რთულ პროცედურებს მოითხოვს. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ავტომატიზებული შემადარებელ სისტემების დანერგვის კუთხით აიოლებს სავარაუდო საძიებო წრის დადგენას. მსგავსი სისტემები მრავალფეროვანია და გამოიყენება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. აქვე, აუცილებელია აღინიშნოს, რომ განსხვავებით ციფრულ-კომპიუტერული მაფიქსირებელი საშუალებებისაგან, რომლებიც მხოლოდ აფიქსირებენ ფაქტებს და მოვლენებს, შემადარებელი სისტემები არ იძლევა ზუსტ, საბოლოო პასუხს იდენტიფიცირების შედეგებთან დაკავშირებით, არამედ – მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის სავარაუდო შედეგების სიას.

დღეს მსოფლიოში არსებობს მრავალი ბალისტიკური ავტომატიზებული შემადარებელი სისტემა, მაგალითად: **“Balscan”**, რომელსაც აქვს კომპიუტერული კონტროლი, მაღალი ხარისხის მონაცემები და კამერა, შეუძლია ობიექტების დასკანერება 2D და 3D ფორმატში, აქვს ავტომატური ფოკუსი, ავტომატური ძიების ფუნქცია მონაცემთა ბაზაში, ქსელში მუშაობის შესაძლებლობა და ა. შ.;<sup>32</sup> შემადარებელი სისტემა **“IBIS”**, რომლის მაღალი რეზოლუციის 2D და 3D გამოსახულებები თვალსაჩინო ხედვის შესაძლებლობას იძლევა ტყვიებისა და მასრების იდენტიფიცირებისათვის. ვიზუალიზაციის მძლავრი ხელსაწყოები სცილდება ჩვეულებრივ

<sup>32</sup> Balscan, Instruction, Prague, 2016, 2.

შემადარებელ მიკროსკოპებს, რათა გაადვილდეს მაღალი მსგავსების მქონე შესატყვისების ამოცნობა. აქვს ქსელური მუშაობის ფუნქცია, სრულად ავტომატურად აფიქსირებს მიბჯენისა და ნემსის კვალს და ა.შ.<sup>33</sup> კიდევ ერთი ბალისტიკური შემადარებელი სისტემაა “Evofinder”, რომლის ტექნოლოგია უზრუნველყოფს საუკეთესო გადაწყვეტილებებს რუტინული ყოველდღიური იდენტიფიცირების შესასრულებლად, რომლებსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბალისტიკოსები აწყდებიან. ტექნოლოგია აერთიანებს ბალისტიკაში გამოყენებული ორივე ცნობილი ტექნოლოგიის უპირატესობას – ტრადიციულ 2D-ს და პოპულარულ 3D-ს, რაც ეფექტურია ობიექტების ხელით შედარებისა და პრეზენტაციისათვის, აქვს ბალისტიკურ გამოკვლევას დაქვემდებარებული ობიექტების ციფრული გამოსახულების შესანიშნავი ხარისხი, მუშაობის სიმარტივე და ავტომატური ძიების პროცედურის ეფექტური ალგორითმები;<sup>34</sup> ავტომატიზებული ბალისტიკური შემადარებელი სისტემაა “Arsenal”, რომელიც იძლევა უაღრესად ავტომატიზებულ და ყოვლისმომცველ გადაწყვეტას ისეთი დანაშაულების გამოძიებისას, რომლებიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლ იარაღთან. იგი შედგება მრავალფუნქციური ბალისტიკური სკანერისგან, აღჭურვილია უახლესი პროგრამული უზრუნველყოფით, იძლევა ტყვიებისა და მასრების იდენტიფიკაციის საშუალებას. გაფართოებული ვიზუალიზაცია და ანალიტიკური ხელსაწყოები ამცირებს ბალისტიკური გამოკვლევისა და შედარების პროცესის დროს.<sup>35</sup> ერთადერთი, რაც შეიძლება ამ პროგრამების უარყოფით მხარედ ჩაითვალოს, არის

<sup>33</sup> IBIS Administration Guide, Document №AGD35-EN001, Quebec, 2010, <<https://forensicresources.org/wp-content/uploads/2019/10/IBISTRAX-3DAdministrationGuide.pdf>> [28.05.2024].

<sup>34</sup> Leeds Forensic Systems, 3D Imaging/Evofinder, <<https://www.leedsmicro.com/3d-imaging-evofinder/>> [29.05.2024].

<sup>35</sup> ARSENAL Automated Ballistics Identification System, <<https://papillonsystems.com/products/programs/arsenal/>> [29.05.2024].



მათი ერთმანეთთან არათავსებადობა, რაც წარმოიქმნება სისტემებს შორის სხვადასხვა ფაილის ფორმატის გამოყენებისა და ალგორითმების გამო. აღნიშნული, თავის მხრივ, პრობლემებს ქმნის მონაცემთა გაზიარების თვალსაზრისით.<sup>36</sup>

როგორც აღინიშნა, ციფრულ-კომპიუტერული მაფიქსირებელი საშუალებები ფიქსაციისთვის გამოიყენება და მათ მიერ შექმნილ პროდუქტში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კვალთა და სხვა სამხილთა ფოტოზე უკეთ აღბეჭდვის მიზნით. ბალისტიკური ავტომატიზებული შემადარებელი სისტემების შემთხვევაში, პროცედურები გაცილებით რთულია, რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ადამიანური ფაქტორის მეტად ჩართულობას ითხოვს. პირველი ეტაპი მასრებისა და ტყვიების 3D გამოსახულებების შექმნა სპეციალური სკანერისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. შემდეგი ეტაპი დასკანერებულ ობიექტებზე შესაბამისი აღნიშვნების შესრულებაა, რა დროსაც ინიშნება ის სექტორები, რომლებიც შემადარებელმა სისტემამ უნდა შეადაროს ანალოგიური ზოგადი ნიშნების მქონე ობიექტებს, ამ ზოგად ნიშნებში გამოხატული მიკრორელიეფის სახით. მონიშვნების შესრულების შემდეგ დასკანერებული და შესაბამისი წესით დამუშავებული ტყვიები და მასრები იგზავნება მონაცემთა ბაზაში სხვა ტყვიებთან და მასრებთან იდენტიფიკაციის მიზნით. შემადარებელი სისტემები იძლევა სავარაუდო შედეგებს მოძიებულ მსგავს ობიექტებთან დაკავშირებით, რასაც, საბოლოოდ, ამონიშნებს ექსპერტი და გასცემს შესაბამის დასკვნას დამთხვევებთან ან არდამთხვევებთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ავტომატიზებული ბალისტიკური შემადარებელი სისტემები დიდ როლს ასრულებენ მასრებისა და ტყვიების იდენტიფიცირების პროცესში, შედარების

<sup>36</sup> Crookes G.J., Elliott R., Hellenbach S., Stamos M., Poole A., Bowen H., *The Sharing of Ballistics Data across Europe and Neighbouring Territories*, Science & Justice, Vol. 57, No. 5, 2017, 384-393.

შედეგებთან დაკავშირებით საბოლოო გადანყვეტილებას იღებს ექსპერტი. დაქტილოსკოპიის შემთხვევის მსგავსად, ამ პროგრამების გამოყენება იდენტიფიცირებისას დროის დაზოგვის მიზნით არ წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს და არ ეწინააღმდეგება სამართლის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა შედარების შედეგებთან დაკავშირებით, მტკიცებულებაა სასამართლოში.

#### **IV. დასკვნა**

ციფრულ-კომპიუტერული სისტემების განვითარება, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული, მნიშვნელოვნად აისახა კრიმინალისტიკურ ტექნიკაზე. სპეციალურად კრიმინალისტიკისთვის შეიქმნა მრავალი ალგორითმი სპეციფიკაციისა და მიმართულების მიხედვით და პრაქტიკაში დაინერგა ამ ალგორითმებზე მორგებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული, მრავალი მაფიქსირებელი და შემადარებელი სისტემა, მათ შორის, ფოტო-ვიდეო, 3D მაფიქსირებელი საშუალებები და ავტომატიზებული შემადარებელი სისტემები.

შემთხვევის ადგილზე, საექსპერტო ლაბორატორიებში გამოიყენება ციფრულ-კომპიუტერული ფიქსაციის საშუალებები, ეს შეიძლება იყოს ფოტო-ვიდეო გადაღება სხვადასხვა მასშტაბით და შესაბამისი წესით, შემთხვევის ადგილის სკანერი, რომელიც იძლევა შემთხვევის ადგილის მთლიან 3D გამოსახულებას. ეს საშუალებები მაფიქსირებელი საშუალებებია და ასახავს შემთხვევის ადგილის, იქ არსებული სამხილების ფაქტობრივ მდგომარეობას. მაფიქსირებელი საშუალებები გამოიყენება საექსპერტო ლაბორატორიებშიც, ექსპერტიზის დასკვნების უმეტესობა შეიცავს ფოტოილუსტრაციებს, რაც დასკვნის კვლევით ნაწილში აღწერილ პროცესს უკეთ აღსაქმელს ხდის ვიზუალიზაციის თვალსაზრისით და ეხმარება

საქმეში მონაწილე მხარეებს შედეგების გაანალიზებაში. როგორც აღინიშნა, ეს საშუალებები აფიქსირებენ ობიექტებისა და მოვლენების ფაქტობრივ მდგომარეობას უცვლელად ან მცირედი მანიპულაციით. შესაბამისად, ამ მაფიქსირებელი საშუალებებით მოპოვებულ მასალას, თუნდაც მცირედი მანიპულაციით, რაც ემსახურება მათზე სამხილის თუ კვალის უკეთ ასახვას, სასამართლოში მტკიცებულებითი ღირებულება აქვს.

რასაკვირველია, ციფრული მაფიქსირებელი საშუალებები მნიშვნელოვანია, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საექსპერტო ლაბორატორიები წარმოუდგენელია შემადარებელი სისტემების გარეშე. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში საკმაოდ დიდია ექსპერტის როლი კონკრეტული პიროვნების დანაშაულთან დაკავშირების კუთხით, შედარებითი ანალიზის საშუალებით. როდესაც შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია თითის კვალი, თმა, ბოჭკო, სისხლი, ტყვია, მასრა და სხვა სამხილი, აუცილებელია მათი კონკრეტულ პიროვნებასთან დაკავშირება. ამ მხრივ, ციფრულ-კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა მკვეთრად შეცვალა კრიმინალისტიკური ლაბორატორიების როლი საგამოძიებო პროცესში. დღესდღეობით, კრიმინალისტიკური ლაბორატორიები წინა პლანზეა წამოწეული დამნაშავეთა იდენტიფიცირების კუთხით. სასამართლო მეცნიერებების როლის გაზრდა გამოძიების ეტაპზე გამოიწვია კომპიუტერული მონაცემების ბაზების შექმნამ. ზემოთ განხილულ იქნა ორი ასეთი შემადარებელი სისტემის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები.

ავტომატიზებული დაქტილოსკოპიური და ბალისტიკური შემადარებელი სისტემების შემთხვევაში, საბოლოო შედეგის მიღწევამდე, პროცედურები რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. დაქტილოსკოპიური შემადარებელი სისტემის შემთხვევაში სისტემამი განთავსდება დასკანერებული ან ფოტოზე აღბეჭდილი კვალი,

რომელსაც ექსპერტის მიერ გაუკეთდება შესაბამისი მონიშვნები. დამუშავებული და მონიშნული კვლები იგზავნება მონაცემთა ბაზაში სხვა დაქტილოსკოპიური კვლებთან იდენტიფიკაციის მიზნით. მსგავსად აღნიშნულისა, ბალისტიკური ავტომატიზებული შემადარებელი სისტემების შემთხვევაშიც, პროცედურები რთულია, რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ადამიანური ფაქტორის მეტად ჩართულობას ითხოვს. პირველი ეტაპი მასრებისა და ტყვიების 2D ან/და 3D გამოსახულებების შექმნაა სპეციალური სკანერისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებითა. შემდეგი ეტაპი დასკანერებულ ობიექტებზე შესაბამისი აღნიშვნების შესრულებაა, სადაც ინიშნება ის სექტორები, რომლებიც შემადარებელმა სისტემამ უნდა შეადაროს ანალოგიური ზოგადი ნიშნების მქონე ობიექტებს, ამ ზოგად ნიშნებში გამოხატული მიკრორელიეფის სახით. მონიშვნების შესრულების შემდეგ, დასკანერებული და შესაბამისი წესით დამუშავებული ტყვიები და მასრები იგზავნება მონაცემთა ბაზაში სხვა ტყვიებთან და მასრებთან იდენტიფიკაციის მიზნით.

აღნიშნული შემადარებელი სისტემები, იძლევიან სავარაუდო და არა საბოლოო შედეგებს მოძიებულ მსგავს ობიექტებთან დაკავშირებით. რასაკვირველია, შემადარებელი სისტემები დიდ როლს ასრულებენ ობიექტების იდენტიფიცირების პროცესში, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასკვნა არ გაიცემა მხოლოდ შემადარებელ სისტემაზე დაყრდნობით. საბოლოო გადაწყვეტილებას, შედარების შედეგებთან დაკავშირებით, იღებს ექსპერტი, კვლებში არსებული ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე, რასაც ასახავს დასკვნაში. შესაბამისად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ამ პროგრამების გამოყენება იდენტიფიცირებისას, დროის დაზოგვის მიზნით, არ წარმოშობს სამართლებრივ პრობლემებს და არ ეწინააღმდეგება სამართლის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს.

როგორც ზემოთ იქნა განხილული, კრიმინალისტიკაში ციფრულ-კომპიუტერული ტექნოლოგიების მიღწევები, ძირითადად,

ორი მიზნით გამოიყენება: ფიქსაციისათვის და ავტომატიზებული იდენტიფიკაციისათვის. ფიქსაციისას ხდება შემთხვევის ადგილის, ფაქტის, ობიექტის, კვალის ა. შ. ფიქსირება, ხოლო იდენტიფიკაციისას – ობიექტების ერთმანეთთან ავტომატიზებული შედარება. ფიქსაციის საშუალებების გამოყენებით ფიქსაციის მიზნით შექმნილ პროდუქტში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ კვალთა და სხვა სამხილთა უკეთ აღბეჭდვისათვის. შემადარებელი სისტემების შემთხვევაში, ისინი იძლევიან მხოლოდ სავარაუდო შედეგებს, მოძიებულ მსგავს ობიექტებთან დაკავშირებით, რასაც, საბოლოოდ, ამონმებს ექსპერტი და გასცემს შესაბამის დასკვნას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, როგორც მაფიქსირებელი საშუალებების გამოყენებით მიღებული პროდუქტი, ასევე, შემადარებელი სისტემების დახმარებით შესაბამის დოკუმენტში ასახული კვლევის შედეგები, მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის ეტაპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შესაბამისი მტკიცებულებითი ღირებულება გააჩნიათ სამართალწარმოების პროცესში.

## გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Burrard G., *The Identification of Firearms and Forensic Ballistics*, New York, 1962
- Cork D.L., Rolph J.E., Meieran E.S., Petrie C.V., *Ballistic Imaging*, Washington DC, 2008
- *Crime Scene Investigation, A Guide for Law Enforcement*, National Forensic Science Technology Center, 2013
- Crookes G.J., Elliott R., Hellenbach S., Stamos M., Poole A., Bowen H., *The Sharing of Ballistics Data across Europe and Neighbouring Territories*, Science & Justice, Vol. 57, No. 5, 2017
- Dimaio V. J. M., *Practical Aspects of Firearms, Ballistics, and Forensic Techniques*, 3<sup>rd</sup> Ed., Boca Raton, 2016

- Fisher B. A. J., Tilstone W. J., Woytowicz C., Introduction to Criminalistics, The Foundation of Forensic Science, Burlington, 2009
- Girard J. E., Criminalistics, Forensic Science, Crime, and Terrorism, 3<sup>rd</sup> Ed., Washington DC, 2015
- Gunther J. D., Gunther C. O., The Identification of Firearms, New York, 2015
- Harris H. A., Lee H. C., Introduction to Forensic Science and Criminalistics, 2<sup>nd</sup> Ed., Boca Raton, 2019
- Petrovic N., Stojicic S., Radovanovic R., Nikolic V., Petrovic M., Automated Fingerprint Identification System: With and Without the Possibility of Correction of a Digitalised Image, Technical Gazette, Vol. 29, No. 6, 2022
- Saferstein R., Criminalistics, An Introduction to Forensic Science, 13<sup>th</sup> Ed., New York, 2020
- Saferstein R., Criminalistics, An Introduction to Forensic Science, 11<sup>th</sup> Edition, Upper Saddle River, 2015
- Thompson R. M., Firearm Identification in the Forensic Science Laboratory, Alexandria, 2010
- Travis J., Rau R. M., Crime Scene Investigation: A Guide for Law Enforcement, Washington DC, 2000

# DIGITAL-COMPUTER METHODS IN CRIMINALISTICS

---

**GIORGI DZINDZIBADZE**

Ph.D. Candidate at Grigol Robakidze University

<https://orcid.org/0000-0003-3167-6436>

## **Abstract**

At the stage of investigation and consideration of the case in court, in order to identify criminals, great importance is attached to the identification of person, collection of evidence and research. The use of digital computer methods in forensic expertise is important and involves the entire system, from the crime scene to the court. These methods combine many capabilities which are the basis for better confrontation with new and evolving threats. On the other hand, these actions should be carried out without violating the fundamental principles of law, and on the other hand, research methodologies based on modern achievements of science should be used as much as possible.

Advances in digital computer technology in criminalistic are mainly used for two purposes: for fixation and automated identification. During fixation, the crime scene, fact, object and traces are fixed, and during identification, the research objects are automatically being compared with each other. It is possible to intervene in the product created for

fixation using fixation means only for better depiction of traces and other evidence. In the case of comparison systems, they reflect only approximate results about similar searched objects, which are finally checked by an expert and give a conclusion. According to the procedural legislation of the criminal law of Georgia, both the product obtained using the fixation means and the research results reflected in the expert document with the help of comparative systems are important for the investigation and the court, which means that they have the appropriate evidentiary value.

**Keywords:** Identification, Photo-Video, Dactyloscopy, Ballistics, Value of Evidence.





# პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტი დასაქმებულის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას

## სიმონი ტაკაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი, ადვოკატი

<https://orcid.org/0000-0001-8608-170X>

### I. შესავალი

შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანი და ამავედროულად, პრობლემური საკითხია. საკითხის სირთულე გამომდინარეობს ამ სამართალურთიერთობის სპეციფიკიდან, რადგან დამსაქმებელს როგორც წინასახელშეკრულებო შრომითი ურთიერთობის დროს, ასევე შემდგომ პერიოდშიც დასაქმებულთან დაკავშირებით საკმაოდ მოცულობითი პერსონალური მონაცემების დამუშავება უწევს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალმა კანონმა საკმაოდ დეტალურად მოაწესრიგა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძვლები და ზოგადი სტანდარტები, თუმცა კანონის არაერთი ნორმა ბუნდოვანი და პრაქტიკაში საკმაოდ რთულად განსახორციელებელია. ამდენად, კანონმა, მართალია, დეტალურად განსაზღვრა ვიდეო და აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი და საფუძვლები, თუმცა, რა თქმა უნდა, რჩება გაუგებრობები, რომლებიც კანონით დადგენილი წესის აღსრულებას თან ახლავს.

სტატიის მიზანია, გაანალიზოს ისეთი პერსონალური მონაცემების დამუშავების სპეციფიკა, რაც დასაქმებულის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგს შეეხება. ამ მიზნით შედარებითსამართლებრივი მეთოდით გაანალიზებულია უახლესი საკანონდებლო მიდგომები, უცხოური ლიტერატურა და უცხოური სასამართლო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონით დადგენილ მონესრიგებასა და მის პრობლემურ საკითხებზე ჯერჯერობით ქართული სასამართლო პრაქტიკა და პრინციპში, სამეცნიერო ნაშრომებიც არ არსებობს, თუმცა, ამ მხრივ, საორიენტაციოა ევროპული გამოცდილების გაცნობა და შემდეგ მისი ქართულ რეალობაში გადმოტანა.

ნაშრომში მოტანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელიც დასაქმებულის ვიდეომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავებას შეეხება. ეს გადაწყვეტილებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყველა თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაშია მათზე საუბარი. შესაბამისად, ახალადამოქმედებული კანონის უკეთ გაგებასა და რაც მთავარია, პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, უცხოური პრაქტიკისა და გამოცდილების გაცნობას უდიდესი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს. დასკვნაში შეჯამდება კვლევის შედეგები და დაისახება გარკვეული რეკომენდაციები, რომელთა პრაქტიკაში გათვალისწინებაც სასურველია შრომით ურთიერთობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის უკეთესი სამართლებრივი რეჟიმისათვის.

## **II. ზოგადად შრომით ურთიერთობაში პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ**

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონის მიღება განპირობებული იყო საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით, რომლის მე-14 მუხლის თანახმადაც, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლე-

ბენ, რათა უზრუნველყონ პერსონალურ მონაცემთა მაღალ დონეზე დაცვა შეთანხმების დანართში მითითებული ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებისა და სტანდარტების შესაბამისად. შესაბამისად, საქართველომ პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში საორიენტაციოდ აიღო ევროკავშირში დადგენილი სტანდარტები. რა თქმა უნდა ეს სტანდარტები შეეხო უშუალოდ შრომით ურთიერთობებში არსებულ პერსონალურ მონაცემებსა და მათ დაცვას.

ევროკავშირში დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. აღნიშნულს საფუძვლად უდევს რეგულაცია, რომელიც GDPR-ის სახელითაა ცნობილი და რომელიც ევროკავშირის მასშტაბით ძალაში შევიდა 2018 წლის 25 მაისს.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც შრომით ურთიერთობებში GDPR-ით დადგენილი სტანდარტები კანონმდებლობაში ასახა, იყო გერმანია,<sup>2</sup> მან პირველმა დაიწყო პერსონალური მონაცემების შესახებ თავისი კანონმდებლობის მორგება GDPR-ით დადგენილ სტანდარტებთან.<sup>3</sup> ეს პროცესი, რა თქმა უნდა, შეეხო დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, უფლებების დაცვას, რადგან პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო შრომითი ურთიერთობებია, სადაც სოციალური ურთიერთობისა და ციფრული ტექნოლოგიების ბოლოდროინდელმა უპრეცედენტო განვითარებამ

<sup>1</sup> Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation) [2016] OJ L 119.

<sup>2</sup> Eecke V. P., Šimkus A., Article 88. Processing in the Context of Employment, in: *The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary*, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020, 1231.

<sup>3</sup> Federal Data Protection Act (BDSG) of the Federal Republic of Germany, 2017, Section 26.

ვიდეომონიტორინგის ფართო გამოყენება გამოიწვია.<sup>4</sup> ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხია შრომით ურთიერთობაში დასაქმებულის სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგის გზით კონტროლი. ზოგადად, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება შესაძლოა მრავალი საშუალებითა და ასპექტში დაირღვეს.<sup>5</sup>

სამუშაო ადგილისა და სამუშაო პროცესის მონიტორინგი დამსაქმებლის უფლებაა, რათა მან გააკონტროლოს განხორციელებული სამუშაოს ხარისხი, რაც, საბოლოო ჯამში, დამსაქმებელი კომპანიის წარმატებას განაპირობებს.<sup>6</sup> დამსაქმებლის ეს უფლება შრომის სამართალში სუბორდინაციული დამოკიდებულებითაცაა განპირობებული.<sup>7</sup> ამდენად, შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით კი, აუდიო და ვიდეომონიტორინგის საშუალებით დამუშავება, ერთ-ერთი საკვანძო და პრობლემური საკითხია.

ქართულ რეალობაში პერსონალური მონაცემების დაცვა არა მხოლოდ ეროვნული საკანონმდებლო ნორმებით, არამედ არაერთი საერთაშორისო აქტით ხდება. ევროკონვენციის მე-8 მუხლი სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და დაცულობას განამტკიცებს, რაც, თავის მხრივ, პირის პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითადი და ზოგადი დაცვის საშუალებაა. როდესაც დასაქმებულის მონიტორინგი ხდება, ეს სწორედ პირად ცხოვრებაში ჩარევად და პერსონალური მონაცემების დამუშავებად მიიჩნევა<sup>8</sup>, რაც შესაძ-

<sup>4</sup> Tiainen M.K., Solving the Surveillance Problem, Media Debates about Unwanted Surveillance in Finland, in: Privacy, Data Protection and Cybersecurity in Europe, Edited by W.J. Schunemann, M. Baumann, Springer, 2017, 61.

<sup>5</sup> Rycak A., New Technologies and the Employee's Right to Privacy, in: Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 175.

<sup>6</sup> იქვე, 176.

<sup>7</sup> Lukacs A., Employees' Right to Privacy and Right to Data Protection on Social Network Sites, Szeged, 2021, 78.

<sup>8</sup> Rycak A., New Technologies and the Employee's Right to Privacy, in: Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 176.

ლოა კანონიერი ან უკანონო იყოს. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაქმებულის, მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების, განსაკუთრებით ვიდეო და აუდიომონიტორინგის გზით, დამუშავება სპეციფიკური და ხშირ შემთხვევაში ცალკე საკანონმდებლო ნორმებით მონესრიგებული სფეროა.<sup>9</sup> ამასთან, არის ქვეყნები, სადაც დასაქმებულის ვიდეომონიტორინგის შესახებ ცალკე დებულებები არაა და ის ზოგადი მონესრიგების ფარგლებში ექცევა (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო).<sup>10</sup>

### III. ვიდეომონიტორინგის საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომით ურთიერთობაში

#### 1. ვიდეომონიტორინგის ცნება და მიზანი

ვიდეომონიტორინგი დასაქმებულის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და ზედამხედველობის განსაკუთრებული და უფლებაში უხეშად ჩარევის ერთ-ერთი ფორმაა.<sup>11</sup> ამავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში ვიდეომონიტორინგი დამსაქმებლის არათუ უფლება, არამედ ვალდებულებაცაა.<sup>12</sup> თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამსაქმებლის მიერ დასაქმებული კონტროლი, შესაძლოა, გამართლდეს სხვადასხვა საფუძვლით, მაგალითად, დამსაქმებლის საკუთრების დაცვის, დამსაქმებელი კომპანიის კარგი რეპუტაციის შენარჩუნებით, კომპანიის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების

<sup>9</sup> შეად., Komukai T., *Data Protection in the Internet: Japanese National Report*, in: *Data Protection in the Internet*, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020, 260.

<sup>10</sup> Morris G., *Protection of Employees' Personal Information and Privacy in English Law*, in: *Protection of Employees' Personal Information and Privacy*, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014, 224.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> Lukacs A., *Employees' Right to Privacy and Right to Data Protection on Social Network Sites*, Szeged, 2021, 79.

პრევენციით, დასაქმებულის უსაფრთხოების დაცვითა და სხვ.<sup>13</sup> ამდენად, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, რაც ვიდეომონიტორინგს კანონიერად და გამართლებულად აქცევს, თუმცა ლეგიტიმური მიზანი და ინტერესი ხშირ შემთხვევაში ორაზროვანი და საკამათოა.<sup>14</sup> ამასთან, დამსაქმებლის ლეგიტიმურმა ინტერესმა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადანონოს სხვა ინტერესი, თუ იგი დასაქმებულის ანუ მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს არ არღვევს.<sup>15</sup>

ვიდეომონიტორინგის ცნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტშია მოცემული, რომლის თანახმადაც, ვიდეომონიტორინგი არის საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩანერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა). ვიდეომონიტორინგი შესაძლოა რეალურ დროშიც მიმდინარეობდეს და ამ შემთხვევაში ის დასაქმებულის პერსონალურ უფლებებში უფრო მეტად უხეშ/მკაცრ ჩარევას ნიშნავს.<sup>16</sup>

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოთვლის იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია ზოგადად ვიდეომონიტორინგი. მე-3 პუნქტის თანახმად კი, დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემ-

<sup>13</sup> Rycak A., *New Technologies and the Employee's Right to Privacy*, in: *Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes*, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 175.

<sup>14</sup> Dehon E., Carey P., *Fair, Lawful and Transparent Processing*, in: *Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law*, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018, 57.

<sup>15</sup> Krzysztofek M., *GDPR: General Data Protection in the European Union*, Wolters Kluwer, 2019, 108.

<sup>16</sup> *Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data through Video Devices, Version for Public Consultation*, Adopted on 10 July 2019, 9.

თხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. ამდენად, კანონმდებლობა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიიჩნევს დასაშვებად ვიდეომონიტორინგს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა ვიდეომონიტორინგის განხორციელება და შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უკანონოდ სცნო, რადგან როგორც დადგინდა, ვიდეომონიტორინგის თავდაპირველი მიზანი იყო კომპანიის მიერ განხორციელებული მომსახურების კონტროლი.<sup>17</sup> ამდენად, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ მხოლოდ მომსახურების ხარისხის კონტროლი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ვიდეომონიტორინგის გზით დასაქმებულთა ქცევის განმკონტროლებელი. შესაბამისად, გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ დასაქმებულის ვიდეომონიტორინგი დამსაქმებლის ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახურებოდეს და მისი საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავება სპეციფიკური მიზნის მიღწევის საშუალება უნდა იყოს.<sup>18</sup> ამასთან, ვიდეომონიტორინგს შესაძლოა განგრძობითი ან ერთჯერადი სახე ჰქონდეს.<sup>19</sup>

გასაზიარებელია ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომლის თანახმადაც, ვიდეომონიტორინგის სისტემები, რომლებიც გამოიყენება შრომით ურთიერთობებში მონიტორინგისთვის, ისეთ ადგილებზე, როგორიცაა, შესასვლელი და გასასვლელი სანარმოს

<sup>17</sup> პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2016 წლის 12 იანვრის Nგ-1/007/2016 გადაწყვეტილება.

<sup>18</sup> Lee S.-W., Protection of Employees' Personal Information and Privacy at a Crossroads in Korea, in: Protection of Employees' Personal Information and Privacy, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014, 150.

<sup>19</sup> Rycak A., New Technologies and the Employee's Right to Privacy, in: Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 176.

შენობაში ან ადგილები, სადაც განთავსებულია სეიფები ან ელექტრომექანიკური აღჭურვილობები, შეესაბამება და ამართლებს დამსაქმებლის მიზანს, თუ კამერები ფოკუსირებულია ქონებაზე ან საქონელზე.<sup>20</sup> ერთ-ერთ საქმეში, რომელიც კანადური სარკინიგზო კომპანიის მიერ ვიდეომონიტორინგს შეეხებოდა, სასამართლომ არ დაადგინა დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დარღვევის ფაქტი, რადგან ვიდეომონიტორინგის გარდა სხვა საშუალება ვანდალიზმის, ქურდობისა და მსგავსი დანაშაულებების აღსაკვეთად უშედეგო და ფინანსურად ძალიან ძვირი იყო.<sup>21</sup> ამგვარად, მიზნისა და საშუალების შეფასებით სასამართლომ იმ დასაქმებულთა პერსონალური მონაცემების დარღვევა, რომლებიც კამერის ხედვის არეალში ხვდებოდნენ, არ დაადგინა. ამავდროულად, ვიდეომონიტორინგისას ყველა შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ვიდეომონიტორინგი უნდა იყოს ყველაზე ბოლო/უკანასკნელი საშუალება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც დამსაქმებელი ისახავს. მაგალითად, პორტუგალიის შრომის კოდექსის მიხედვით, დამსაქმებელმა ვიდეომონიტორინგი არ უნდა გამოიყენოს დასაქმებულის პროფესიული მოქმედების/ქცევის გასაკონტროლებლად.<sup>22</sup> ამავდროულად, ვიდეომონიტორინგი გამართლებულია, თუ ის მიზნად ისახავს ადამიანების, ან საქონლის/ნივთების დაცვას და უსაფრთხოებას ან როდესაც ვიდეომონიტორინგი გამართლებულია საქმიანობის შესრულების ხასიათიდან გამომდინარე.<sup>23</sup>

<sup>20</sup> Kourtis V., *Data Protection in the Internet: Greece*, in: *Data Protection in the Internet*, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020, 223.

<sup>21</sup> Davidov G., *A Purposive Approach to Labour Law*, Oxford University Press, 2016, 184-185.

<sup>22</sup> Civil Code of the Republic of Portugal, 2009, Art. 20(1).

<sup>23</sup> დამატებით იხ., Sousa Pinheiro A., *Data Protection in the Internet: The Portuguese Case*, in: *Data Protection in the Internet*, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020, 275-ე და შემდეგი გვერდები.



## 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები

ვიდეომონიტორინგის განხორციელების წინაპირობებსა და მიზნებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე მნიშვნელოვანი და იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად ციტირებადი გადაწყვეტილება არსებობს. საგულისხმოა, რომ თითოეული ეს გადაწყვეტილება ხაზს უსვამს შრომითი ურთიერთობის სპეციფიკასა და ამ ურთიერთობაში დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, უფლებების დაცვის ხარისხს, რადგანაც მიჩნეულია, რომ ადამიანის პირადი სივრცე არ არსებობს მისი პროფესიული საქმიანობის გარეშე.<sup>24</sup>

### Köpke v. Germany

ერთ-ერთი ცნობილი საქმე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განუხილავს ვიდეომონიტორინგთან, როგორც დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან, დაკავშირებით, არის **Köpke v. Germany**.<sup>25</sup> სასამართლოს უნდა განეხილა, თუ რამდენად მიიჩნეოდა დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დარღვევად ფარული ვიდეომონიტორინგი, რომლის მიზანიც დამსაქმებლის კუთვნილ მაღაზიაში შესაძლოა ქურდობის ფაქტების გამოვლენა იყო. მომჩივანი აცხადებდა, რომ ფარული ვიდეომონიტორინგისას მისი, როგორც დასაქმებულის (მოლარის), პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი დაირღვა. გერმანულმა სასამართლოების შეფასებით, დამსაქმებლის მიზანი, გამოველინა ქურდობის ფაქტები, ამართლებდა და-

<sup>24</sup> Rycak A., *New Technologies and the Employee's Right to Privacy*, in: *Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes*, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 173.

<sup>25</sup> Köpke v. Germany [ECtHR], App. no. 420/07, 5 October 2010.

საქმებულის/მონაცემთა სუბიექტის (ამ შემთხვევაში მომჩივნის) პერსონალური მონაცემების დამუშავების ამგვარ მეთოდს. საგულისხმოა, რომ ვიდეომონიტორინგი მხოლოდ განსაზღვრულ დროს (2 კვირა) და მხოლოდ განსაზღვრულ პერიმეტრზე (მხედველობის არეზე) მიმდინარეობდა. სწორედ ამიტომ ევროსასამართლომ არ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმების დარღვევა და მომჩივანს უარი უთხრა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. ამგვარად, ევროსასამართლომ პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე შეაფასა და პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა არ დაადგინა.<sup>26</sup>

### López Ribalda and Others v. Spain

კიდევ ერთი ცნობილი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ ასევე შეაფასა ვიდეომონიტორინგის განხორციელების მართლზომიერება იყო *López Ribalda and Others v. Spain*.<sup>27</sup> ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პირიქით განმარტა, – თუ სუპერმარკეტის ასისტენტმა/დასაქმებულმა არ იცის, რომ მისი ვიდეომონიტორინგი ხდება, აღნიშნული მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავების ნესსა და პირად ცხოვრებას არღვევს.<sup>28</sup> ამ საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, დამსაქმებელმა, ქურდობის გამოვლენის მიზნით, მაღაზიაში დაამონტაჟა ხილული და ფარული კამერები, თუმცა დასაქმებულებს აცნობა, რომ

<sup>26</sup> Rycak A., *New Technologies and the Employee's Right to Privacy*, in: *Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes*, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 177.

<sup>27</sup> López Ribalda and Others v. Spain [ECtHR], App. nos. 1874/13 and 8567/13, 17 October 2019.

<sup>28</sup> Rycak A., *New Technologies and the Employee's Right to Privacy*, in: *Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes*, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 177.

მხოლოდ ხილული კამერებით ხდებოდა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავება. ვიდეომონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა ქურდობის ფაქტები, რის შედეგადაც დასაქმებულები სამსახურიდან გაათავისუფლეს. ამ დასაქმებულებიდან რამდენიმემ იჩივლა და ესპანურმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მათი სარჩელები, რადგან მიიჩნიეს, რომ მიზანი, რაც დამსაქმებელს ჰქონდა და ამ მიზნის მიღწევის საშუალება, გამართლებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა იყო დამსაქმებლის მიზანი – გამოვევლინა ქურდობის ფაქტები, ევროსასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში დაირღვა დასაქმებულების პირადი ცხოვრების უფლება და მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება, რადგან ესპანური სამართლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტი გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო მისი პერსონალური მონაცემების იმგვარ დამუშავებაზე, როგორც ეს განსახილველ შემთხვევაში იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ დამსაქმებელს სხვა საშუალებითაც შეეძლო იმავე მიზნის მიღწევა და შესაბამისად, არ გაიზიარა ესპანური სასამართლოების მიდგომა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროპორციულობასა და კანონიერებაზე. ამგვარად, ფარული კამერებით პერსონალური მონაცემების დამუშავება უკანონოდ იქნა მიჩნეული.<sup>29</sup>

ზემოთ მოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზზე, ცალსახად მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს სხვა საშუალება, რომელიც თუნდაც მაღალიაში, სუპერმარკეტში, თუ ნებისმიერ სხვა დანესებულებაში ქურდობის ან/და სხვა სახის კანონდარღვევას გამოავლენს, უმჯობესი იქნება, დამსაქმებელმა სწორედ ეს სხვა საშუალება აირჩიოს. რა თქმა უნდა, ურთულესია

<sup>29</sup> დამატებით იხ., Krzysztofek M., GDPR: General Data Protection in the European Union, Wolters Kluwer, 2019, 106.

პრაქტიკაში ამ ყველაფრის გათვალისწინება, თუმცა ცალსახაა, რომ სასამართლოების მიდგომა საკმაოდ მკაცრია და პერსონალური მონაცემების დამუშავების უკანონოდ ცნობის ალბათობა მაღალია. მაგალითად, თუ მარაგის გაკონტროლება სხვა სამუშაოებით შეიძლება, ვიდეომონიტორინგი არ უნდა იქნეს გამოყენებული.

### Antović and Mirković v Montenegro<sup>30</sup>

კიდევ ერთი პრეცედენტული და იურიდიულ ლიტერატურაში ძალიან ხშირად განხილული საქმე არის *Antović and Mirković v Montenegro*<sup>31</sup>. ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მომჩივანი იყო ლექტორი, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა აუდიტორიაში დამონტაჟებული ვიდეოკამერების გამო. კერძოდ, როგორც ირკვეოდა, აუდიტორიებში კამერები განათავსეს საკუთრების უფლების დაცვის მიზნით, თუმცა პროფესორის განცხადებით, აუდიტორიები დაკეტილი იყო ლექციების დაწყებამდე და ლექციების დასრულების შემდეგ კვლავ იკეტებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა საკუთრების უფლების ხელყოფის საფრთხე.

ევროსასამართლომ განმარტა, რომ აუდიტორიები არის სივრცე, სადაც პროფესორები არა მხოლოდ ასწავლიან სტუდენტებს, არამედ ურთიერთობენ მათთან, რითაც ავითარებენ ურთიერთკავშირს და აყალიბებენ მათ სოციალურ იდენტობას. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად უნივერსიტეტის პოზიციისა, რომ კამერები საჭირო იყო უსაფრთხოების, უცხო პირების შემოსვლის აღკვეთისა და საკუთრების უფლების დასაცავად, ეს მაინც ვერ ქმნიდა იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომ ლექტორის/პროფესორის სამუშაო პროცესი, როგორც პირადი ცხოვრებით დაცული სფერო პერსონალური მონაცემე-

<sup>30</sup> Antović and Mirković v. Montenegro [ECtHR], App. no. 70838/13, 28 November 2017.

<sup>31</sup> იქვე.

ბის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად დამუშავებულიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლთან სანინალმდეგოდ მიიჩნია პროფესორის/ლექტორის ვიდეომონიტორინგი აუდიტორიაში, რადგან არ არსებობდა პერსონალური მონაცემების დამუშავების ასეთი ფორმის მიზანშეწონილობა საკუთრების უფლებების ან სხვა რაიმე მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვისათვის. ამავდროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ფართოდ უნდა განმარტებულიყო და პირადი ცხოვრების დაცვაში მოაზრებულიყო ასევე პირის (დასაქმებულის) კომუნიკაცია და ინტერაქცია სხვა პირებთან, განსახილველ შემთხვევაში სტუდენტებთან.<sup>32</sup>

ვიდეომონიტორინგთან დაკავშირებით ზემოთ მოცემული გადანყვეტილებები საორიენტაციო და პრაქტიკაში ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია.<sup>33</sup> ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადანყვეტილებებში ან თუნდაც კანონში მოცემული მონესრიგების პრაქტიკაში ზედმიწევნით სრულყოფილად გატა-

<sup>32</sup> Sychenko E., Perulli A., *Employment Law and the European Convention on Human Rights, The Research of the Recent Jurisprudence of the ECtHR Related to Employment Law (2017-2021)*, Wolters Kluwer, 2023, 49.

<sup>33</sup> დასაქმებულის აუდიო და ვიდეომონიტორინგს არ შეეხება, თუმცა ერთ-ერთი პრეცედენტული და თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ძალიან ხშირად ციტირებული საქმეა *Bărbulescu v. Romania*. ამ საქმეში სასამართლომ შეაფასა, დაირღვა თუ არა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის პერსონალური მოკლეთექსტური შეტყობინებების წაკითხვით, იმ პირობებში, როდესაც, დასაქმებულმა ისარგებლა სამსახურებრივი ინტერნეტით და ამით დაარღვია შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი წესები. ამდენად, სასამართლომ შეაფასა, რამდენად ჰქონდა სხვა ალტერნატიული საშუალება დამსაქმებელს, გამოევიდინა შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი წესების დარღვევა სხვა საშუალებით და არა დასაქმებულის მოკლეთექსტური შეტყობინების აღმოჩენითა და წაკითხვით. იხ., *Bărbulescu v. Romania* [ECtHR], App. no. 61496/08, 5 September 2017.

რება ხშირად შეუძლებელია. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ბიზნესის სპეციფიკის, ფინანსური დანახარჯებისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით უნდა შეირჩეს ვიდეომონიტორინგის, როგორც დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავების, მეთოდი.

### **3. თანხმობა ვიდეომონიტორინგზე**

მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული აქტი არის თავად მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, როგორც საფუძველი, დამუშავდეს სუბიექტის პერსონალური მონაცემები. ამასთან, თანხმობა მხოლოდ მაშინაა კანონიერი, თუ ის ნების თავისუფლად გამოვლენის შედეგადაა მიღებული.<sup>34</sup> „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები თანხმობის სახეებს ჩამოთვლის და ადგენს, რომ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა არის მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ, მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე აქტიური მოქმედებით, წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) ან ზეპირად, თავისუფლად და მკაფიოდ გამობატული ნება, ხოლო მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა კი ნიშნავს თანხმობას, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან რომელიც მან სხვაგვარად გამობატა წერილობით (მათ შორის, ელექტრონულად) მის შესახებ მონაცემთა კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი თავიდანვე უნდა განისაზღვროს და თუ აღნიშნული თავიდანვე

---

<sup>34</sup> Hendrickx F., Article 8 – Protection of Personal Data, The Charter of Fundamental Rights of the European Union and the Employment Relation, Edited by F. Dorssemont, K. Lorcher, S. Clauwaert and M. Schmitt, Hart Publishing, 2019, 265.

ნათლად და ერთმნიშვნელოვნად არ მოხდა, პერსონალური მონაცემების დამუშავება უკანონოა.<sup>35</sup>

შრომით ურთიერთობებში დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, წერილობითი თანხმობა როგორც წესი, შრომის ხელშეკრულებით ან/და ცალკე განცხადება/შეთანხმებითაა გამოხატული. შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების დადების შემდეგ დამსაქმებელს უკვე თავისუფლად შეუძლია შეაგროვოს და დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია.<sup>36</sup> მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი ვალდებულია წარმოადგინოს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი იმისა, რომ პერსონალური მონაცემების მონაცემთა სუბიექტის თანხმობით მუშავდება, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება.<sup>37</sup>

ხშირ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელი დასაქმებულს სთხოვს თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, თანხმობა სამომავლო გართულებებისგან, მათ შორის, სამსახურიდან გათავისუფლებისგან თავის არიდებითაა განპირობებული.<sup>38</sup> ამდენად,

<sup>35</sup> Terwangne D. E., Article 5. Principles Relating to Processing of Personal Data, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020, 315.

<sup>36</sup> Lee S.-W., Protection of Employees' Personal Information and Privacy at a Crossroads in Korea, in: Protection of Employees' Personal Information and Privacy, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014, 151.

<sup>37</sup> Kosta E., Article 7. Conditions for Consent, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020, 349.

<sup>38</sup> Eecke V. P., Šimkus A., Article 88. Processing in the Context of Employment, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020, 1236.

შესაძლოა იყოს შემთხვევები, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს დასაქმებულის ნებაყოფლობითი თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ,<sup>39</sup> რადგან შრომითი ურთიერთობის სუბორდინაციულმა ხასიათმა შეიძლება დასაქმებულის ნების ფორმირება ისე მოახდინოს, რომ ამით მონაცემთა სუბიექტის უფლებები შეილახოს.<sup>40</sup> ამ საკითხზე საინტერესოა გერმანიის მონაცემთა დაცვის ფედერალური აქტი (BDSG), რომელიც სპეციალურ მუხლს ითვალისწინებს შრომით ურთიერთობებში დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობისთვის.<sup>41</sup> გერმანული კანონი ადგენს, რომ დასაქმებულის მიერ თანხმობის გამოხატვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმებულის დამოუკიდებლობის ხარისხს (დონეს) რამდენად თავისუფლად გამოხატა მან თანხმობა/ნება თავისი პერსონალური მონაცემების დამსაქმებლის მხრიდან დამუშავებაზე. ამასთან, თანხმობა თავისუფლად გაცემულად მიიჩნევა, თუ ამას ეკონომიკური სარგებელი მოაქვს დასაქმებულისთვის ან თუ დამსაქმებელი და დასაქმებული ერთი ინტერესისთვის მოქმედებენ. ამგვარად, გერმანული კანონმდებლობა კონკრეტულ წინაპირობებსაც კი აწესებს, რაც შესაძლოა, საფუძვლად დაედოს დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, თანხმობის გაცემას. შესაბამისად, ამ მოწესრიგებით, გერ-

<sup>39</sup> Krzysztofek M., GDPR: General Data Protection in the European Union, Wolters Kluwer, 2019, 104; Lee S.-W., Protection of Employees' Personal Information and Privacy at a Crossroads in Korea, in: Protection of Employees' Personal Information and Privacy, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014, 158.

<sup>40</sup> Vicente D. M., Casimiro S. V., Data Protection in the Internet: General Report, in: Data Protection in the Internet, Edited by D.M. Vicente, S.V. de Casimiro, Springer, 2020, 22; Bussche A. F., Voigt P., Data Protection in Germany, Including EU General Data Protection Regulation 2018, 2<sup>nd</sup> Ed., München, 2017, 52.

<sup>41</sup> Federal Data Protection Act (BDSG) of the Federal Republic of Germany, 2017, Section 26.



მანული სამართალი, ფაქტობრივად, საცილოდ მიიჩნევს ყველა გამოვლენილ ნებას, თუ ეს ნება ფორმირებული და გამოვლენილი არ არის იმ სტანდარტის დაცვით, რაც შესაბამის მუხლშია მოცემული. ასეთი ჩანაწერი არ ტოვებს ინტერპრეტაციის ფართო საშუალებას და კონკრეტული წინაპირობებით შემოსაზღვრავს დასაქმებულის მიერ თანხმობის გაცემას ისეთი სპეციფიკურ ურთიერთობაში, როგორც შრომითსამართლებრივი ურთიერთობაა.

ამდენად, დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის თანხმობა შრომით ურთიერთობაში პრობლემური საკითხია,<sup>42</sup> რაც პრაქტიკაში შესაძლოა ერთ-ერთ მწვავე საკითხად დადგეს. საკითხს ართულებს ის, რომ ქართული კანონმდებლობა, გერმანული სამართლისგან განსხვავებით, არ იცნობს დასაქმებულის ნების გამოხატვის წინაპირობებს, რაც თანხმობას ნამდვილს ან პირიქით, არანამდვილს ხდის. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ნების ნამდვილად გამოხატვის საკითხი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი წესის მიხედვით, სასამართლოს შესაფასებელი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, დასაქმებული ამას სადავოდ გახდის.

#### 4. აუდიომონიტორინგის მიმართება აუდიომონიტორინგთან

ცალკე უნდა გამოიყოს აუდიომონიტორინგიც. ზოგადი მიდგომა, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი მონიტორინგი უნდა იყოს მისი მიზნის შესაბამისი და უფლებაში უხეშად არ უნდა ჩაერიონ,<sup>43</sup> აუდიომონიტორინგის შემთხვევაში ალბათ, ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს

<sup>42</sup> Hendrickx F., Article 8 – Protection of Personal Data, The Charter of Fundamental Rights of the European Union and the Employment Relation, Edited by F. Dorssemont, K. Lorcher, S. Clauwaert and M. Schmitt, Hart Publishing, 2019, 265.

<sup>43</sup> Lukacs A., Employees' Right to Privacy and Right to Data Protection on Social Network Sites, Szeged, 2021, 171.

კანონის მე-3 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტის თანახმად, აუდიომონიტორინგი არის საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, აუდიოკონტროლი ან/და აუდიოჩანერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა). ამავე კანონის მე-11 მუხლი აწესრიგებს აუდიომონიტორინგის განხორციელების წინაპირობებსა და წესს. აუდიომონიტორინგის მომწესრიგებელი ნორმა, ვიდეომონიტორინგის განსხვავებით, არ შეიცავს ცალკე მოწესრიგებას შრომით ურთიერთობებში დასაქმებულის პერსონალური მონაცემების აუდიოჩანერის გზით დამუშავებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, კანონი ჩამოთვლის სულ 4 შემთხვევას/საფუძველს, რა დროსაც შესაძლებელია აუდიომონიტორინგის განხორციელება.<sup>44</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ დასაქმებულის მონიტორინგს შესაძლოა პრევენციული, ღია ან ფარული ხასიათი ჰქონდეს და დამსაქმებელმა დასაქმებულის კონტროლი უშუალოდ სხვა დასაქმებულთა დახმარებით ან/და სხვა, გარე ხელშემკვრელი კომპანიის მეშვეობით განახორციელოს.<sup>45</sup> ყველა შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს მნიშვნელოვანი პრინციპი, რომლის თანახმადაც, აუდიომონიტორინგი დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავების ყველაზე მეტად შესაფერისი და შეიძლება ითქვას, უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს. ამასთან, ცხადია, აუდიომონიტორინგის შემთხვევაშიც, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა სუბიექტის თანხმობას.

თანხმობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იგი უნდა გამოიხატოს კონკრეტულად ვიდეომონიტორინგზე,

<sup>44</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>45</sup> Rycak A., *New Technologies and the Employee's Right to Privacy*, in: *Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes*, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020, 176.

რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც თანხმობის 1 მუხლში თავმოყრილია სხვადასხვა, ერთმანეთთან არდაკავშირებული მონიტორინგის საფუძვლები, მიზნები და საშუალებები, რაც მონაცემთა სუბიექტს არ აძლევს საშუალებას, გაარკვიოს და ზუსტად გაიაზროს, რაზე აცხადებს თანხმობას.<sup>46</sup> ეს განსაკუთრებით აქტუალურია აუდიომონიტორინგთან მიმართებით, რადგან პერსონალური მონაცემების ამ გზით დამუშავება მნიშვნელოვანი ჩარევაა მონაცემთა სუბიექტის უფლებებში. რეალურად, ინფორმირებული თანხმობა, რასაც გამოხატავს დასაქმებული, ნიშნავს იმას, რომ იქამდე, ვიდრე მონაცემთა სუბიექტი გასცემს თანხმობას, მას უნდა მიენდოს ინფორმაცია, თუ რა მიზნით და რისთვის ხდება მისი ინფორმაციის დამუშავება და ასევე, მან უნდა იცოდეს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია თავისი თანხმობა უკან გამოითხოვოს.<sup>47</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავება აუდიომონიტორინგის გზით იმდენად გამონაკლისი შემთხვევაა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში მასზე დანვრილებით მსჯელობები უიშვიათესია.

## 5. ვიდეომონიტორინგის მასალების შენახვის ვადა

„პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონი ადგენს ზოგად წესს მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვისთვის. ცალკე ნორმა ან შენახვის ვადა შრომით ურთიერთობაში ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების შესახებ, არ არსებობს. კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რო-

<sup>46</sup> Krzysztofek M., GDPR: General Data Protection in the European Union, Wolters Kluwer, 2019, 73.

<sup>47</sup> Dehon E., Carey P., Fair, Lawful and Transparent Processing, in: Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018, 53.

მელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით. ზოგადად, პერსონალური მონაცემების შენახვის პრინციპია, რომ მოპოვებული პერსონალური მონაცემები იმაზე მეტი ხნის განმავლობაში არ უნდა იქნეს შენახული, რა მიზნისთვისაცაა ისინი მოპოვებული.<sup>48</sup> ამდენად, არ არსებობს რაიმე ერთიანი ვადა, რომელიც ამა თუ იმ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების შენახვის ვადას განსაზღვრავს.

ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, ვიდეომონიტორინგის სხვადასხვა სისტემა მონაცემების შეგროვების/გადაღების სხვადასხვა პერიოდს ითვალისწინებს. მაგალითად, შესაძლოა ვიდეო კამერების ერთმა სისტემამ მოპოვებული ინფორმაცია 1 თვიდან 6 თვემდე ვადით ავტომატურად შეინახოს და 6 თვის შემდეგ, ასევე ავტომატურად ახალი ინფორმაცია ძველ მონაცემებზე გადაწეროს. შესაძლოა უფრო ნაკლები ან მეტი ვადით ავტომატურად ჩაინეროს და ახალი მონაცემების გადაწეროს ძველ მონაცემებს. ეს ყველაფერი ვიდეოსისტემების ხარისხსა და ტექნიკურ მახასიათებლებზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქართულ რეალობაში, რამდენი ხნით უნდა შეინახონ შრომით ურთიერთობებში ვიდეომონიტორინგით მოპოვებული მონაცემები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამაზე რაიმე საკანონმდებლო ჩანაწერი არ არის და ვერც იქნება, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამსაქმებლის მხრიდანაა დასადგენი.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულება, რომ პერსონალური მონაცემები შესაძლოა შეინახონ

<sup>48</sup> Carey P., *Data Protection Principles*, in: *Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law*, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018, 38.

იქამდე, ვიდრე სავარაუდოა, რომ ამ მონაცემებიდან გამომდინარე შესაძლოა რაიმე სამართლებრივი პროცედურები, მაგალითად, სასარჩელო წარმოება დაიწყო.<sup>49</sup> ამდენად, შესაძლოა ვიდეომონიტორინგით მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვა სასარჩელო წარმოების ხანდაზმულობის ვადასაც კი დაუკავშირდეს. შესაძლებელია, ამ მოსაზრების სანინააღმდეგო მიდგომებიც არსებობდეს, რადგან საქართველოს შრომის კოდექსი შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ხანდაზმულობის 1 წლიან ვადას<sup>50</sup>, ხოლო სამოქალაქო კოდექსი კი სახელშეკრულებო, თუ დელიქტური ვალდებულებების მიმართ სამწლიან<sup>51</sup> ხანდაზმულობას ადგენს და ცხადია, ორივე ვადა საკმაოდ დიდი პერიოდია იმისთვის, რომ ვიდეომონიტორინგის მასალები შეინახონ. მეტიც, მართალია, ძალიან დიდი და ალბათ, არაგონივრული იქნება, თუმცა ქართული სასამართლო პრაქტიკა უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ 10 წლიან ხანდაზმულობის ვადას ადგენს.<sup>52</sup> შესაბამისად, შესაძლოა დამსაქმებელმა ამ ვადაზეც კი მიუთითოს ვიდეომონიტორინგის რაღაც ნაწილის შენახვისას.

სავარაუდოდ, უფრო მეტად ლოგიკური, სამართლებრივად სწორი და დასაბუთებული იქნება, თუ შრომითი ურთიერთობის დროს განხორციელებული ვიდეომონიტორინგის მასალები შეინახება 1 წლის განმავლობაში. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ არსებობს ეჭვი ან/და დასაბუთებული ვარაუდი, რომ რაღაც გადაცდომა, დანაშაული ან/და ზიანის მიყენება მოხდა, შესაძლოა დაარქივებული ვიდეომონიტორინგის მასალები კიდევ უფრო მეტ ხანსაც იქნეს შენახული. შესაბამისად, როდესაც არის ვარაუდი, რომ რაღაც

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> საქართველოს შრომის კოდექსის 74-ე მუხლი.

<sup>51</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 1008-ე მუხლები.

<sup>52</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 29 თებერვლის ას-565-2022 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 5 ოქტომბრის ას-646-2023 განჩინება.

მიზნებიდან გამომდინარე, დამსაქმებელს ვიდეომონიტორინგის მასალები სჭირდება, სანამ ყველა ეს მიზანი არ მიიღწევა, მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს შეუძლია, რომ შეინახოს ეს მონაცემი.<sup>53</sup> ყველა შემთხვევაში, დამსაქმებელს დასჭირდება იმის მტკიცება და დასაბუთება, თუ რატომ და რა მიზნით ინახავს კონკრეტულ მონაცემს.

#### **IV. დასკვნა**

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამოყოფაა შესაძლებელი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შრომით ურთიერთობებში ვიდეომონიტორინგის გზით პერსონალური მონაცემების დამუშავება განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკურობა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, დამსაქმებელი ორგანიზაციის კუთვნილი ზოგადად სამუშაო სივრცის და მეორე მხრივ, დასაქმებულის სამუშაო ადგილის კონტროლიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, განვითარებული ქვეყნების მიდგომაა, არ უნდა მოხდეს დასაქმებულის სამუშაო სივრცის იმგვარი მონიტორინგი, რომ ამით დაირღვეს დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, პირადი ცხოვრების უფლება, რომელიც პირის ღირსებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე გადის.

ახლადამოქმედებული ქართული კანონი საკმაოდ მკაცრ ტესტს ადგენს დამსაქმებლებისთვის, როგორც მონაცემებზე პასუხისმგებელ პირებზე, რომ მათ მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემები ვიდეომონიტორინგის საშუალებით დაამუშაონ. ამასთან, ქართული და შესაძლებელია ითქვას, ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ნორმები, პრაქტიკაში საკმაოდ რთული განსახორციელებელია. საკითხს ართულებს ევროსასამართლოს პრეცედენტული

---

<sup>53</sup> Carey P., *Data Protection Principles*, in: *Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law*, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018, 39.

გადანყვეტილებები, რომლებიც ადგენენ ძირითად, საორიენტაციო პრინციპებს ვიდეომონიტორინგის განხორციელებისთვის. ვიდეომონიტორინგისას დაცული უნდა იყოს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ვიდეომონიტორინგი უნდა იყოს ყველაზე ბოლო/უკანასკნელი საშუალება იმ მიზნის მისაღწევად, რასაც დამსაქმებელი ისახავს და შესაბამისად, დამსაქმებელმა ვიდეომონიტორინგი არ უნდა გამოიყენოს დასაქმებულის პროფესიული მოქმედების/ქცევის გასაკონტროლებლად.

საკითხის გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულის, როგორც მონაცემთა სუბიექტის, თანხმობა შრომით ურთიერთობაში ერთ-ერთი პრობლემური და საკვანძო საკითხია. საკითხს ართულებს ის, რომ ქართული კანონმდებლობა, გერმანული სამართლისგან განსხვავებით, არ იცნობს დასაქმებულის ნების გამოხატვის წინაპირობებს, რაც თანხმობას ნამდვილს ან პირიქით, არანამდვილს ხდის შრომით ურთიერთობებში. შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ნების ნამდვილად გამოხატვის საკითხი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგენილი წესის მიხედვით, სასამართლოს შესაფასებელი იქნება. ეს რამდენად კარგია ან ცუდი, ამას მომავალში სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს.

ნაშრომში მოკლედ გაანალიზდა აუდიომონიტორინგის წესი და პირობები, რის შემდეგაც შეიძლება ითქვას, რომ დასაქმებულის პერსონალური მონაცემების დამუშავება აუდიომონიტორინგის გზით საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, იგი, როგორც წესი, პერსონალური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით, ვიდეომონიტორინგზე მეტად უხემ ფორმად მიიჩნევა. ამდენად, უცხოური დამსაქმებელიც და პრინციპში, საქართველოს დამსაქმებელი ორგანიზაციებიც ერიდებიან აუდიომონიტორინგის გზით დასაქმებულთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავებას.

რაც შეეხება ვიდეომონიტორინგის გზით მოპოვებული მასალების შენახვის ვადებს, კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არც ქარ-

თული კანონმდებლობა და არც უცხოური, მათ შორის არც GDPR რაიმე სახის სპეციფიკურ ვადას პირდაპირ არ ითვალისწინებს. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ შრომით ურთიერთობაში ვიდეომონიტორინგის შედეგად, თუ დადგინდება დასაქმებულის ან თუნდაც დამსაქმებლის გადაცდომა, ზიანის მიყენება ან რაიმე სამართალდარღვევა, შრომის კოდექსით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება და ვიდეომონიტორინგის მასალები დაარქივებული სახით 1 წლის განმავლობაში შეინახება. ამასთან, ეს ვადა საორიენტაციოა და შესაძლოა სხვადასხვა დამსაქმებელმა თავისუფლად დაასაბუთოს 3 წლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების მიზანშეწონილობაც. ამგვარად, ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემები როგორც დამუშავების, ისე შენახვის თვალსაზრისით, სპეციფიკურობით ხასიათდება და შრომით ურთიერთობაში არსებული მხარეებისგან შესაბამის კანონიერ და რაციონალურ მოქმედებებს მოითხოვს.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

- Bussche A. F., Voigt P., Data Protection in Germany, Including EU General Data Protection Regulation 2018, 2<sup>nd</sup> Ed., München, 2017
- Carey P., Data Protection Principles, in: Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018
- Davidov G., A Purposive Approach to Labour Law, Oxford University Press, 2016
- Dehon E., Carey P., Fair, Lawful and Transparent Processing, in: Data Protection, A Practical Guide to UK and EU Law, 5<sup>th</sup> Ed., Edited by P. Carey, Oxford University Press, 2018
- Eecke V. P., Šimkus A., Article 88. Processing in the Context of Employment, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020



- Hendrickx F., Article 8 – Protection of Personal Data, The Charter of Fundamental Rights of the European Union and the Employment Relation, Edited by F. Dorssemont, K. Lorcher, S. Clauwaert and M. Schmitt, Hart Publishing, 2019
- Komukai T., Data Protection in the Internet: Japanese National Report, in: Data Protection in the Internet, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020
- Kosta E., Article 7. Conditions for Consent, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR), A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020
- Kourtis V., Data Protection in the Internet: Greece, in: Data Protection in the Internet, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020
- Krzysztofek M., GDPR: General Data Protection in the European Union, Wolters Kluwer, 2019
- Lee S.-W., Protection of Employees' Personal Information and Privacy at a Crossroads in Korea, in: Protection of Employees' Personal Information and Privacy, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014
- Lukacs A., Employees' Right to Privacy and Right to Data Protection on Social Network Sites, Szeged, 2021
- Morris G., Protection of Employees' Personal Information and Privacy in English Law, in: Protection of Employees' Personal Information and Privacy, Edited by R. Blanpain, H. Nakakubo, T. Araki, Wolters Kluwer, 2014
- Rycak A., New Technologies and the Employee's Right to Privacy, in: Labor Law and GIG Economy, Challenges Posed by the Digitalization of Labor Processes, Edited by J. Carby-Hall, L. M. Mendez, Routledge, 2020
- Sousa Pinheiro A., Data Protection in the Internet: The Portuguese Case, in: Data Protection in the Internet, Edited by D. M. Vicente, S. V. de Casimiro, Springer, 2020
- Sychenko E., Perulli A., Employment Law and the European Convention on Human Rights, The Research of the Recent Jurisprudence of the ECtHR Related to Employment Law (2017-2021), Wolters Kluwer, 2023
- Terwangne D. E., Article 5. Principles Relating to Processing of Personal Data, in: The EU General Data Protection Regulation (GDPR),

A Commentary, Edited by Chr. Kuner, L.A. Bygrave, Chr. Docksey, L. Drechsler, Oxford University Press, 2020

- Tiainen M.K., Solving the Surveillance Problem, Media Debates about Unwanted Surveillance in Finland, in: Privacy, Data Protection and Cybersecurity in Europe, Edited by W.J. Schunemann, M. Baumann, Springer, 2017
- Vicente D. M., Casimiro S. V., Data Protection in the Internet: General Report, in: Data Protection in the Internet, Edited by D.M. Vicente, S.V. de Casimiro, Springer, 2020

# STANDARD OF THE PROCESSING OF THE PERSONAL DATA DURING A VIDEOMONITORING OF EMPLOYEES' WORKSPACE

---

**SIMONI TAKASHVILI**

Associate Professor at Sulkhani-Saba Orbeliani University,  
Attorney at Law

<https://orcid.org/0000-0001-8608-170X>

## **Abstract**

Protection of personal data is a challenge for Georgian and not only Georgian law and practice. The article analyzes the latest legal approaches, foreign literature and international case law using a comparative legal method. The paper specially focuses on the new Georgian law on Personal Data Protection, which came into force a few months ago and provides specific rules for videomonitoring/video surveillance.

There is no any judgements or decisions by the Georgian general courts on the regulation established by the new law and its problematic issues. Therefore, the present article analyzes the EU's experience and the trends of its implementation in the Georgian reality.

There are several decision of ECtHR concernin the processing of personal data through video monitoring of the employee's workspace. These decisions are so important that they are mentioned in almost all modern legal literature. Therefore, the article overviews them and discusses Georgian legislation and legal practice in the light of the ECtHR's case law.

**Keywords:** Personal Data, Video Surveillance, Data processing, Store the Data, Consent.